საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია

საკონსულტაციო შეხვედრები

დეცენტალიზაციის სტრატეგიის 2019-2025
დოკუმენტის პროექტზე

იანვარი -2019

აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტებთან
16 იანვარი 2019
ქ. ბათუმი

საკონსულტაციო შეხვედრას ესწრებოდნენ ა მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავჯდომარეები, საკრებულოს წევრები, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, მისი მოადგილე, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა საჯარო ფორმატში და მას ესწრებოდნენ კოკა კიღურაძე და ირაკლი მელაშვილი ასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციიდან, ადგილობრივი არსამთავრობო ორგანიზაცოების წარმოამდგენლები (მონაწილეთა სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის). შეხვედრა ღია იყო ადგილობრივი და ცენტრალური მედიისთვის.

დავით მელუა მიესალმა მონაწელეებს და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა ეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით. მან სიტყვა გადასცა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომაგდნელს.

მისალმების შემდეგ ბატონმა **ნიკოლოზ როსებაშვილმა** გააკეთა პრზენტაცია დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესზე, ამ სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებზე, განხორცილების გზებზე, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებზე. მან მონაწილეებს მოუწოდა გამოთქვათ საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, ასევე წერილობით მოსაზრებები ეროვნული ასოციაიციის მეშეევეობით ან პირდაპირ წარედგინათ მისი სამინისტროსთვის.

ნიკოლოზ როსებაშვილის პრეზენტაციის შემდეგ დავით მელუამ გახსნილად გამოაცხადა სხდომის ინტერაქტიული ნაწილი. მან მონაწილეებს აცნობა, რომ იწარმოება ამ შეხვედრის ოქმი, როემლიც წარედგინება საქართველოს ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს და მასში მოცემული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდება ასოციაციის მოსაზრება დეცენტრაილიზაციის სტრატეგიასთან მიმართებით. ოქმის წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით ჯერ გამოცხადდა კითხვების მიღება უშუალოდ პრეზენტაციასთან დაკავშირებით და შემდეგ უკვე ღია დისკუსია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის თაობაზე.

კითხვა-პასუხი და ღია დისკუსია (ფასილიტატორი დავით მელუა)

ირაკლი მელაშვილი - დეცენტრალიზაციის სტრატეგიასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციებია, რაც უნდა იცოდნენ ადამიანებმა, რომ გამოთქვან პოზიციები და ჩამოაყალიბონ წინადადებები.

ოთხი ძირითადი თემაა, რომელზეც ჩვენ ფინანსურ დეცენტრალიზაციის ვსაუბრობთ თუ რა არის გასაკეთებელი სტრატეგიაში, ყოველთვის უნდა ვიცოდეთ სად ვართ და სად უნდა მივიდეთ, ანუ ძალიან მარტივია, როცა იწყებ რეფორმას უნდა იცოდე რა არ მოგწონს დღეს არსებულ ვითარებაში.

ბოლო 3 წლის განმავლობაში 17,46 % - დან 15 % მდე დაეცა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების წილი მთლიან საჯარო ფინანსებში. გათანაბრებითი ტრანსფერი 2 63 დან 1,61 მდე დავიდა, ანუ ჩვენ, მუდმივი ვარდნა გვაქვს იმ ფინანსებში, რომლებიც უნდა ჰქონდეთ მუნიციპალიტეტებს. ვგულისხმობ 2015-2016-2017 წლებს, 2018 წლის მონაცემები ჯერ არ გვაქვს . მაგრამ საპროგნოზო მონაცემებით გათანაბრებითი ტრანსფერი კიდევ მცირდება .

ჩვენ სამი ამოცანა გვაქვს. პირველი ის რომ უნდა ჩამოვყალიბდეთ ფინანსებთან მიმართებაში და თუ გვინდა ვისაუბროთ ქმედით თვითმმართველობებზე, ასეთი მიდგომა, რომ გადავცეთ მუნიციპალიტეტებს უფლებამოსილება და მხლოდ ამ შემთხვევაში გადავცეთ ფინანსები არ გამოვა, რადგან არსებული უფლებამოსილებების დაფინანსებას მუნიციპალიტეტები ვერ ახერხებენ და ეს ყველამ კარგად ვიცით. იმ ფინანსებით, რაც მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ, ისინი უფლებამოსილებას ვერ განახორციელებენ. პირველი არის ფინანსური დეცენტრალიზაციის საკითხი და როგორ უნდა მოხდეს გადაცემა. შემოთავაზება გვქონდა საშემოსავლო გადასახადის ზიარ გადასახადად გადანაწილება და რაც მთავარია, ცვლილება ადმინისტრირებაში. მაგალითვის რომ ავიღოთ, პე-ეს-პე-ს აფთიაქში დასაქმებული ადამიანი, რომელიც იხდის საშემოსავლოს, ის თანხა არ რჩება აქ , რაც არ არის სწორი, რადგან ყველა ადამიანი, ვინც აქ მუშაობს თქვენგან იღებს იმ სერვისებს, რაც გაგაჩნიათ. ფინანსთა სამინისტროს პოზიცია იყო და არის ის რომ, სჭირდებათ დრო. ბოლო სხდომაზე შეთანხმება იყო, რომ ჩვენ ამ სისტემაზე გადავიდოდით, მაგრამ სამწუხაროდ ამ სტრატეგიის დოკუმენტში ეს შეთანხმება ასახული არ არის.

მეორე მნიშვნელოვანი თემა - იყო საუბარი იმაზე , რომ სერვისები, რომლებიც მიეწოდება მუნიციპალიტეტებს უნდა იყოს დაანგარიშებული და დელეგირებული უფლებამოსილებების დაფინანსება უნდა გაირკვეს. ვერ გაირკვევა ეს ყველაფერი, სანამ ცენტრალური ხელისუფლება არ დაადგენს სტანდარტებს. იმ სტანდარტებს, რომლითაც თქვენ უნდა მიაწოდოთ სერვისი. თუ სტანდარტი არ დადგინდა, მანამდე ვერაფრით ვერ გავარკვევთ რა არის სერვისის ღირებულება და თქვენ არ გეცოდინებათ როგორი სტანდარტის სერვისი უნდა მიაწოდოთ. სტანდარტს ვერაფრით ვერ დაადგენს მუნიციპალიტეტი, ამიტომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაც ვითხოვთ, რომ აუცილებლად ჩაიდოს დოკუმენტში ეს არის თქვენს მიერ მიწოდებული სტანდარტების დადგენა.

მესამე და მნიშვნელოვანი თემა- როგორც არ უნდა გავყოთ გადასახადები, არ შეიქმნება დამატებითი ღირებულება მუნიციპალიტეტებში, თუ ქონების საკითხი არ გადავუწყვიტეთ ამ ადამიანებს. ეს არის მიწა და ქონება.

ჩვენ გვიწერია რომ ქონების გადასახადი არის მუნიციპალიტეტების და ამ დროს ფაქტობრივად ფიზიკური პირი ქონებრივი გადასახადიდან გათავისუფლებულია. 3 მილიონ 730 ათასიდან 33 ათასი ადამიანი იხდის ფიზიკური პირის ქონებაზე გადასახადს. გვიწერია, რომ 5 ჰა-ზე ქვევით მიწის მფლობელი გადამხდელი გათავისუფლებულია გადასახადისგან. აჭარაში მგონი 5 ჰა-ზე ზევით მიწის ნაკვეთები არ არსებობს. ცენტრალური ხელისფლება ყველა შეღავათს რასაც ადგენს, ადგენს მუნიციპალიტეტების ხარჯზე და ასეც არის. მეწარმე პირების ბოლო საშემოსავლო გადასახადის ნაწილი რომ დავუტოვეთ მუნიციპალიტეტებს, მერე აღმოჩნდა რომ სწორედ ისინი გავათავისუფლეთ 2018 ში და შემოსავლები მუნიციპალიტეტში აღარ შემოვიდა. ამ დროს გათანაბრებითი ტრანსფერი იმიტომ მოაკლეს, რომ თქვეს, საშემოსავლო გადასახადი დარჩათო.

სტრატეგიამ პრინციპულად ერთი რამ უნდა გადაწყვიტოს. თუკი ცენტრალური ხელისუფლება მუნიციპალიტეტის ხარჯზე რაიმე შეღავათს აწესებს, მაშინ მან მუნიციპალიტეტებზე კომპესაცია უნდა გასცეს. ეს არ არის ერთი ჯიბე. ეს არის ხელისუფლების ერთი რგოლი და ესენი არიან ხელისუფლების მეორე რგოლი. არ შეიძლება ხელისუფლების ერთმა რგოლმა მოკალოს შემოსავლები მეორეს და შემდეგ თქვას, რომ ესენი არაეფექტურად ფუნქციონირებენ. ასე ხდება სამწუხაროდ და ეს არის მეორე დიდი თემა. ამიტომ ის წინადადება, რომელიც ითქვა და ათეა-ს წარმოამდგენლებიც მხარს უჭერდნენ - ქონების და მიწის საკითხებია. ჩვენ გვაქვს პრეზუმცია - ქონება, რომელიც არ არის რეგისტრირებული, არის ცენტრალური ხელისუფლების, ეს პრეზუმცია შევცვალოთ. ქონება რომელიც არ არის რეგისტრირებული, ის უნდა იყოს თვითმმართველობის ქონება.
2013 წელს, როდესაც მიწის რეგისტრაციაზე მიმდინარეობდა კამათი, გადაგვიგრიხეს ხელი და ჩაგვაწერინეს, რომ ცენტრალურ ხელისფლებას, ეკონომიკის სამინისტროსაც და თვითმმართველობასაც აქვთ რეგისტრაციის უფლება. შედეგად მივიღეთ ის, რომ ძალიან ხშირ შემთხვევაში თვითმმართველობამ მიწები ვერ დაირეგისტრირა. მილიონი მაგალითი ვიცით ყველამ - მუნიციპალიტეტმა აღწერა მიწა, წაიღო საჯარო რეესტრში, გადაუგზავნა ეკონომიკის სამინისტროს, რომელმაც უთხრა მადლობა, მივიდა და მიწა, მუნიციპალიტეტის მაგივრად, თვითონ დაირეგისტრირა. ეს უნდა დავამთავროთ. სტრატეგიაში ეს საკითხი ძალიან მკაფიოდ უნდა ითქვას და შევცვალოთ ეს პრეზუმცია ერთი წინადადებით. - ქონება, რომელიც დარეგისტრირებული არ არის კერძო საკუთრებად, გამოცხადდეს მუნიციპალურ საკუთრებად.

ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით იმ სისტემის, რაც ახლა გააკეთა ფინანსთა სამინისტრომ, გვულისხმობ დღგ-ს განაწილებას. კიბატონო 2019 წელს 50 მილიონით გაიზარდა ბიუჯეტები, მაგრამ ამ სისტემით ფინანსური დეცენტრალიზაცია მთავრდება, ანუ ეს ხდება მუდმივად 19 % და მუნიციპალური ფინანსების წილი არასოდეს აღარ შეიცვლება მთლიან საჯარო ფინანსებში, იმიტომ რომ დღგ-ზე იქნება მიბმული და გაიზრდება ფინანსურად მთლიანი შიდა პროდუქტი. არ გაიზრდება და მთლიან საჯარო ფინანსებში მუდმივად დარჩება ის წილი, რაც არის ძალიან პატარა. რატომ არის ცუდი რაც ფინანსთა სამინისტრომ გააკეთა - დამატებითი

ღირებულების გადასახადის დატოვება კლავს მოტივაციას. მუნიციპალიტეტმა რაც არ უნდა კარგად იმუშაოს, მისი შემოსავლები გაიზრდება იმ შემთხვევაში თუ მთლიანად დღგ გაიზრდება. ამიტომ გთავაზობთ მოდელს, რომ საშემოსავლო გადასახადი, გახდეს ზიარი გადასახადი, ამ შემთხვევაში თითოეული დასაქმებულიდან მუნიციპალიტეტებში წამოვა შემოსავალი და მეორე - უნდა აღდგეს გათანაბრებითი ტრანსფერი, მინდა ავღნიშნო რომ ეს ჩვენი საერთაშორისო ვალდებულებაცაა, ასოცირების ხელშეკრულებაში, გათანაბრებით პოლიტიკაზე ძალიან მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოთხოვნებია, რომლებიც ჯერჯერობით არ სრულდება საქართველოში. გათანაბრებითი ტრანსფერის ფონდი პროცენტულად პირდაპირ უნდა იყოს მიბმული ბიუჯეტზე, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ გეცოდინებათ დაახლოებით 5 წლიან პერსპექტივაში თუ რა ფინანსური სახსრები გექნებათ.

ნიკოლოზ როსებაშვილი - საშემოსავლო ნაწილის გაზიარების თემით დავიწყებ. აქ ითქვა, რომ სტრატეგიაში არ გვაქვს შესაბამისი ჩანაწერი, რასაც არ ვეთანხმები. პრეზენტაციისას აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ, რომ შესაბამისი ჩანაწერი არის სტრატეგიაში და შემიძლია ეს ამოვიკითხო. თუ არ არის მისაღები, გარდა იმისა , რომ ვერ მივუთითებთ კონკრეტულად პროცენტს, რაზეც ვართ შეთანხმებულები, მაშინ დავხვეწოთ. ჩვენ სტრატეგიის წესში პირდაპირ გვიწერია -საშუალოვადიან პერსპექტივაში, საბიუჯეტო კოდესქში ცვლილებების მომზადება, რომლის მიზანია, ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარი შემოსავლების გაზრდა მათი უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, ამ კუთხით, განხილული იქნება საშემოსავლო გადასახადის საზიარო წილის პროცენტის ცვლილება.

თქვენი ფრომულირება რაც შემოგვთავაზეთ, ცოტა განსხვავებულად გვეწერა, მაგრამ ჩვენი ბოლო შემუშავების შედეგადად ასეთი ფორმულირებაა. რაც არ მიხსენებია ჩემი პრეზენტაციის დროს, მნიშვნელოვანი რასაც ირაკლი მელაშვილი შეეხო არის ის, რომ ამ სტრატეგიის შემუშავების დასაწყისში პოლიტიკური განაცხადი იყო, რომ სტრატეგიის განხორციელების ბოლოს მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან უნდა იყოს არანაკლებ 7 %. რაც არის დაფიქსირებული და ასე ვთქვათ, მთავარი მიზანი ფინანსურ ნაწილში. ეს არის ერთგვარი ევროპული სტანდარტი. დღეს ჩვენი მუნიციპალიტეტების წილი მშპ-სთან მიმართებაში გახლავთ დაახლოებით 4,6 % , საიდანაც 2,2 % მიდის თბილისზე და დანაჩენი დანარჩენ საქართველოზე. რაც ნათლად ცხადჰყოფს იმას, რომ უთანაბრობა არის ძალიან დიდი.

წარმოდგენილი მოდელით, რაც 2019 წელს დამტკიცდა, როგორც მახსოვს, განაწილების შედეგად ჩვენ გვექნება **51 და რაღაცა %** თბილისის შემთხვევაში და მომდევნო 19-20-21 წლების განმავლობაში, ფინანსთა სამინისტროს დაპირებით, ეს პროცენტი თბილისის შემთხვევაში ჩამოვა 34%-ზე. საუბარი იყო სწორედ იმაზე, რომ ამ მოდელით, ჩვენი გეგმაა 51 % დან თბილისი ჩამოვიყვანოთ 34 % ზე. რეალურად თუ ეს იქნება შესაძლებელი და რეალურად თუ ჩვენ მანამდე მომზადებული გვექნება ის თუ როგორ გავყოთ საშემოსავლო გადასახადი. ანუ ამით იმის თქმა მინდოდა, რომ არსებული მოდელი წინასგან განსხვავებით არის უფრო მეტად პროგნოზირებადი, აღარ შეიცავს დემოტივატორებს და არის თბილისის კლებისკენ ორიენტირებული. პრინციპში ამ სტრატეგიის ტექსტი, ჩვენ თუ სამოქმედო გეგმაში შესაბამის

ღონისძიებებს ჩავწერთ და იმ ტექნიკურ ნაწილებს, რასაც ფინანსთა სამინისტრო გვისახელებს მოვაგვარებთ 2019 და 2020 წელში გადასახადის გადამხდელის ადგილის მიხედვით ...

ასევე ითქვა, რომ 2019 წელს ბიუჯეტის კანონით განისაზღვა 19% დღგ-ს შემთხვევაში და ეს იქნება უცვლელი. ამაშიც ვერ დაგეთანხმებით, რადგან ამ თემაზეც გვქონდა არაერთი განხილვა. 2019 წლის ბიუჯეტის კანონში ეს არის 19% , 2020 წლის ბიუჯეტის კანონში ეს შეიძლება იყოს 20% ან 21%. ანუ ფაქტია რომ ეს არ იქნება კლებადი.

სტანდარტების ნაწილზე მინდა გითხრათ პირდაპირ, რომ ჩვენ გვაქვს შემდეგი ჩანაწერი ტექსტში: თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილელებთან მიმართებაში დადგინდეს განხორციელების მინიმალური სტანდარტი და უზრუნველყოფილ იქნას მისი დაცვა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა. ის რომ ეს არ გვიწერია ვერ დაგეთანხმებით. პრინციპში ამ ფორმულირებასთან დაკავშირებით თქვენი მოსაზრებები გვაქვს, კიდევ თუ შეიძლება დახვეწა და თვითმმართველობებსაც ექნებათ მოსაზრებები, შეგვიძლია ამაზე დამატებით კიდევ ვიმსჯელოთ.

რაც შეეხება ქონების საკითხებს, პრეზენტაციის დროს გამიზნულად არ გავამახვილე ყურადღება ამ თემაზე.
ქონება არის ერთ-ერთი ის საკითხი, რომელზეც ამ მუშაობის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტი ჩამორჩენა გვაქვს. შეთანხმებულები ვართ, რომ დამატებით მასალებს მივიღებთ ეკონომიკის სამინისტროდან, ამაზე იქნება ცალკე მიმართულებით შეხვედრები და აუცილებლად იქნება მიღებული გადაწყვეტილება. მათ შორის, ისიც სათქმელია, რომ კანონით, ის განსაზღვრული ვალდებულება, რაც გვაქვს დაიძრას როგორმე, რომ არასასოფლო სამეურნეო მიწების გადაცემის წესი და პირობები შემუშავდეს, რაც შეიძლება მალე. ანუ ქონებასთან დაკავშირებით მუშაობა გრძელდება და სტრატეგიის დამტკიცებამდე ამ კუთხით ჩანაწერები გვექნება.

ნადიმ ვარშანიძე ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარე - კარგია რომ ვსაუბრობთ დეცენტრალიზაციაზე. თუმცა მოგეხსენებათ რომ ჩვენ ამ მიმართულებით ბევრ შეხვდრებზე გვისაუბრია, მაგრამ ნაბიჯები ჯერ ბოლომდე არ გადადგმულა.
როდესაც ჩვენ კომუნიკაციებზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს მოქალაქეების ჩართულობა. თუ ჩვენ ვსაუბრობთ დეცენტრალიზაციაზე, ვსვავ შეკითხვას - რა უფლებები გვაქვს მუნიციპალიტეტებს და რას ვაკეთებთ. თუ ვართ მერები და საკრებულოების წევრები, უნდა ვიყოთ თვითმმართველობა და არა თავკომბალას სისტემა. ამიტომ უნდა შეიცვალოს მიდგომა. ვერაფერს ვერ ვახერხებთ. ქონების მართვის სამინისტროს რაში სჭირდება, მაგალითისთვის მომყავს სოფელ მაჭახელში არსებული მიწა? კარგი იქნება თუ ამ კუთხით ვიმუშავებთ და მიწებს გადავცემთ მოქალაქეებს, საიდანაც მუნიციპალიტეტში შევა შემოსავალი.
ასევე პრობლემაა ტყის საკითხთან დაკავშირებით. ამ მიმართულებითაც არავითარი ფუნქცია არ გვაქვს. ეს საკითხიც უნდა დადგეს და დელეგირება უნდა მოხდეს.

ასევე დავიწყეთ სკოლების მართვა და მათი რეაბილიტაცია. სკოლის მთავარი ფუნქცია განათლების მიცემაა. მხოლოდ ფასადური არა, იქ ვინ სწავლობს, ვინ ასწავლის, რა პროგრამებია - ამაში ინტენსიურად უნდა იყოს ჩართული მუნიციპალიტეტი. გავაგრძელებ ტყის თემას. საერთოდ უძლურია მუნიციპალიტეტი. არ ვიცით გარემოს დაცვა რას აკეთებს და რა სამუშაოებს აწარმოებს, მუნიციალიტეტები საერთოდ არ ვართ ჩართული. მოუწერენ ხელს, ჩამოდის და ხელვაჩაურში ბალასტს იღებს. მაინტერესებს უნდა იცოდეს თუ არა მუნიციპალიტეტმა რა ხდება მის ტერიტორიაზე და ვართ თუ არა თვითმმართველი ორგანო. მე არ ვამბობ რომ მუნიციპალიტეტს ქონება ვაჩუქოთ, უბრალოდ მოგვეცით უფლება დავეხმაროთ მოსახლეს საფლავის ან გზის გაკეთებაში. მოდის გლეხი და ვეუბნებით, მიწა, ხრეში, გზა და ტყე მე არ მეხება, მხოლოდ მანქანით სიარული მეხება? ინფრასტრუქტურული სამუსაოების გარდა, რომელზეც თანხას სამინისტრო გვირიცხავს, ვერაფერს ვაკეთებთ. ამიტომ მოხარული ვარ , რომ დაიწყო საუბარი დეცენტრალიზაციაზე და მივესალმები, მაგრამ ამას ხოცშესხმა სჭირდება. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა გვქონდა და ისიც მოგვიხსნეს. თუ ფული და ქონება არ გვექნება რა უნდა ვაკეთოთ? ღელედან რომელიც ჩამოდის ხელვაჩაურში და უერთდება მდინარე მაჭახელას ჩემი ტექნიკით ამოვიღებ ღორღს და ისევ იმ სოფელს მოვახმარებ, მაგრამ კანონით რაც დღეს არსებობს, არ შეიძლება. თანახმა ვართ გვქონდეს ლიმიტი. მოსახლემ რომ ურემით ამოიღოს ათას ლარიანი ჯარიმაა, როცა ამ დროს მოდის ვიღაც ბიზნესმენი და იღებს კუბობით მასალას, სად მიაქვს არც ვიცით.

ფრიდონ ფუტკარაძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერი - გეთანხმები ბატონ ნადიმს და მინდა დავამატო, რომ კარგი იქნებოდა საკონონმდებლო საკითხები დარეგულირდეს და ერთი ნაბიჯით წინ წავიწიოთ. ჩვენზე უკეთ არ იციან სად რა გვჭირდება, არანაირი ბერკეტი არ გვაქვს, რომ რაიმე ფორმით ჩავერთოთ ამ პროცესებში. ქონება მხოლოდ მიწა ხომ არ არის? მაგალითად ფართია ამ მიწაზე, რომლსაც გამოვიყინებთ. გვყავს მოსახლეობა, რომლებიც ამორტიზირებულ შენობებში ცხოვრობენ და საფრთხის თავიდან ასაცლებლად გადავიყვანდი ამ ადამიანებს. ამ კუთხით ბიუროკრატიაა . მივწერთ წერილს ან არ გვპასუხობენ ან უარყოფითი პასუხები გვიბრუნდება. ეს სტრატეგია კარგია , მაგრამ მხოლოდ ეს არ გვიშველის თუ ქმედითი ნაბიჯები არ გადაიდგა.

ლევან გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერი - ვეთანხმები შეხვედრაზე განხილულ საკითხებს, მიწის საკითხს ერთს დავამატებდი. მიმაჩნია, რომ მიწა, სადაც სახელმწიფო ობიექტი არ დგას პირდაპირ უნდა გადაეცეს მუნიციპალიტეტს. მაგალითად 5 თებერვალს გავაგზავნეთ დოკუმენტი, რომ ვაშენებთ სოციალურ სახლს, სადაც მიწის ნაწილი ჩვენია და ნაწილი სახელმწიფოსი. 800 ათას ლარიანი პროექტი ჩავარდა წელს, იმიტომ რომ მე ვერ მივიღე დოკუმენტი და ნებართვა. თუ მიწა არის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ის უნდა ეკუთვნოდეს მუნიციალიტეტს. მე როგორ შევქმნა მუნიციპალიტეტის სტრატეგია, როდესაც არ ვიცი ეს მიწა ვისია.

მეორე საკითხი- საარჩევნო პროგრამაში გაჟღერებული იყო, რომ ჩვენ

მრავალდონიანი თვითმმართველობა უნდა შეგვექმნა და ერთ-ერთი მთავარი იყო თემის დონე. ხუთ სოფელში ერთი სპეციალისტია და ისიც თემის მმართველი კი არა, ჩემი წარმომადგენელია იმ თემში. ანუ ეს საკითხი მნიშვნელოვანია პოლიტიკურად, ასევე კომუნიკაციისა და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, რადგან ის ადამიანი ყველაზე კარგად ხედავს რა სჭირდებათ სოფლებს.

და მესამე საკითხი - დასაწყისშივე საუბარი შეეხო იმას, რომ ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მოსწავლეების ტრანსპორტირება, რომელიც ძალიან მძიმე თემაა და არავის არ გამოუთქვამს სურვილი. აჭარის დელეგაციამ ხელი არ მოაწერა იმ შეთანხმებაზე, რომელიც ასე ვთქვათ, ხელში მოგვაჩეჩეს. რემონტებს მიჩვეული ვართ და ვიცით, მაგრამ ტრანსპორტირება სპეციფიური თემაა და ამის არც გამოცდილება და არც რესურსი არ გვაქვს, მითუმეტეს არც გაგვაჩნია და ვერც მოვიძიებთ იმ ტრანსპორტს , რომელიც სჭირდება ამ საქმეს. ტექნიკური დათვალიერების შემდეგ ფაქტიურად აღარ დარჩა სატრანსპორტო საშუალება. რაც მთავრია ეს გამოვა სოციალური პროექტი, რადგან კარგი აუდიტი ჩვენ ამას არამიზნობრივ ხარჯში ჩაგვითვლის. რადგან სკოლა და განათლების სისტემა ჩვენი არ არის, არსებობს რესურსცენტრი, მე არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, ამიტომ აჭარაში ყველაზე კარგი გამოსავლი იქნება ეს თემა სამინისტრომ განახორციელოს. როგორც კი მუნიციპალიტეტი ამას განახორციელებს , ავტომატურად მოყვება ამას ბავშვების საბავშვო ბაღებში მიყვანა. ჩვენ ვამბობთ რომ სკოლები ჩვენი არ არის და განათლების სამინისტრომ მიხედოს, მაგრამ ბაღები ხომ ჩვენია? ამიტომ მოსწავლე თუ მიგყავს სკოლაში , რატომ არ მიგყავს ბაღში აღსაზრდელი.

ნათია აფხაზავა - არასამთავრობო ორგანიზაციის ,, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“ აჭარის ფილიალის ხელმძღვანელი - სიმართლე გითხრათ მეტი მოლოდინი მქონდა სტრატეგიასთან დაკავშირებით. მაინტერესებს წყარო თუ საიდან წამოვიდა ეს ინიციატივა. ანუ თვითმმართველობებმა მოითხოვეს უფლებამოსილების დამატება, თუ ეს არის მთავრობის ხედვა? მე არ ვიცი მუნიციპალიტეტი რომელსაც სკოლებთან მიმართებაში სურს ამ უფლებამოსილების განხორციელება. მითუმეტეს აჭარაში, როდესაც განათლების სამინისტრო ძალიან ბევრ პროგრამას ახორციელებს აღნიშნულთან მიმართებაში. ასევე, რომ გადავხედოთ უფლებამოსილების ჭრილს, რაც თვითმმართველობის კანონმდებლობაშია, შეიძლება ითქვას, რომ ერთეული მუნიციპალიტეტები არიან, რომლებიც სრულად ახორციელებენ ამ უფლებამოსილებას. თუ თვითმმართველობა ფინანსურად არ იქნება გაძლიერებული, ეს უფლებამოსილებები იქნება ჰაერში. არის უფლებამოსილებები, რომლებსაც საერთოდ ვერ ახორციელებენ, მითუმეტეს მაღალმთიანი მუნიციპალიტეტები. ადრე ასეთი უფლებამოსილებები გადავეცით სამინისტროებს, სამი ახალი უფელამოსილება ჰქონდა მუნიციპალიტეტს - ეს არის კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაციის პროგრამის მხარდაჭერა, იგივე ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა. ამ კუთხით ერთეული მუნიციპალიტეტები ახორციელებენ უფლებამოსილებებს რადგან არ არის ფინანსური რესურსი.
ასევე მეტი მოლოდინი მქონდა, რომ დოკუმეტში, მონაწილეობით

კომპონენტზე უფრო კონკრეტული ხედვები იქნებოდა წარმოდგენილი. სამწუხაროდ აღნიშნულ დოკუმენტში ძალიან სუსტადაა წარმოდგენეილი ეს კომპონენტი და მაინტერესებს რას აპირებთ იმისათვის რომ ეს თემა უფრო ეფექტური იყოს თვითმმართველობებში.

ლაშა კომახიძე - ბათუმის მერი - მაინტერესებს, თუ არის ნაფიქრი აჭარის ავტონომიის სპეციფიკაზე, ანუ სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არის სამინისტროები და როდესაც საუბარია ცალკეული ფუნქციების თვითმმართველობისთვის გადაცემაზე, საინტერესოა ამ სამინისტროების როლი და მათი დამოკიდებულება ამ საკითხების მიმართ. ხომ არ ჯობია რიგი ფუნქციები სამინისტროებს გადაეცეთ.

მეორე საკითხი - საუბარი იყო სოციალურ გასაცემლებზე, ასეთი ტიპის უფლებამოსილების გადაცემა თვითმმართველობაში,(ვეთანხმები ირაკლი მელაშვილს, როდესაც საუბრობდა სტანდარტებზე,) უნდა დაემყაროს კონკრეტულ სტანდარტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გამოიწვევს სოციალური შემწეობების სხვადასხვა პაკეტს მუნიციპალიტეტიდან მუნიციპალიტეტში, რაც დღეს გვაქვს. მაგალითად ბათუმში გვაქვს ყველაზე მაღალი სოციალური პაკეტი, რაც ხდება მიგრაციის მიზეზი. ამიტომ ზოგადად ამ სტანდარტებზე გამოთქმულ თემას ვეთანხმები, სტანდარტირიზებული უნდა იყოს მთელი რიგი სერვისებისა, იმისთვის რომ მოიხსნას სხვადასხვა ტიპის რისკები. ასევე საუბარი იყო სხვადასხვა სერვისების ღირებულების განსაზღვრაზე. აქ ჩემი შენიშვნა მაქვს და მაგალითს მოვიყვან. ბათუმის შემთხვევაში წყლის საფასურის ღირებულება იმდენად მაღალია, რომ მას მოსახლეობის 90% ვერ გადაიხდის. ამიტომ ბათუმის მერია ახდენს სუბსიდირებას ამ მიმართულებით და ბათუმის წყალს (თავისივე ორგანიზაციას) უხდის ძალიან დიდ თანხას, რომ მან შეძლოს ოპერირება. რა თქმა უნდა ჩვენ კმაყოფილი ვიქნებით და კარგი იქნება თუკი ამ თანხებს მივიღებთ ცენტრალური ხელისუფლებიდან, როგორც კომპენსაციას, თუმცა აქ სხვა ბევრი საკითხები წარმოიშვება. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელასტიურობა მოსაკრებლებისა და საჯარიმო სანქციების დაწესების კუთხით. ვიცით რომ არ გვავქს საჯარიმო სანქციების დაწესების უფლებამოსილება და მოსაკრებლის კუთხით, ასევე შეზღუდულები ვართ. ხომ არ იქნებოდა უფრო კარგი მოდელი, არ არსებობდეს შეზღუდული სფეროები , არამედ ეს იყოს მომართვის საფუძველზე? ანუ თვითმმართველობას შეეძლოს მიმართვა ცენტრალური ხელისუფლებისთვის გარკვეული უფლებამოსილების ერთეულზე მოთხოვნით, რომ უნდა ამა თუ იმ მოსაკრებლის შემოღება და მისი დასაბუთების შემთხვევაში ამ მოსაკრებელზე მიიღოს ნებართვა და ეს თავიდანვე არ იყოს ავტომატურად დაკეტილი სფერო. ანუ მინინუმ გვექნება დასაბუთების შესაძლებლობა თუ რატომ არის საჭირო ეს მოსაკრებელი.

ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია ავურიოთ დალაგებული სისტემა, ამიტომ ეს უნდა იყოს კონტროლირებადი ცენტრალურ დონეზე. ინდივიდუალური მოსაკრებლებით შეგვიძლია სერიოზული გავლენა მოვახდინოთ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. უგონოდ დაწესებულმა მოსაკრებელმა შეიძლება მთელ რიგ სფეროებში დაამხოს ინვესტორები და სხვა მოთამაშეები, ამიტომ ეს აუცილებლად უნდა იყოს კონტროლირებადი. თუმცა აღვნიშნავ, რომ ჩვენ

ტარიფზე მჯელობის და დამტკიცების შესაძლებლობა აუცილებლად უნდა მოგვეცეს. რაც შეეხება საჯარიმო სანქციებს, ვფიქრობ, ჩვენ უნდა შეგვეძლოს ამის გამკაცრება, რადგან მთელ რიგ მიმართულებებში საქმე გვაქვს იმდენად სასაცილო საჯარიმო სანქციებზე, რომ შემსრულებელი შეგნებულად იხდის ჯარიმას და მილიონობით შემოსავალს იღებს მისთვის სასაცილო 3 ათას ლარიანი ჯარიმების საპირწონედ.

კოკა კიღურაძე, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია - როგორც ვიცი ამ სტრატეგიას უნდა ახლდეს სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში ამ სტრატეგიის გაწერა ამ ფორმით რაც ეხლა არსებობს ფაქიურად შეუძლებელია, ვთქვათ კვლევა დავწეროთ, მაგრამ ის კონკრეტული მოქმედებები, რომელიც არის მნიშვნელოვანი, უფრო მეტად დაკონკრეტდეს ამ სტრატეგიაში და შემდეგ გარდაისახოს სამოქმედო გეგმაში. მაქვს კითხვა, როდის იქნება ამ სტრატეგიის სამოქმედო გეგმა.

ნიკოლოზ როსებაშვილმა ჩამოთვალა ის უფლებამოსილებები, რაც შეეხებოდა სკოლას. დელეგირებულ უფლებაოსილების ნაწილში მოსწავლეთა ტრანსპორტირებას, მაგრამ გარდა ამ უფლებამოსილებებისა, არსებობს თუ არა კიდევ უფრო მეტი ჩამონათვალი, ვგულისმობ მუნიციპალური ტრანსპორტის საკითხს. თვითმმართველი თემები მოკლებულნი არიან ტრანსპორტთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, როცა მათ ორგანულ კანონში პირდაპირ უწერიათ ეს უფლებამოსილება.
იგივე წყალთან მიმართებაში, რომელიც ორგანულ კანონში გაიწერა, იგივე ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების თემა, რომელიც ასევე გაიწერა მაგრამ მისი განხორციელება ვერ ხდება. ხომ არ ჯობია სტრატეგიაში დავაკონკრეტოთ, რომ ამ უფლებამოსილებასთან მიმართებაში მოხდება შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.
ეს უკვე მზა საკითხებია, რომლებიც ზედაპირზე დევს. მე ახლა სიღმეებში არ წავალ, თუ რა შეიძლება კიდევ ამოვიდეს აქედან, მაგრამ სულ მცირე, რაც ორგანულ კანონში გვიდევს ტრანსპორტი, წყალი, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები - აი ეს აკლია ჩემი აზრით ამ სტრატეგიას.

ასევე მნიშვნელოვანი თემაა მოხელეთა სწავლების სისტემა, რაც გაშლილად უნდა იყოს სტრატეგიაში. ის რომ , მუნიციპალიტეტებს აქვთ ვალდებულება 1% გამოყონ მოხელეთა გადამზადებისთვის, საინტერესოა სახელმწიფო რა სისტემას სთავაზობს მუნიციპალიტეტებს ამ თანხის ასათვისებლად. ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებსაც თუ მისცემთ საშუალებას ჩაერთონ ამ სისტემებში და სახელმწიფომ საჭიროებთა კვლევით ანალიზზე დაყრდნობით განახორციელოს ეს კონკრეტული სისტემა.

დავით მჭედლიშვილი -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - მადლობას მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხებს ერთად განვიხილავთ. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ დეცენტრალიზაციაზე, ყველა ვთანხმდებით იმ საკითხზე, რომ გვსურს ჩამოვაყალიბოთ გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობა. დღეს რაც გაჟღერდა მნიშვნელოვანია და დავამატებ, რომ მუნიციპალიტეტებს არ გვაქვს განვითარების გრძელვადიანი გეგმა, არ ვიცით საით მივდივართ, რა

შეგვიძლია, რას ვაკეთებთ, ფაქტიურად ჩიხში ვართ როცა ვგეგმავთ გრძელვადიან პროექტებს. მოსახლეობასთან მისვლის შედეგი არის პრობლემები, რომლებსაც ვერ ვწყვეტთ. აქედან გამომდინარე ჩვენ არ ვართ გამჭირვალე თვითმმართველობა. ფაქტიურად გამოდის, რომ სურვილი გავქვს, მაგრამ მოჭრილი გვაქვს ყველა გზა.
სოციალურ საკითხებში დავამატებდი ქულების მინიჭების ფორმულას. დღეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობა გაურკვეველ მდგომარეობაშია. უცებ ვარდებიან ამ სიიდან და რჩებიან დახმარების გარეშე. ძალიან ცუდია, რომ თვითმმართველობა ვერ ერევა ამ საკითხში, არადა ყველაზე მეტად თვითმმართველობამ იცის მისი მოქალაქის სოციალური მდგომარეობა. ასევე, თუ მოტივაცია არ მივეცით ჩვენ თვითმმართველობებს გამოდის რომ ვკლავთ დიდ შანსს იმისა რომ ვიფიქროთ ჩვენს განვითარებაზე. ასევე საჭიროა მოსაკრებლების გადახედვაც. ქობულეთი ტურისტული მუნიციპალიტეტია და როგორ შეიძლება არ ვიფიქროთ ნორმალურ მოსაკრებელზე. ვეთანხმები ბატონ ლაშას რომ ყველაფერი შეთანხმებული უნდა იყოს, არ უნდა გაგვექცეს ინვესტორი, მაგრამ როგორ შეიძლება ქობულეთში იყოს გადასახადი 025 და სადღაც იყოს 1 ან 05. როგორ შეიძლება ჩვენ არ ვიფიქროთ ტურისტულ მოსაკრებელზე, რომელიც შესაძლოა განვითარების მიმართულებით წავიდეს და ხვალ და ზეგ მუნიციპალიტეტს შესანიშნავი შანსი მიეცეს იმისა, რომ გადაწყვიტოს რაღაც პრობლემები.
მე მჯერა, რომ ეს შეკრება ემსახურება ამ პრობლემების მოგვარებას და კარგად ჩანს, რომ ამ საკითხებზე მართლაც ნაფიქრია. ვხედავ რომ სწორი გზით მივდივართ და ჩემი სურვილია ასეთი შეხვედრები ხშირი და შედეგიანი იყოს და აისახოს კანონში და ამ პროექტში.

ვახტანგ ბერიძე- ხულოს მერის მოვალეობის შემსრულებელი - მე სულ რაღაც 2 თვეა ჩავერთე ამ საქმიანობაში და მინდა ავღნიშნო რომ ძალიან კარგია ასეთი შეხვედრები. ჩემი კოლეგები უკვე შეეხნენ საკითხებს, რომლებიც მაწუხებს და აღარ განვმეორდები. უბრალოდ დავამატებ გზების თემას. და ვისუბრებ გარემოს დაცვისა და საგზაო დეპარტამენტის დამოკიდებულებაზე. ჩვენ გარდა იმისა, რომ საგაზაოს ბალანსზე არსებული გზები გვაქვს გასაკეთებელი, არსებობს შიდა სასოფლო გზები, რომლებიც მაღალმთიან სოფლებშია და დაბის ცენტრიდან 30-40 კმ-ით არის მოშორებული. მინდა აღვნიშნო, რომ გასულ წელს ფაქტიურად გზები ვერ გავაკეთეთ, რადგან ძალიან გართულებულია ადგილზე ბალასტის მიტანა და მიმაჩნია რომ უნდა გამარტივდეს ეს პროცესი. წლების განმავლობაში ეს პროცესი გვარდებოდა შემდეგნაირად. გზასთან ახლოს ყველგან არის კარიერი, რომელსაც იღებდნენ და უცებ აკეთებდნენ. ახლა როდესაც მოსახლეობასთან გვიწევს იმის ახსნა , რომ გზის მოხრეშვას გარემოს დაცვის სამინისტროს ნებართვა სჭირდება ძალიან ცუდია. გასათვალისწინებელია, რომ სოფლებში გზები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, რომელსაც ხელშეწყობა სჭირდება.

შუქრი თურმანიძე ქედის საკრებულოს თავმჯდომარე - კარგი იქნება თუ ანალოგიური შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება. სტრატეგია ჩემთვის მთლიანობაში მისაღები და მოსაწონია, რათქმაუნდა იმ შენიშნების გათავლისწინებით, რაც აქ ითქვა, მაგრამ ერთი შეკითხვა მაქვს 2025 წლამდე

6 წელია, დეცენტრალიზაცია რომ განვითარდეს და უფრო მოკლე ვადებში გაკეთდეს კარგი იქნება.

ნიკოლოზ როსებაშვილი - სანამ კონკრეტულ კითხვებზე გადავალ, რამდენიმე ზოგადი მოსაზრება იყო გამოთქმული და ამასთან დაკავშირებით გიპასუხებთ. მოსაზრებები, რომლებიც უკავშირდებოდა იმ თემებს, რომ თითქოს 1 წელი გავიდა და რატომღაც არ არის გარკვეული ნაბიჯები გადადგმული და წინ ვერ მივდივართ. იყო საუბარი მუნიციპალიტეტებთან კონსულტაციებზე , ბოლოს, კი გაჟღერდა მოსაზრება ვადების შემცირებაზე. როდესაც კონკრეტულ სფეროში რაიმე სამოქმედო გეგმა ან სტარტეგია იქმნება, როგორც წესი ეს არის ხოლმე ერთი სამინისტროს საკეთებელი საქმე, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო არის ამ პროცესის წამყვანი და მთავარი მაკოორდინებელი, დამერწმუნეთ, ეს ყველა სამინისტროს საკეთებელი საქმეა. შესაბამისად ის პროცესი, რაც დღეს მიდის და ზოგს დროში გაწელილად ეჩვენება, არის საკმაოდ კომპლექსური. დამერწმუნეთ რომ ეს მხოლოდ ჩვენი სამინისტროს სტრატეგია არ არის და ძალოვანი სამინისტროების გარდა, მოითხოვს თითქმის ყველა დარგობრივ სამინისტროსთან კონსულტაციებს და თითოეული საკითხის ირგვლივ შესაბამის ანალიზს, კვლევას და ა.შ. ამიტომ, მერწმუნეთ, რომ ჩვენ მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში ვცდილობთ ამ პროცესის წაყვანას, მაგრამ ვიმეორებ, ეს პროცესი არის მრავალწახნაგოვანი და არის საკმაოდ კომპლექსური. შესაბამისად ის განცდა რომ გავიდა 1 წელი და არაფერი გაკეთებულა ამ პროცესებთანაა დაკავშირებული.

ასევე შევეხები თემას ვადებთან დაკავშირებით. 2019-2025 სტარეტეგიას ერქმევა საშუალოვადიანი სტრატეგია. ვფიქრობთ, ეს არის ის ვადა, რომ ამ ეტაპისთვის გარკვეული ნაბიჯები გადავდგათ და 2025 წლისთვის შევძლოთ გარკვეული შედეგების დანახვა. შეიძლება ვადასთან დაკავშირებით მოსაზრებები კიდევ მივიღოთ, მაგრამ ჯერჯერობით მოცემულობა გვაქვს რომ ეს იქნება 2019-2025 წლები. ახლა კი პასუხები კითხვებზე - რათქმაუნდა სტრატეგიას სამოქმედო გეგმა აუცილებლად ექნება. რეგიონებში წამოსვლამდეც აქტიურად ვმუშაობდით სამოქმედო გეგმაზე. უმეტესი ნაწილი უკვე დაწერილია და მალე დავიწყებთ ამის გავლას სამინისტროებთან.

რაც შეეხება სტრატეგიაში გასაწერ ღონისძიებებს. არის საკითხები რასაც ანალიზი სჭირდება. დღეს რაღაც სიახლეები გავიგე ბავშვების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, ამიტომ საუბარი არ არის იმაზე, რომ ჩვენ დღეს ვფიქრობთ, ხვალ მუნიციპალიტეტებს რაღაც უფლებამოსილებები ასე მარტივად გადავცეთ და ისინი პრობლემების წინაშე დავაყენოთ.

კარგი იქნებოდა დღეს გაანალიზებული და გათვითცნობიერებული გვქონდეს, თუ რას გადავცემთ მუნიციპალიტეტებს. ამ სტარტეგიის პრინციპი სწორედაც ისაა, რომ მათ უფლებამოსილებები უნდა გაეზარდოთ ამ პრინციპის დაცვით, რომ ჩვენ სამოქმედო გეგმით დავიწყოთ იდენფიცირება, შემდეგ გაანალიზება იმ სერვისებისა რაც შეიძლება ჩავიტანოთ ქვემოთ. მაგალითად დღეს გამოითქვა მოსარება, რომ აჭარაში უფლებამოსილებების ნაწილი მუნიციპალიტეტებში კი არა, შესაძლოა ავტონომიური რესპუბლიკის

სამინისტროებში იყოს ასატანი. ამიტომ რთულია დღეს ჩაიწეროს კონკრეტული სახის უფლებამოსილება რომელზეც ვიიტყვით, რომ ეს 2025 წელს აუცილებლად განსახორციელებელი იქნება. პრინციპი გვაქვს ასეთი აღებული, რომ პირველ ეტაპზე , 2019 წელს ვგულისხმობ, საუბარია ინდენციფირებაზე, გაანალიზებაზე, მომზადებაზე და საკითხების მომწიფებაზე, 2020 დან კი, შესაძლოა ვთქვათ, რომ ეს გაანალიზებულია და გადავდგათ უკვე კონკრეტული ნაბიჯები.

ნიკოლოზ როსებაშვილი - არასიმეტრიულ უფლებამოსილებებს გულისხმობთ? მაგაზეც იყო სამუშაო ჯგუფში მსჯელობა და ორი ვარიანტია, დღევანდელი მოდელით მაგალითად ვიღაცას დელეგირებული ხელშეკრულება დავუდოთ და რაღაცა მივცეთ, მაგალითად ბათუმს, ქუთაისს და ზუგდიდს და დანარჩენს არ მივცეთ მაგრამ კიბატონო მაგაზე მსჯელობაც შეიძლება. ჩვენ ვფიქრობდით, რომ სტრატეგიაში ჩაგვეწერა, რომ შესაძლებელი იქნება ასიმეტრიული უფლებამოსილებების განხორციელება და საკანონმდებლო დონეზე ეს ასახულიყო. მაგრამ რომ დავუბრუნდე ისევ იმას, ანუ პრინციპი ეგ გვაქვს აღებული და სამოქმედო გეგმაზე რომ გადავალთ , (ალბათ მომდევნო შეხვედრაზე წესით უნდა გადავიდეთ), შესაძლებლობა გვექნება, რომ დავინახოთ რა ღონისძიებებს ვაპირებთ 2019 ში იმისთვის რომ 2020 ში ჩავწეროთ კონკრეტულად. რაც შეეხება არსებულ უფლებამოსილებებს, წყალიც გვიწერია კოდექსში და სხვა რაღაცეებიც. პირველი სტრატეგიის მიზანში რაც ვთქვი , რომ არსებულ უფლებამოსილებებში მხარდაჭერა ასევე ამას ვგულისხმობდით, თუ რა არის ისეთი უფლებამისლებები, რაც დღეს საჭიროებს ფინანსურ დამატებით რესურსებს, საკანონმდებლო ცვლილებებს და ა.შ. ანუ სამოქმედო გეგმაში ჩვენ უნდა ჩავწეროთ კონკრეტულად , რომ დღეს არსებული უფლებამოსილება არის ეს, რომელიც ვერ ხორციელდება, ამის და ამის გამო და სჭირდება ესა და ეს.

შეჯამება

დავით მელუამ ნიკოლოზ როსებაშვილს მადლობა გადაუხადა და შეხვედრა შეაჯამა. მე მხოლოდ ფასილიტატორი ვარ, მაგრამ შეჯამების საკითხში ჩემს რამდენიმე აზრსაც მოგაწოდებთ. პირველ რიგში ძალიან ბევრი პრობლემები რაც ითქვა, რათქმაუნდა არ არის ახალი და ეს ყველამ ვიცით და ბევრ საკითხს ვეთანხმებით, მაგრამ მთავრია ერთი, მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ იდეალური დოკუმენტის მიღება საერთოდ შეიძლება. მთავარია, რომ ამ დოკუმენტს ჰქონდეს პერსპექტივა. ჩემი აზრი ასეთია, რომ ეს დოკუმენტი იყოს ღია დოკუმენტი, ანუ რაღაც რომ დამტკიცდება უნდა ვიცოდეთ რომ ამას გარკვეული პერიოდის შემდეგ უნდა მოვუბრუნდეთ, უნდა შევავსოთ, უნდა გავაძლიეროთ და სამთავრობო კომისიის საქმე არის აქ ძალიან მნიშვნელოვანი. კარგი ის არის, რომ რეგიონული განვითარების მინისტრი დღეს არის ვიცე - პრემიერი და ეს უფრო მაღალი რანგია, ვიდრე კონკრეტული სამინისტრო და ამ საქმეს ასეთი მიდგომა სჭირდება.

რაც უშუალოდ დღევანდელი მუშაობიდან დავინახე, ჩვენ გვაქვს 2 პრობლემა. ერთია ზოგადად მთავრობათა შორის კოორდინაციის პრობლემა და ძალიან

ბევრი საკითხები, რაც წამოვიდა, აქედან გამომდინარეა. მე თქვენ მესამედ გხვდებით და არაფერი არ იცვლება ზუსტად იგივე ნარატივია, მაგალითად ბალასტის ამოღებაზე როცა საუბრობთ. ჩვენ როცა ინფრასტრუქტურის სამინისტროში გვქონდა პირველი სხდომა იქ გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან ამ საკითზე ვისაუბთრეთ და მათაც აღნიშნეს, რომ ლიმიტები უნდა იყოს სასოფლო დასხელებებზე. ეხლა ვფიქრობდი, ნამდვილად რაღაცა ჯადო აქვს ამ საკითხს რომ არ მოწესრიგდა ამდენი ხანი. აქედან გამომდინარე ეს თავისი არსით არ არის დეცენტრალიზაციის ძირი საკითხი, მე ვთვლი რომ ეს უფრო შიდა ადმინისტრაციული, საჯარო ადმინისტრირების კოორდინაციის საკითხია. თავისთავად ცხადია, რომ დეცენტრალიზაციის საკითხი არის იმ ნაწილში, რომ უნდა გვქონდეს ადგილობრივი რესურსები და იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ადგილობრივი რესურსების ცნება კანონში არ არის, სამინისტროსა და თვითმმართველბას შორის კოორდინაცია რომ აწყობილი იყოს გაცილებით უკეთესად იქნებოდა ეს საკითხი. რაც შეეხება დეცენტრაიზაციის სტრატეგიას, ირაკლიმ თქვა 2013 წელს დაიწყო პირველი ეტაპიო, 1998 დაიწყო ეს პროცესი და იმ სისტემას რომ მივყოლოდით ბოლომდე, შესაძლოა დღეს უფრო უკეთესი მდგომარეობა ყოფილიყო, მაგრამ ეს სხვა საკითხია

ბატონი ირაკლი მაშინ მაღალი თანამდებიბის პირი იყო და თავად აღნიშნა , რომ ხელები გადაგვიგრიხესო. უბედურება ისაა, რომ ნიკასაც 2 ხელი აქვს და სამინისტროში ცალხელა ადამიანი არ არსებობს. ანუ პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა, კი ბატონო მოითხოვე მაქსიმუმი, რომ მიიღო რეალური , მაგრამ საბოლოო ჯამში ეს სტარეტგია იქნება ისეთი, რისი შესაძლებლობაც ექნება.მოდით შევთანხმდეთ ერთ რამეზე, ეს დოკუმენტი არის დრაფტი, გამოგზავნილია, თქვენგან ველით მოსაზრებებს და მომავალშიც, დამტკიცების შემდეგაც კი ჩვენ ამ საკითხზე საუბარი მოგვიწევს. ძალიან კარგია ეს ფორმატია და არიან აქ ექსპერტები და არაამთავრობოების წარმომადგენლებიც.

გურიის მხარის მუნიციპალიტეტებთან

16 იანვარი 2019

ქ. ოზურგეთი

საკონსულტაციო შეხვედრას ესწრებოდნენ გურიის მხარის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავჯდომარეები, საკრებულოს წევრები, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, მისი მოადგილე, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა საჯარო ფორმატში და მას ესწრებოდნენ კოკა კიღურაძე და ირაკლი მელაშვილი ასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციიდან, ადგილობრივი არსამთავრობო ორგანიზაცოების წარმოამდგენლები (მონაწილეთა სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის). შეხვედრა ღია იყო ადგილობრივი და ცენტრალური მედიისთვის.

დავით მელუა მიესალმა მონაწელეებს და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა ეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით. მან სიტყვა გადასცა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომაგდნელს.

მისალმების შემდეგ ბატონმა **ნიკოლოზ როსებაშვილმა** გააკეთა პრზენტაცია დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესზე, ამ სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებზე, განხორცილების გზებზე, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებზე. მან მონაწილეებს მოუწოდა გამოთქვათ საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, ასევე წერილობით მოსაზრებები ეროვნული ასოციაიციის მეშეევეობით ან პირდაპირ წარედგინათ მისი სამინისტროსთვის.

ნიკოლოზ როსებაშვილის პრეზენტაციის შემდეგ დავით მელუამ გახსნილად გამოაცხადა სხდომის ინტერაქტიული ნაწილი. მან მონაწილეებს აცნობა, რომ იწარმოება ამ შეხვედრის ოქმი, როემლიც წარედგინება საქართველოს ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს და მასში მოცემული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდება ასოციაციის მოსაზრება დეცენტრაილიზაციის სტრატეგიასთან მიმართებით. ოქმის წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით ჯერ გამოცხადდა კითხვების მიღება უშუალოდ პრეზენტაციასთან დაკავშირებით და შემდეგ უკვე ღია დისკუსია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის თაობაზე.

კითხვა პასუხის ნაწილი (ფასილიტატორი დავით მელუა)

კითხვა დასვა **მინდია სალუქვაძემ,** (ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი) რომელიც ეხებოდა სტრატეგიის განხორცილების გეგმას, თუ რატომ არ ახლდა ეს დოკუმენტი წარმოდგენილი სტრატეგიას და იგეგმება თუ არა მისი შემუშავება,
აღნიშნულ შეკითხვას **ნიკოლოზ როსებაშვილმა** უპასუხა, რომ საკონსულტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტი არიან პირველადი ვარიანტი და მის საბოლოო ვერსიას აუცილებლად ექნება ორწლიანი დეტალური განხორციელების გეგმა

ღია დისკუსია (მოდერატორი დავით მელუა)

დავით მელუამ გახსნა დისკუსია და მონაწილეებს მოუწოდა დაიცვან 3 წუთიანი რეგლამენტი. მან ასევე აღნიშნა რომ 5 გამოსვლისის შემდეგ ის საშუალებას მისცემს რეგიონული განვითრების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გააკეთოს რეაგირება გამოთქმულ მოსაზრებებზე. გაიმართა დაისკუსია და გამოთქვა შემდეგი მოსაზრებები:

ირაკლი მელაშვილი - მან ანიშნა, რომ სტრატეგიამ უწინარესად უნდა გასცეს პასუხი კითხვას აქვს თუ არა დღეს მუნიცპალიეტეტს საშუალება განახორცილეოს ის უფლებამოსილებანი რაც სწერია ორგანულ კანონში. ეს

უფლებამოსილებანი ან კანონიდან უნდა ამოვიღოთ ან სტრატეგიამ უნდა შექმნას გარემო სადაც მერებს შეეძლებათ კანონში მოცემულ ექსკლუზიური უფლებამოსილებებს აღსრულება. ასეთი საკითხია წყალმომარაგება, რაც მუნიციპალტეტბს აქვთ მიკუთვნებული მაგრამ ვერაფერს ვერ აკეთებენ იმის გამო რომ შექმნილია ს.ს.ი,პ "საქართველოს წყლის გაერთიანებული კომპანია" რომელიც არის ცენტრალურ დაქვემდებარებაში და მუნიციპალიტეტებს არა აქვთ მასზე ძალაუფლება. იგი შეეხო თივითმმართველობის ფინანსების სიმწირის საკითხს და აღნიშნა, რომ დ.ღ.გ-ს გადაცემა გათანაბრებითი ტრანსფერის სახით არის უკეთესი, მაგრამ ეხლა საჭიროა განვიხილოთ შემდეგი საკითხი, ფინანსთა სამინისტრომ თქვა რომ 2022 მდე ვერ გადავა საშემოსავლო გადასახადის განაწილების მოდელზე რაც ძალზე ცუდია, ჩვენ გვინდა სტრატეგიაში კოკნრეტულად ეწეროს თუ როგორ მოდხება საშემოსავლოს გაყოფა და ზოგადი ჩანაწერი რომ დაიწყება საშემოსვლოს განაწილებაზე საუბარი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. იგივე ეხება სტრატეგიის ინდიკატორებს, ერთ-ერთი იდიკატორი არის თვითმმართველობის შემოსავლების ზრდა ჩვენი აზრით უფრო მართებული იდიკატორი იქნება - ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობების ზრდა. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა რომ ძალზე დიდი პრობლემებია თვითმმართველობისთვის ქონების გადაცემის პროცესში და ეკონომიკის სამინისტრო ფაქტირად ბლოკავს თვითმმართველობისთვის ქონების გადაცემას და ძალზე ბევრი ქონება პარტახდება. ასევე უუფრლენი არიან თვითმმართველობები ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში და ადგილობრივი მოსახლეობა მოკლებულია შესაძლებლობას გადაუდებელი საჭიროების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს მდინარის ნატანი ბალასტით ან ტყის რესურსებით.

კოკა კიღურეაძე - სტრატეგიაში აუცილებელია აისახოს ის საკითხები რისი გადაჭრაც ძალზე საშურია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისთვის, ეს ძირითადად ეხება ქონების გადაცემის საკითხებს და კონკრეტულად, ისეთ ქონებას რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ადგილობირვ ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზებისთვის. აქვე განდასახყვეტია საშემოსავლო გადასახადის საკითხი, დამატებული ღირებულების გადასახადთან მიმართებაში ადგილობრივ ხელისუფლებას არანაირი ზემოქმედების მექანიზმი არ გააჩნია, რაც შეეხება საშემოსავლოს აქ ცხადია რომ ადამიანი სადაც ცხოვრობენ მათ იქ უნდა გადაიხადონ გადასახადი და მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს საშუალება ეს ფული ადგილობრივი განვითარებისთვის გამოიყენოს. შესაბამისად, მხოლოდ ფორმალური ჩანაწერი სტრატეგიაში რომ საშემოსავლო გადასახადის გაზიარებაზე მსჯელობა გაგრძელდება არ არის სწორი, უნდა იყოს უფრო კონკრეტული განაცხადი თუ როდის დაიწყება საშემოსავლო გადასახადის გაზიარება და რა პირობებით.

კონსტანტინე შარეშენიძე (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი) - თვითმმართველბის განვითარების უმთავრესი პირობაა ადგილებზე ძლიერი ბიჯეტების არსებობა და ასევე ის რომ მუნიციპალიტეტებს ჰქონეს საკუტარი ქონება რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის განკარგავს. დღეს ამ მხრივ ძალზე რთული ისტუაციაა ეკონნომის სამინისტრო ფაქტიურად ხელს უშლის მუნიციპალიტეტებს საკათარ ტერიტორიაზე განლაგებული ქონების მოვლა-პატრონობაში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა ვერ მიაღწია იმას რომ ქონება რომელიც ნადგურდება და უფრო მეტიც,

საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, გადმოეცეს მუნიციპალიტეტს ჩვენ ის მაინც ვუზრუნველყოთ რომ ეს ქონება დავშალოთ სანამ უბედურება დატრიალებულა და ვინე ნანგრევებში არ მოყოლია. კონკრეტული მაგალითაია ქალაქ ოზურგეთში, რკინიგზის სადგურის გვერდით განთავსებული, შენობა რომელიც ამორტიზებულია და იშლება და ამასთან ერთად ქვეწარმავლების ბუდედაა ქცეული ეკონომიკის სამინისტრომ, ჩვენი მოთხოვნების მიუხედავად, არ განდმოქვცა დადღეს ფაქტიურად უპატრონოთაა დარჩენილი. მეორე საკითხია ე.წ. ხრეშის საკითხი, ტრაქტორი არ არის დარცენილი სოფლებში ჯარიმა არ ჰქონდეს გამოწერილი, მოსახლეობას იგივე სახოფაცხოვრებო საშიროებებისთვის სჭურდება ღორღი გვთხევს ჩვენ და ვერაფრით ვეხმარებით. ასევე მძიმე საკიტხია სოციალური მიზენბით საამშენებლო მერქანის გამოყოფა, როცა არის სტიქია და საცხოვრებელ სახლებს სახურავს გადახდის ჩევენ ვეხმარებით გადასახურავი თუნუქით მაგრამ ასევე საჭუროა დაახლეობით 2.5 კუბური მეტრი საამძენებლო მერქანი სახურავის კოჭების დასამზადებლად. ამ მერქანის გამოყოფა ფაქტიურად შეუძლებელია და ჩვები გადაცემული თუნუქსაც ვერ იყენებს ის ადიამიანი და ეს ყველაფერი მოსახლეობაში ძალზე დიდ გულისტკივილს იწვევს.

ირაკლი კუჭავა (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი) - მიესალმება მუნიციპალიტეტების ჩართულობას დეცენტრალზიაციის ახალი სტარგეიის განხილვაში. ასევე ძალზე მნიშნელოვნად მიაჩნია დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების შემოღება რამაც მუნიციპალიტეტს დამატებითი თანხები მოუტანა. ასევე მნიშვნელოვანია საშუალო განათლების საფეხურის დაწესებულებების მიმდინარე რემონტისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტების სახსრების გადახემა, ადრე მაინც მუნიციპალიტეტის გასაკეთებელი იყო ეს საქმე და საკუთრაი რესურსებით ვეზებდით სახსებს, წელს კი ყველა მუნიციპალიტეტს მიეცა სახსრები ასეთი მცირე სარემონტო სამუშაოს ჩასატარებლად რაც ძალზე კარგია და სკოლების მოწესრიგებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება ქონების გადაცემას აქ მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ეკონომიკის სამინისტროსთან და რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტრის სამინისტროსთან ამ თანამშრომლობის შედეგია ის რომ კურორიტ ბახმაროს მიენიჭა დაბის სტატუსი. რეგიონული განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს აქვს კონკრეტული პროექტები რაც ხელს შეუწყობს ადგილობირვი ინფრასტრუქტურის განვითრებას და ასევე მიძგს მისცემს ადგილობრივ ეკონომიკას. თუმცა საჭუროა შედგიმი ნაბიჯების გადადგმა, პირველ რიგში ადგილობრივი ფინანსების გაზრდა და ამ კუთხით საშემოსავლო გადასახადის გადმოხემა შეიძლება იყოს კარგი მოდელი, ისევე როგორც ქონების გადმოცემის პროცესი დაჩქარებას საჭიროებს, მაგალითად ჩვენთან ნაბეღლავის განვითარება მნიშვნელოვნად დაჩქარდება თუ იქ განთავსებული სახელმწიფო ქონების განკარგვის უფლება ექნება მუნიციპალიტეტებს, ჩვენ შევძლებთ როგორც ინვესტიცოების მოზიდვას ამ ქონების განვითრებისთვის ასევე მის გამოყებევას ადგილობრივი თემის საკეთილდრეოდ. ასე რომ დიდი იმედი გვაქვს რომ ახალი სტრატეგია ამ საკიტხების გადაჭრაზე იქნება ორენტირებული.

ნიკოლოზ როსებაშვილი გამოხმაურა გამოთმულ მოსაზრებებს. მან აღნიშნა, რომ სტრატეგიის პირველი მიზნის ერთერთი ამოცანაა მუნიციპალიტეტებს ექსკლუქიური უფლებამოსილების შესრულებაში არსებული გამოწვევების აღმოფხვრა. ეს შეიძლება იყოს სამართლებრივი ბაზის გასწორება თუ ფინანსური უზრუნველყობა. რაც შეეხება სამართლებრივ ბაზას აქ საკითხები ორად უნდა გაიყოს - ერთია ის რაც ცნობილია (მაგ. სამგზავრო გადაყვანები) ამის მოგვარება დაწყებულია და გაგრძელედება. მან ასევე არნიშნა, რომ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მუშაობს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან ქონების გადაცემის საკითხის მოსაწესრიგებლად. ამ მიზნით სამუშაო ჯგუფები მომავალშიც გაგგრძელებენ მუშაობას, დაგეგმილია ერთობლივი სხდომის ჩატარება ეკონომომიკის სამინისტროსთან ერთად, აქვე მოწვეული იქნება ქონების მართვის სააგენტო. შესაბამისად გთხოვთ მერებს, ვინც იქნებით თბილისში დაესწროთ ამ შეხვედრას და ერთიანი პოზიცია შევიმუშაოთ ამ საკიტხზე.

შეჯამება

დავით მელუა - მინდა მითხრათ რომ ამ შეხვედრებისგან მიღებული მოსაზრებებზე დაყრდნობით ასოციაცია მოამზადებს თავის მოსაზრებას და რეკომენდაცოებს სტრატეგიის დოკუმენტზე. მნიშვნელოვანია რომ გავმიჯნოთ საკითხები - რაზეც ყველა შეთანხმებული ვართ რომ მოსაგვარებელია ეს უნდა გაიწეროს თუ როდის მოგვარდება. მაგრამ არის საკითხები რომელზედაც ჯერ კიდევ არ არის თანხმობა და სტრატეგიამ ეს საკიტხები უნდა აღიარეს როგორც მსჯელობის საგანი და დათქვას ვადა თუ როდის ქნება მონახული მისი გადაჭრის გზა. ასოციაცია გაგრძელებს სანინისტროსთან თანამშრომლობას სტრატეგიის ბოლო ვარიანტზე და ჩვენ მომავალშიც გავმართავთ კონსულტეციებს სტრაგეიის საბოლოო ვარიანტზე.

ნიკოლოზ როსებაშვილი - ჩვენ ამ შეხვედრებით დავიწყეთ დეცენტრალზიაციის სტარტეგის შექმნის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც არის მუნიციპალიტეტთან კოსნულტაცია. ეს არ იქნება ბოლო შეხვედრა და ეს კონსულტაცია მომავალშიც გაგრძელდება. ასვე ველით წერილობით შენიშვნებს და მოწაწიელეობას თემატური ჯგფების ფორმატში. მადლობა მინდა გადაუხადო ასოციაციას და გაეროს განვითრების პროგრამას ამ შეხვედრების ორგანიზებისთვის. მადლობა თქვენ მობრძანებისთვის და გემშვიდობებით აქტიური თანამშრომლობის იმედით.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტებთან

17 იანვარი 2019

ქ. ზუგდიდი

საკონსულტაციო შეხვედრას, რომელიც ზუგდიდში გაიმართა, ესწრებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე - კობა ქანთარია, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოების თავმჯდომარეები, საკრებულოების წევრები, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი-დავით მელუა, მისი მოადგილე-ნათია ღვინაშვილი, ამავე ორგანიზაციის ექსპერტი-კახა გურგენიძე, ასევე საქართველოს რეგიონული განვითარების და

ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე - მზია გიორგობიანი და ამავე სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი - ნიკოლოზ როსებაშვილი. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა საჯარო ფორმატში და მას ესწრებოდნენ დავით ხოსრუაშვილი საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ერთეულების ასოციაციიდან, ასევე კოკა კიღურაძე და ირაკლი მელაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციიდან, (მონაწილეთა სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის). შეხვედრა იყო ღია, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური მედიისთვის. მონაწილეებს მიესალმნენ მზია გიორგობიანი და კობა ქანთარია და აღნიშნეს რომ დეცენტრალიზაციის პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან კონსულტაციის მნიშვნელობა.შეხვედრა **დავით მელუამ** გახსნა, დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა და განაცხადა, რომ აღნიშნული შეხვედრა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო, მანვე, დამსწრე საზოგადოებას დეცენტრალიზაციის მნიშვნელობასა და მუნიციპალიტეტების ჩართულობის აუცილებლობაზე მიაწოდა ინფორმაცია.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ, **ნიკოლოზ როსებაშვილმა** დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესზე, ამ სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებზე, ასევე მისი განხორციელების გზებზე და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებზე პრეზენტაცია წარმოადგინა. სამინისტროს წარმომადგენელმა, მონაწილეებს მოუწოდა, აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, როგორც შეხვედრის მსვლელობისას, ისე წერილობით, რასაც ისინი ეროვნული ასოციაციის დახმარებით ან პირდაპირ სამინისტროში წარდგენის გზით შეძლებენ. პრეზენტაციის შემდეგ, **დავით მელუამ** ინტერაქტიული ნაწილი გახსნილად გამოაცხადა და სხდომის მონაწილეებს შეხვედრის ოქმის წარმოების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. ,, თითოეული შეხვედრის შედეგად, ასოციაცია აწარმოებს ოქმს, სადაც შეხვედრის მონაწილეების მხრიდან გამოთქმული ყველა მოსაზრება იქნება დაფიქსირებული. შემდგომ ოქმს თან ვურთავთ მუნიციპალიტეტებიდან წერილობით მიღებულ გამოხმაურებას. ყველა რეგიონის ოქმის საფუძველზე დგება რეგიონული შეხვედრების ერთიანი ოქმი და წარედგინება აღმასრულებელ საბჭოს,. შეხვედრის ფორმატი განისაზღვრა შემდეგნაირად: უშუალოდ პრეზენტაციასთან დაკავშირებით კითხვა-პასუხის რეჟიმი და ღია დისკუსია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის თაობაზე.

კითხვა პასუხის ნაწილი (ფასილიტატორი დავით მელუა)

ირაკლი მელაშვილი დაინტერესდა, არის თუ არა სტრატეგიაში ჩადებული ერთი ინდიკატორი მაინც, რომელიც მიგვითითებს იმაზე, თუ რა მდგომარეობა იქნება 2025 წელს, როგორც მუნიციპალიტეტების დაფინანსების, გადასახადებისა და შემოსავლების კუთხით, ასევე მისი ქონებრივი მდგომარეობით.

იაგო ფარსენაძე კი დაინტერესდა, თუ რა რისკის წინაშე შეიძლება დადგეს აღნიშნული სტრატეგია და ერთიანია თუ არა მთავრობა იმ პროცესების გასაძლიერებლად, რაც დოკუმენტშია ასახული. ფარსენაძემ მაგალითისთვის ეკონომიკის სამინისტროსგან ქონების გადაცემასთან დაკავშირებული პრობლემები დაასახელა.

ნიკოლოზ როსებაშვილის განმარტებით, დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებით, მაღალი თანამდებობის პირების მიერ გაცხადებულია პოლიტიკური ნება და ამ კუთხით საკმაოდ ინსტიტუციურადაა მოწყობილი, როგორც სტრატეგიის შემუშავების, ასევე მისი განხორციელების ნაწილი. „შექმნილია შესაბამისი სამთავრობო კომისია, პროცესი არის აბსოლუტურად ღია და ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველასთან გავმართოთ კონსულტაციები. დღევანდელი დღეც ამაზე მეტყველებს. ეს არ იქნება ერთჯერადი ღონისძიება სტრატეგიის მიღებამდე, რადგან საკონსულტაციო შეხვედრებს ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ. შესაბამისად ასეთი ინკლუზიური პროცესის ქვეშ, დამეთანხმებით, რომ ნაკლებია რისკი“- განაცხადა როსებაშვილმა. სამინისტროს წარმომადგენელი ქონების თემასაც შეეხო და განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დღესაც მიმდინარეობს დისკუსიები, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულები, როგორც ეკონომიკის სამინისტრო, ასევე ქონების მართვის სააგენტო. ნიკოლოზ როსებაშვილის განცხადებით, შეიქმნება ცალკე ჯგუფი, რომელიც ქონების მიმართულებით მიიღებს გადაწყვეტილებას. მისივე თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით, სამინისტრო მუნიციპალიტეტებიდან წერილობით ელოდება საკუთარ შენიშვნებსა და მოსაზრებებს, რომლებიც დამუშავდება და შემდგომში აისახება პროექტში.რაც შეეხება, შეფასების ინდიკატორებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას, ნიკოლოზ როსებაშვილმა განმარტა, რომ დოკუმენტში წარმოდგენილია შეფასების ზოგადი ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას იძლევა შეფასდეს სტრატეგიის მიზნები და ამოცანები.

ღია დისკუსია (მოდერატორი დავით მელუა)

კოკა კიღურაძე - ორგანულ კანონში დაფიქსირებულია ჩანაწერები, რომლებიც გულისხმობს ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ცნების გაჩენას კანონმდებლობაში, შემდეგ კი ამ ფუნქციის, ადგილებზე ეფექტურად განხორციელებას. ამ მიმართულებით რას შეიძლება ითვალისწინებდეს კონცეფცია, იგივე წყალმომარაგებასთან დაკავშირებით. ასევე კონცეფციაში, როგორ შეიძლება იყოს დანახული გადასახადების თემა? რომელი გადასახადი შეიძლება გახდეს ზიარი ტიპის გადასახადი და რაიმე ახალი ტიპის მოსაკრებლის შემოღებას ხომ არ ფიქრობს ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც მუნიციპლიტეტებს შესაძლებლობას მისცემს, ეს დაწესებული გადასახადი ან მოსაკრებელი საკუთარ ტერიტორიებზე შემოიღონ? ასევე საუბარი შეეხო მუზეუმებისა და ადგილობრივი კულტურული დაწესებულებების გადაცემას, ეს ჩანაწერი ორგანულ კანონში ისედაც არსებობს, უბრალოდ საუბარია, იმაზე რომ აღნიშნული ჩამონათვალი გაფართოვდება და მუნიციპალიტეტებს ახალი ობიექტები გადაეცემა. რას ნიშნავს ეს გადაცემა და აღნიშნული, მხოლოდ მოვლა პატრონობას გულისხმობს თუ რეაბილიტაციასაც?“,- დაინტერესდა კიღურაძე.

,, საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ წარმომადგენლმა- **არჩილ თოდუამ** მუნიციპალიტეტებისთვის დამატებითი შემოსავლების გაჩენის გზებზე ისაუბრა. ,,რამდენად შესაძლებელი იქნება თვითმმართველობა ორიენტირებული იყოს საკუთარი ფინანსური რესურსების გაზრდაზე, ზოგადად ფინანსური დამოუკიდებლობის მიღწევაზე და ხომ არ ხდის პირდაპირ დამოკიდებულს ცენტრალურ ხელისუფლებაზე? ასევე აუცილებელია სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით, დადგინდეს მუნიციპალური კონკრეტული სტანდარტი“- განაცხადა არჩილ თოდუამ.

ფოთის მერის მოადგილე - **გიორგი ფარეშიშვილი** კი, დაინტერესდა, იქნება თუ არა შესაძლებელი მუნიციპალუტეტთან ინდივიდუალური შეხვედრების გამართვა.

ნიკოლოზ როსებაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ანალოგიური შეხვედრები გაგრძელდება, თუმცა მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობა აქვთ საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები წერილობით გაუგზავნონ, როგორც სამინისტროს, ასევე საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას.

რაც შეეხება არჩილ თოდუას შეკითხვას, დაფინანსების სისტემასთან დაკავშირებით, ნიკოლოზ როსებაშვილმა აღნიშნა, რომ წინა მოდელისგან განსხვავებით, შემოსავლის ზრდის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტებს არ ეჭრებათ თანხა იდენტურად და შესაბამისად, თვითმმართველობა არ არის მოლოდინის რეჟიმში, ჩაურიცხავს თუ არა ფინანსთა სამინისტრო თანხას ტრანსფერით. როსებაშვილის განცხადებით, მუნიციპალიტეტებში დ.ღ.გ-დან შესული თანხა უკვე იძლევა საშუალებას მუდმივ რეჟიმში ხდებოდეს ფინანსებთან წვდომა.

,, წინა მოდელის შემთხვევაში, საკმაოდ რთული და გაუგებარი ფორმულის ნაცვლად, ჩამოყალიბებულია მკაფიო კრიტერიუმები. ანუ უკვე საკმაოდ გასაგები ხდება, თუ რა თანხის, რა პროცენტი ნაწილდება კრიტერიუმის შესაბამისად, რაც პროგნოზირებადია“, აღნიშნა სამინისტროს წარმომადგენელმა.

კითხვაზე, ამ ფორმულით იგულისხმება თუ არა, რომ 2019 წელს არსებული დაფინანსების სისტემა მუნიციპალიტეტებს 2025 წლამდე შეუნარჩუნდებათ, ნიკოლოზ როსებაშვილმა დეტალური განმარტება გააკეთა. მისი თქმით, სამუშაო ჯგუფების ფორმატში მიმდინარე განხილვების დროს, რომელსაც ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, წარმოდგენილი იყო ისეთი შემოთავაზება, რომლის თანახმადაც 2019, 2020, 2021 წლებში სწორედ ამ ახალი მოდელის მიხედვით მიიღებენ მუნიციპალიტეტები დაფინანსებას. მისივე თქმით, პარალელურ რეჟიმში მსჯელობა იყო იმაზეც, რომ ტექსტში ისეთი ფორმულირებაც აისახოს, საიდანაც გამოჩნდება, რომ საშემოსავლო გადასახადის ზიარ გადასახადად განხილვის განზრახვა რეალურად არსებობს. როგორც როსებაშვილმა აღნიშნა, ერთ-ერთ შეხვედრაზე ფინანსთა სამინისტრომ, ასევე, წარმოადგინა ცხრილი, საიდანაც ჩანდა, თუ რას გამოიწვევს საშემოსავლო გადასახადზე გადასვლა. მათ შორის იმას, რომ მაგალითად, 2019 წლიდან, თბილისის წილი 56 % იქნება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარი **ირაკლი მელაშვილმაც** გააკეთა და აღნიშნა, რომ ანალოგიური შინაასრსის საუბრები, კერძოდ კი ის, საშემოსავლოები, რომელიც მუნიციპალიტეტებისთვის უნდა გადაცემულიყო, პირველად არ ხდება. მელაშვილმა 2014-15 წლები გაიხსენა, როდესაც მაშინდელი ფინანსთა მინისტრის- ნოდარ ხადურის შეპირება 6 სახის ყველაზე დაბალშემოსავლიანი საშემოსავლო გადასახადის აღებას ეხებოდა. ამიტომ, მისივე თქმით, რადგან იმ პერიოდში ეს რეალურად ვერ იქცა შემოსავლის წყაროდ, უმჯობესი იქნება, თუ კონცეფციაში კიდევ უფრო მეტად ძლიერი ჩანაწერები გაჩნდება. „აღნიშნული კიდევ უფრო მეტი გარანტიების საფუძველი იქნება ჩვენთვის და მხოლოდ ნდობაზე არ იქნება დამყარებული. ამით მუნიციპალიტეტები დაინახავენ, რომ ხელისუფლება აპირებს საშემოსავლო გადასახადის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ქცევას"-აღნიშნა მან.

ირაკლი მელაშვილმა კოალიციის მიერ შეთავაზებულ ინიციატივებზეც ისაუბრა, რომელიც საშემოსავლო გადასახადის ზიარ გადასახადად ქცევასა და საგადასახადო ადმინისტრირების პრინციპის ცვლილებას ეხებოდა და აღნიშნა, რომ ამ გადასახადიდან ამოღებული სახსრების განაწილება უნდა მოხდეს, არა დამქირავებლების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, როგორც დღესაა, არამედ დაქირავებულ ფიზიკურ პირთა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. „აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტროს პოზიცია იყო და არის ის რომ, მათ სჭირდებათ დრო. ბოლო სხდომაზე შევთანხმდით, რომ ჩვენ ამ სისტემაზე გადავიდოდით, მაგრამ სამწუხაროდ ამ სტრატეგიის დოკუმენტში ეს შეთანხმება ასახული არ არის. ეს არის სტრატეგია და როდის მოხდება, რანაირად და რა ტემპით, უკვე სამოქმედო გეგმის ნაწილია. სტრატეგიის შემუშავებისას მნიშვნელოვანია განსაზღვრული იყოს, თუ სად ვართ ახლა და სად ვიქნებით მაშინ, როდესაც დასრულდება სტრატეგიაზე მუშაობა. ბოლო 3 წლის განმავლობაში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების წილი მთლიან საჯარო ფინანსებში 17,46 % - დან 15 % მდე დაეცა. გათანაბრებითი ტრანსფერი 2, 63% - დან 1,61%- მდე დავიდა, ანუ ჩვენ, მუდმივი ვარდნა გვაქვს იმ ფინანსებში, რომლებიც უნდა ჰქონდეთ მუნიციპალიტეტებს. არ მინდა ვიკამათო, იმაზე, თუ რამდენად უწობს ხელს, დღგ-ს სისტემა მუნიციპალიტეტების განვითარებას. წინა სისტემა დამსჯელი იყო, ეს კი დემოტივატორია. როდესაც მუნიციპალიტეტის შემოსავლის ზრდა, არა საკუთარ აქტივობაზე, არამედ, კიდევ 64 მუნიციპალიტეტის და მთავრობის კარგ მუშაობაზეა დამოკიდებული, ამ სისტემას მოტივატორს ვერ ვუწოდებ", - განაცხადა ექსპერტმა.

ირაკლი მელაშვილს **მზია გიორგობიანი** არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ აღნიშნული სისტემა მუნიციპალიტეტებს, კიდევ უფრო მოტივირებულს გახდის, მეტი შემოსავალი შევიდეს მათ ბიუჯეტში.

„ პროცენტი ქვეყნის ზრდაზეა მიბმული, რაც გულისხმობს იმას, რომ ქვეყნის განვითარებასთან ერთად, ავტომატურად გაიზრდება მუნიციპალიტეტების შემოსავალი, ასევე, ვინაიდან არ იცვლება დ.ღ.გ-დან მიღებული თანხა, შესაბამისად არ შემცირდება მათი აქტივობით მოძიებული დამატებითი შემოსავალი. ეს არის მზარდი კალათა, ანუ კალათის მოცულობა იზრდება ქვეყნის განვითარების პროცენტულად. გამომდინარე აქედან, აღნიშნული

სისტემა არა დემოტივარი, არამედ მოტივატორია, რაც შეიძლება მეტი საწარმო შეიქმნას, მეტი ადგილობრივი მკვიდრი დასაქმდეს და მეტი შემოსავალი შევიდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში",- აღნიშნა მზია გიორგობიანმა. მინისტრის მოადგილემ ფისკალური დეცენტრალიზაციის ნაწილზეც ისაუბრა და განმარტა, რომ თანხა ერთიანი სახაზინო ანგარიშიდან ავტომატურად ჩაიშლება მუნიციპალიტეტებში, რაც მათ საშუალებას მისცემს წინასწარ დათვლადი გახდეს შემოსავალი, რის მიხედვითაც, შესაძლებელი იქნება დაიგეგმოს გრძელვადიანი პროექტები. ,,ვფიქრობ, ამ კუთხით სერიოზული ნაბიჯი გადავდგით. ბევრმა თქვენგანმა იცით ჩემი პოზიცია, ადგილზე უნდა იმართებოდეს ყველა ის საქმე, რომელიც მუნიციპალიტეტის გადასაწყვეტია და ის არც ფინანსურად და არც გადაწყვეტილების მიღების მომენტში არ უნდა იყოს დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე.ამ საკითხთან დაკავშირებით, იგივე დამოკიდებულება აქვს ფინანსთა სამინისტროს და ჩვენი მიზანია დავხვეწოთ სისტემა და ყველა მუნიციპალიტეტებში შევქმნათ თანაბარი ცხოვრების დონე, როგორც სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით, ასევე განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური პაკეტების მიმართულებით. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ამ შეხვედრებით არ იხურება ფანჯარა. სამუშაო ჯგუფებში ვაგრძელებთ მუშაობას, რათა კიდევ უფრო დავხვეწოთ და ეფექტიანი გავხადოთ მუნიციპალიტეტები. განვმეორდები და ვიტყვი, რომ ეს არ არის ზედმეტი უფლებამოსილება, რომელიც პრობლემას შეუქმნის მუნიციპალიტეტს. ეს არის გააზრებული უფლებამოსილება, რომელიც თავისი ფინანსური რესურსით, არა ცენტრიდან, არამედ ადგილზე იქნება მართული",- განაცხადა მზია გიორგობიანმა.

მინისტრის მოადგილეს დაეთანხმა აბაშის მუნიციპალიტეტის მერი - **ლევან მაკალათიაც**. მისი განცხადებით, აღნიშნული ფორმულა მნიშვნელოვნად გაზრდის მუნიციპალიტეტების მოტივაციას. მისივე თქმით, ეკონომიკის მინისტრისა და მეწარმეების შეხვედრაზე, რომელიც აბაშაში გაიმართა, მკვეთრად დაფიქსირდა პოზიცია, რომ მეწარმეებს არა ცენტრალურ, არამედ ადგილობრივ დონეზე სურთ საკითხების მოგვარება. აღნიშნულიდან გამომდინარე მაკალათიამ დასვა შეკითხვა, თუ როდის იქნება მზად ეკონომიკის სამინისტრო, მიწების მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემად. იგი ასევე დაინტერესდა იგეგმება თუ არა ინდივიდუალური შეხვედრები.

სამოქალაქო აქტივისტის - **თეონა ქარდავას** განცხადებით , სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტები სპეციფიკურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც ქარდავას თქმით სვავს კითხვას თუ რა პრინციპით მოხდება მათი დაფინანსება.

სტრატეგიის დოკუმენტი დადებითად შეაფასა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის ხელმძღვანელმა - **დავით ხოსრუაშვილმა,** თუმცა ფისკალური დეცენტრალიზაციის ნაწილთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გამოთქვა. მისი თქმით, სასურველი იქნებოდა თუ დ.ღ.გ-სთან ერთად მუნიციპალიტეტებს სხვა შემოსავლებიც დარჩენოდა. ხომ არ აჯობებდა დ.ღ.გ-ს ნაწილი ერთის ნაცვლად სამ წელზე იყოს გაწერელი, რაც მუნიციპალიტეტებს საშუალებას მისცემს საშუალო ვადით მაინც დაგეგმონ საკუთარი ბიუჯეტი" - აღნიშნა ხოსრუაშვილმა.

ათეა-ს ექსპერტის **-კახა გურგენიძის** განცხადებით, შეხვედრებზე გამოთქმული მოსაზრებები და კითხვები, ძირითადად ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების მისამართით გაჟღერდა. შეხვედრებზე გამოიკვეთა ერთგვაროვანი პრობლემები, რომლებიც სამინისტროებთან კომუნიკაციასა და ქონებრივ საკითხებს შეეხებოდა. მაინტერესებს, შესაძლებელია თუ არა, რომ ფინანსთა ან ეკონომიკის სამინისტროები დაესწრონ რეგიონალურ შეხვედრებს, რათა თავად გაეცნონ ამ პრობლემებს“,- აღნიშნა ექსპერტმა. კახა გურგენიძე სერვისების გაუმჯობესების საკითხსაც შეეხო. ,,მუნიციპალიტეტებისათვის ბაზებზე ხელმისაწვდომობა ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, სოციალური საკითხების უმრავლესობა იგეგმება სოციალური სააგენტოს მიერ, თუმცა მუნიციპალიტეტებს მასზე პირდაპირი წვდომა არ აქვთ. ასევე, როდესაც ვსაუბრობთ დ.ღ.გ-ზე, მაინტერესებს, იგეგმება თუ არა საგადასახადო ინფორმაციებზე წვდომა? რადგან ამ ეტაპზე, როდესაც მუნიციპალიტეტი მიმართავს საგადასახადო სამსახურს, პასუხია, რომ აღნიშნული ინფორმაცია მათთვის დახურულია“,- განაცხადა კახა გურგენიძემ.

ლევან მაკალათია კი დაინტერესდა იგეგმება თუ არა დელეგირებული უფლებამოსილებების გადაცემა სოფლის მეურნეობის კუთხით. მისი თქმით, სასურველი იქნება მოხდეს მხოლოდ დელეგირება, რომელიც მერიის ხაზით გაივლის. ,,აბაშისთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ გვყავს სოფლის წარმომადგენლები ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, რომლებიც ძალიან ეფექტურად იმუშავებენ აღნიშნული მიმართულებით. მაგალითად, ფაროსანასთან ბრძოლა მხოლოდ სიტყვიერი დელეგირება იყო, თუმცა ჩვენ მაქსიმალურად ჩავერთეთ და დამეთანხმებით, რომ მუნიციპლიტეტის ჩართულობის გარეშე ამ პრობლემას ვერ მოვაგვარებდით, ასევე მივუდგებით სხვა თემებსაც. მოსახლეობას ნდობა აქვს დაკარგული და თუ ეცოდინებათ, რომ ჩვენ შუამავალი რგოლი ვართ, დარწმუნებული ვარ მეტ შედეგს მივაღწევთ“, აღნიშნა აბაშის მერმა. სხდომის მონაწილეების მიერ დასმულ შეკითხვებს **ნიკოლოზ როსებაშვილმა** უპასუხა. მისი განცხადებით, სტრატეგიის ფორმატში სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციები გამოკვეთილად არ დევს, თუმცა აღნიშნული შეხვედრები, სწორედ მუნიციპალიტეტების მოსაზრებების მოსმენასა და დამუშავების შემდეგ, დოკუმენტში გათვალისწინებას ემსახურება. სამინისტროს წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ მოუწოდა მუნიციპალიტეტებს, საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები წერილობით გადაუგზავნონ სამინისტროს, რათა შემდგომში მოხდეს საკითხების იდენტიფიცირება და უფლებამოსილების გაანალიზება. რაც შეეხება დ.ღ.გ-ს სამ წელზე გადანაწილების ინიციატივას, ნიკოლოზ როსებაშვილმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის კანონში არსებობს ჩანაწერი, რომელშიც მკაფიოდ წერია მომდევნო წლის მინიმუმი პროცენტი, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მუნიციპალიტეტების დაფინანსების კლება არ მოხდება. მისივე განმარტებით, მუნიციპალიტეტების დაფინანსებასთან დაკავშირებით, მოხდა მოდელის ახალი დადებითი მხარეების განხილვა, სადაც გამოიკვეთა კრიტერიუმები, თუ რა პრინციპით მოხდება დაფინანსება. პრიორიტეტულ საკითხებად კი მუნიციპალიტეტის ფართობი, ასევე მოსახლეობისა და 6 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა დასახელდა. სამინისტროს წარმომადგენელი ქონების საკითხებთან გამოთქმულ მოსაზრებებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ეკონომიკის სამინისტროსა და ქონების

მართვის სააგენტოს მხრიდან არის მზაობა, მოხდეს საკითხების შეჯერება და მათი დეტალური განხილვა. მისივე თქმით, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ აღნიშნულ პროცესში და სურვილისამებრ მიიღონ მონაწილეობა სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში. რაც შეეხება სერვისების გაუმჯობესებას, ნიკოლოზ როსებაშვილის განცხადებით, ის პროგრამა, რომელიც დღეს რამდენიმე მუნიციპალიტეტში არსებობს, მორგებულია მათ სპეციფიკაზე, უფლებამოსილებაზე და ყველა იმ სერვისზე და მომსახურებაზე, რასაც მუნიციპალიტეტი აწარმოებს. მისივე თქმით, ბაზების წვდომასთან დაკავშირებით, სოციალურ სააგენტოსთან მიმდინარეობს მუშაობა და აღნიშნული საკითხიც მოწესრიგდება.

მზია გიორგობიანმა, ქონების საკითხთან დაკავშირებით, დამატებითი კომენტარი გააკეთა. ,,გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ქონება მუნიციპალიტეტებს უნდა გადაეცეთ უკვე მიღებულია, უბრალოდ ჩვენ უნდა ჩამოვყალიბდეთ, თუ როგორი სახით მოხდება მისი გადაცემა. გვაქვს ინტენსიური კომუნიკაცია ეკონომიკის სამინისტროსთან. მათ რიგ საკითხებზე აქვთ განსხვავებული მოსაზრება, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ არის საკითხები, რაზეც არსებობს თანხმობა. ასე, რომ წინასწარ არ მინდა, რაღაც მოლოდინები გავაჩინო, თუმცა ხაზს ვუსვამ, რომ ამ თემაზე ვმუშაობთ აქტიურად. ჩვენი სამინისტროს პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში არის შემდეგი: მუნიციპალიტეტი ვერ განახორციელებს საქმიანობას, თუ მას არ ექნება შესაბამისი რესურსი და ქონება. ასე რომ ამ ნაწილში, ცოტა დრო გვჭირდება, რომ უფრო კარგად დავარწმუნოთ ეკონომიკის სამინისტრო ქონების გადმოცემასთან დაკავშირებით. ჩვენ სამუშაო ჯგუფში ვაგრძელებთ მუშაობას და იმედი მაქვს, მომავალ შეხვედრაზე, რომელიც სავარაუდოდ შემდეგ კვირაში გაიმართება, სამინისტრო წარმოადგენს იმ ინფორმაციას, რომელიც სამუშაო ჯგუფის ფორმატში მოვითხოვეთ

ირაკლი მელაშვილის ,,თვითმმართველობის კოდექსში, მიწებთან დაკავშირებით გვაქვს 107-ე მუხლი და გვაქვს 165-ე მუხლის ჩანაწერი, რომელიც მიგვითითებს, რომ უნდა მოხდეს, სასოფლო და არასასოფლო მეურნეობის მიწების გადაცემა და ასევე უნდა გაიყოს და გაიმიჯნოს ბუნებრივი რესურსები - ტყე, წყალი და ა.შ. აქ მყოფი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს აქვთ ერთი და იგივე პრობლემა, მაგალითად იგივე, ხრეში, რომელზეც მუნიციპალიტეტს წვდომა არ აქვს. თუ ჩვენ სტრატეგიას ვწერთ და მასში არ ვიმეორებთ, რაც თვითმართველობის კოდექსში წერია, მაშინ სტრატეგია, ამ კუთხით, ვერ იქნება წინგადადგმული ნაბიჯი. რომელ მუნიციპალიტეტშიც ვიყავით, ყველგან ერთი და იგივე პრობლემებია, რომ შენობები ენგრევათ, ვერცერთი მუნიციპალიტეტი ვერაფერს აკეთებს. სინამდვილეში კი, ამას კარგავს სახელმწიფო, კარგავს მუნიციპალიტეტი, რადგან შემოსავალი არ შემოდის ბიუჯეტში. ათასობით ქონება აქვს აღრიცხული ეკონომიკის სამინისტროს. ამ მიმართულებით ძალიან მკაფიო უნდა იყოს სტრატეგია. ჩვენ გვაქვს მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემული უფლებამოსილებების მკაფიო ჩანაწერი, მაგალითად წყლის მიწოდების სისტემა, რომელსაც მუნიციპალიტეტი ვერ ახორციელებს, რადგან ეს ქონება მას არ ეკუთვნის. თუ მუნიციპალიტეტს უფლებამოსილებას ვაძლევთ, მაშინ უპირობოდ გადავცეთ ქონებაც, რომელიც მუნიციპალიტეტებს სჭირდებათ საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად. გამოვაჩინოთ ეს

ჩანაწერი, იმისთვის, რომ ამ ადამიანებს განძრევის საშუალება მივცეთ, რადგან სოფლის წყლების პრობლემა ძალიან სერიოზულად დგას და ვერავინ ვერ აგვარებს. ეს საკითხი სხვა თემებთან ერთად ტარიფების საკითხსაც უკავშირდება. რაც შეეხება მიწის საკითხს. გვაქვს 107-ე მუხლი და ინვესტორის გამოჩენის შემთხვევაში მერებს არ უნდა სჭირდებოდეთ „მათხოვრობა“ ეკონომიკის სამინისტროსთან. ყველამ კარგად ვიცით, როგორია პრივატიზების წესი, თავდაპირველად ინვესტორმა განსაკუთრებული წინადადებით უნდა მიმართოს, შემდეგ სამინისტრომ უნდა განიხილოს ან გადასცეს, ან გამოიტანოს აუქციონზე. დღეში ერთი წინადადება რომ განიხილოს, 50 წელი დასჭირდება, რომ ამ მიწას პატრონი გაუჩნდეს. დავყოთ ეს საკითხიც. ეს ჩანაწერები თუ არ გაკეთდა სტრატეგიაში, ვერ წავალთ წინ და ეს სტრატეგია შედეგის მომტანი ვერ იქნება“,- აღნიშნა ირაკლი მელაშვილმა. ექსპერტი მუნიციპალიტეტებისთვის განათლების კუთხით გადასაცემ უფლებამოსილებებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ პირველ რიგში აუცილებელია დადგინდეს სერვისის სტანდარტი და მას შემდეგ მოხდეს მსჯელობა უფლებამოსილების გადაცემასთან დაკავშირებით.
,, საუბარია იმაზე, რომ მუნიციპალიტეტებს, განათლების სფეროში გადაეცემათ გარკვეული უფლებამოსილებები, თუმცა შეხვედრებიდან გამოიკვეთა, რომ ისინი ვერ შეძლებენ სკოლების შენახვას. ფაქტიურად გამოდის, რომ უფლებამოსილებებს, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება ვერ ახორციელებს, უყრის მუნიციპალიტეტებს.

თბილისმა უარი თქვა სკოლების შენახვაზე, იმიტომ რომ ის შესაბამის თანხას ვერ მიიღებდა. როდესაც მუნიციპალიტეტებისთვის უფლებამოსილების გადაცემაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება ვილაპარაკოთ, მხოლოდ იმ უფლებამოსილების გადაცემაზე, რომელსაც ახლავს ხარჯები. ჯერჯერობით რაც მე მესმის სტრატეგიის განხილვის დროს, ძირითადად საუბარია, მხოლოდ იმ უფლებამოსილების გადაცემაზე, რომელითაც მუნიციპალიტეტებს მხოლოდ ხარჯებს გავუზრდით და შესაბამის დაფინანსებას ვერ მივაყოლებთ. ეს იმიტომ ხდება, რომ არ არსებობს სერვისების მიწოდების სტანდარტები და არ ვიცით რამდენია დაფინანსება. ეკონომიკის სამინისტრო 10 წელია საუბრობს სტანდარტების დადგენაზე, მაგრამ დღემდე არაფერი გაუკეთებია. ეს საკითხი რამენაირად უნდა მოვაგვაროთ, თორემ ამ ადამიანებს ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავაგდებთ. პირველ რიგში მუნიციპალიტეტს უნდა მივცეთ ის უფლებამოსილება, რომელიც შემოსავალს მოუტანს, რომ შემდგომში გადასაცემი უფლებამოსილებები დამატებითი ხარჯებით დააბალანსოს“- განაცხადა ირაკლი მელაშვილმა.

კოკა კიღურაძე ქონების გადასახადის თემას შეეხო და აღნიშნა, რომ სამუშაო ჯგუფის ფორმატში ხშირად იყო საუბარი, მუნიციპალიტეტებისათვის ქონების გადასახადის დასაბეგრი ბაზების შექმნასთან დაკავშირებით.
,, ქონების გადასახადის დასაბეგრი ბაზები, დაეხმარება მუნიციპალიტეტებს დაზუსტებით იცოდნენ ქონების გადამხდელის რაოდენობა. მუნიციპალიტეტებმა არ იციან მათ ტერიტორიაზე არსებული დასაბეგრი ბაზის რაოდენობა. ამიტომ იმისთვის, რომ არც არასამთავრობო სექტორს, არც ამთემაზე მომუშავე ადამიანებს და არც მუნიციპალიტეტებს, ამ მიმართულებით კითხვა არ დარჩეთ, ძალიან მარტივად შეიძლება სტრატეგიაში ამ საკითხის ფორმულირება, სადაც აისახება, რომ მაგალითად ორი წლის

შემდეგ, აღნიშნული ბაზა მუნიციპალიტეტებისთვის იქნება ღია“- განაცხადა კოკა კიღურაძემ.

მამუკა წოწერია ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე - განცხადებით, მუნიციპალიტეტს ჰქონდა მცდელობა თავად განეხორციელებინა გარკვეული ქონების რეგისტრაცია, თუმცა ფინანსების არ არსებობის გამო ადმინისტრირება ვერ მოხდა. ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარე დ.ღ.გ-ს თემასაც შეეხო და აღნიშნული გადაწყვეტილება დადებითად შეაფასა, თუმცა დასძინა, რომ საკუთარი შემოსავლების მობილიზაციისთვის, ქონების გადასახადის ადმინისტრირების გამკაცრება და სრულყოფა იქნება საჭირო. მამუკა წოწერიამ ქონების გადაცემასთან დაკავშირებით, ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ პრობლემებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სტრატეგიული გეგმის განხორციელების შემთხვევაში, სასურველია, პირდაპირი განკარგვის, ან სიმბოლურ ფასად საინვესტიციო ვალდებულებებით გადაცემის უფლება, დედაქალაქის მსგავსად, სხვა მუნიციპალიტეტებსაც მიენიჭოთ. მისივე თქმით, კარგი იქნება, თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საკუთრებაში გადავა და აღნიშნა, რომ წინააღმდეგ შეთხვევაში, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა სასოფლო- სამეურნეო მიწები ეკონომიკის სამინისტროს ნაცვლად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკუთრებაში იყოს, რაც მისი აზრით, მნიშვნელოვნად შეუწობს ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას. მამუკა წოწერიამ მოსაკრებლებთან დაკავშირებითაც ისაუბრა და განმარტა, რომ ზუგდიდში დასუფთავების კუთხით 4,5 მილიონამდე ლარი იხარჯება მოსაკრებლიდან მიღებული თანხა კი, 0.5 მილიონ ლარს შეადგენს. საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, მუნიციპალიტეტს არც იურიდიული პირებიდან ადმინისტრირების საშუალება აქვს და არც ჯარიმის დაწესების უფლება. მისივე თქმით, ზუგდიდში, ასევე მწვავედ დგას არასტანდარტული ავტოსადგურების მოწყობის პრობლემაც, რომელიც ქალაქში მრავლადაა და ხელს უშლის ავტომობილების გადაადგილებას. მამუკა წოწერიას განმარტებით, აღნიშნული პრობლემების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია მუნიციპალიტეტი სხვადასხვა უწყებების გადაწყვეტილებაში მაქსიმალურად იყოს ჩართული.
საუბრის დასასრულს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა დეცენტრალიზაციის საშუალოვადიანი სტრატეგიის დოკუმენტი დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ მასში სტრატეგიული მიზნები სწორადაა ასახული.

თეონა ქარდავა დაინტერესდა გაიზრდება თუ არა ბიუჯეტი დევნილებთან მიმართებაში. მისი განცხადებით, აღნიშნული საკითხი მკვეთრად უნდა გამოიკვეთოს სტრატეგიაში და დევნილების ოდენობის მიხედვითაც უნდა ხდებოდეს თანხის გამოყოფა.
,,ეს არ უნდა იყოს თანხვედრაში სოციალურად დაუცველთა ოდენობასთან, რადგან დევნილი და სოციალურად დაუცველი სხვადასხვა კატეგორიაა“- აღნიშნა ქარდავამ.

,**მერაბ დანელია** რეგიონული განვითარების ასოციაციის წარმომადგენელი - ათეული წელია ყველა მუნიციპალიტეტი ერთი და იგივე პრობლემების წინაშე დგას. მისი განცხადებით, მიწის, ქონებისა და ადგილობრივი გადასახადის კუთხით, თუ არ განხორციელდა ცვლილებები და მუნიციპალიტეტს არ გადაეცა

უფლებამოსილებები, ეს პრობლემები არ მოგვარდება. სტრატეგია არაჩვეულებრივია, თუმცა თუ არ აღსრულდა შედეგი არ გვექნება. მიეცით ამ ხალხს მართვის უფლება და პრობლემები მოიხსნება

მზია გიორგობიანი - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ,,ნამდვილად ვერ მივიღებ საყვედურს, ვერც ჩემს თავზე და ვერც რეგიონული განვითარების სამინისტროზე, რომ თითქოს მუნიციპალიტეტებისთვის რაიმე უფლებამოსილების გადაცემა გვსურს, იმისთვის, რომ შემდეგ რაიმე დავაბრალოთ. არცერთი უფლებამოსილება, იქნება ეს, დელეგირებული, თუ საკუთარი, არ გადაეცემა მუნიციპალიტეტს, თუ მას არ ექნება უკეთესად განხორციელების შესაძლებლობა და თუ არ მიყვება შესაბამისი ფინანსური რესურსი. აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას არ იყო ჩართული ყველა სახელმწიფო სტრუქტურა და ვერ მოხდა შეთანხმება თუ რა სახით უნდა გადაგვეცა მუნიციპალიტეტებისთვის უფლებამოსილება და თუ რა თანხა უნდა მიგვეყოლებინა, რის გამოც შენელებული იყო აღნიშნული პროცესი. რეალურად, მხოლოდ წელს გვექნება უფლებამოსილების გადაცემის შესაძლებლობა, თუმცა ხაზს ვუსვამ, რომ ძირითადი და დიდი ინფრასტრუქტურული სამუშაოები , სკოლების მშენებლობა, შენობების გამაგრება-რეაბილიტაცია , სრულად იქნება დაფარული ცენტრალური ხელისუფლების, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხრიდან. აღნიშნული თემა გაცხადებული გვაქვს და ყველა რეგიონმა იცის, რომელ სოფელში აშენდება სკოლები და რა სარეაბილიტაციო სამუშაოები იგეგმება მათ მუნიციპალიტეტებში.

დელეგირების საკითხთან დაკავშირებით მსჯელობებისას ჩვენ გვყავდა ექსპერტები, რომლებთან ერთადაც შევეცადეთ მეტნაკლებად ლოგიკური ფორმულა მოგვეფიქრებინა. დადგინდება განაწილების პრინციპი და თითოეულ მუნიციპალიტეტს მთავრობის განკარგულებით ჩაერიცხება გარკვეული თანხის ოდენობა, რომელსაც სახანძრო სისტემის, სველი წერტილების, კარ-ფანჯრის, ან თუნდაც სკოლამდე მისასვლელი გზის მოსაწესრიგებლად გამოიყენებენ. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის, საქართველოს მასშტაბით, 2019 წლისთვის 20 მლნ. ლარია გამოყოფილი და ასე იქნება სხვა უფლებამოსილებებთან დაკავშირებითაც, ასე რომ არცერთი უფლებამოსილების გადაცემა არ მოხდება ისე, რომ მუნიციპალიტეტს ზედმეტ ტვირთად დააწვეს “, - განაცხადა მზია გიორგობიანმა. მინისტრის მოადგილემ ქონების ბაზის სრლუყოფასთან დაკავშირებითებითაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროსთან შედგა შეთანხმება, რომ აღნიშნული ბაზები უფრო მეტად დაიხვეწება.

,,ფინანსთა სამინისტრო ქონების დაბეგვრასთან დაკავშირებით, სხვადასხვა პრაქტიკის განხილვის ეტაპზეა და სხვადასხვა მოდელებზე მუშაობს, რომლითაც შესაძლოა მოხდეს ქონებების მეტნაკლებად განფასება. ამ ეტაპზე განხილვის პროცესში არ ვართ ჩართულები და როგორც კი ბაზა ხელმისაწვდომი გახდება ჩვენთვის, რა თქმა უნდა ყველა მუნიციპალიტეტი იქნება ჩართული პროცესში.
სტრატეგიის მიღებით სამუშაო ჯგუფის ფორმატი არ ჩერდება და სამუშაო ჯგუფები აგრძელებენ მუშაობას“,- აღნიშნა მზია გიორგობიანმა.

მისივე თქმით, როდესაც ეკონომიკის სამინისტროსთან მსჯელობისას საუბარია ქონებაზე, იგულისხმება ყველა ტიპის ქონება- საძოვრები, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული ტიპის მიწის ნაკვეთები. მინისტრის მოადგილემ ადმინისტრირების ნაწილზე და ჯარიმების დაწესების თემაზეც ისაუბრა და განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა და გადაწყვეტილება მალევე გაცხადდება. მზია გიორგობიანმა ტრანსპორტირების თემასთან დაკავშირებით, ეკონომიკის სამინისტროსთან განხილულ საკითხებზეც ისაუბრა. ტრანსპორტირებასთან მიმართებაში ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს კანონზე, მათ შორის საქალაქთაშორისო ტრანსპორტთან დაკავშირებითაც. წინასწარ პროექტში, რომელიც სამინისტრომ გაგვიზიარა, ბევრი შეუსაბამობა იყო იმ უფლებამოსილებებთან, რომლებიც მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ. ასევე ბევრი შენიშვნა გვქონდა სამართლებრივ ნაწილზეც, რომლებიც ვფიქრობ, უკვე ასახული იქნება პროექტში. როგორც კი მივიღებთ აღნიშნულ დოკუმენტს, მაშინვე მოხდება მისი განხილვა სამუშაო ჯგუფებში და შესაბამისად გაგიზიარებთ თქვენც. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ტრანსპორტირების კუთხით, ჩვენ ვეცნობით საქალაქთაშორისო და სოფლებს შორის გადაადგილების შესახებ ინფორმაციებს და შევეცდებით, აქ არსებული პრობლემების მოსაგვარებლად დავსახოთ ყველასთვის სასურველი გეგმა“,- განაცხადა მზია გიორგობიანმა.

შეჯამება

დავით მელუა - მინდა მითხრათ რომ ამ შეხვედრებისგან მიღებული მოსაზრებებზე დაყრდნობით ასოციაცია მოამზადებს თავის მოსაზრებას და რეკომენდაცოებს სტრატეგიის დოკუმენტზე. მნიშვნელოვანია რომ გავმიჯნოთ საკითხები - რაზეც ყველა შეთანხმებული ვართ რომ მოსაგვარებელია ეს უნდა გაიწეროს თუ როდის მოგვარდება. მაგრამ არის საკითხები რომელზედაც ჯერ კიდევ არ არის თანხმობა და სტრატეგიამ ეს საკიტხები უნდა აღიარეს როგორც მსჯელობის საგანი და დათქვას ვადა თუ როდის ქნება მონახული მისი გადაჭრის გზა. ასოციაცია გაგრძელებს სანინისტროსთან თანამშრომლობას სტრატეგიის ბოლო ვარიანტზე და ჩვენ მომავალშიც გავმართავთ კონსულტეციებს სტრაგეიის საბოლოო ვარიანტზე.

მზია გიორგობიანი - ჩვენ ამ შეხვედრებით დავიწყეთ დეცენტრალზიაციის სტარტეგის შექმნის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც არის მუნიცპალიტეტთან კოსნულტაცია. ეს არ იქნება ბოლო შეხვედრა და ეს კონსულტაცია მომავალშიც გაგრძელდება. ასვე ველით წერილობით შენიშვნებს და მოწაწიელეობას თემატური ჯგფების ფორმატში. მადლობა მინდა გადაუხადო ასოციაციას და გაეროს განვითრების პროგრამას ამ შეხვედრების ორგანიზებისთვის. მადლობა თქვენ მობრძანებისთვის და გემშვიდობებით აქტიური თანამშრომლობის იმედით.

იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებთან
17 იანვარი 2019
ქ. ქუთაისი

შესვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავჯდომარეები, საკრებულოს წევრები, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, მისი მოადგილე, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, იმავე სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა საჯარო ფორმატში და მას ესწრებოდნენ კოკა კიღურაძე და ირაკლი მელაშვილი ასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციიდან, ადგილობრივი არსამთავრობო ორგანიზაცოების წარმოამდგენლები (მონაწილეთა სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის). შეხვედრა ღია იყო ადგილობრივი და ცენტრალური მედიისთვის.

დავით მელუა მიესალმა მონაწელეებს და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა ეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით. მან სიტყვა გადასცა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომაგდნელს.

მისალმების შემდეგ ბატონმა **ნიკოლოზ როსებაშვილმა** გააკეთა პრზენტაცია დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესზე, ამ სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებზე, განხორცილების გზებზე, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებზე. მან მონაწილეებს მოუწოდა გამოთქვათ საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, ასევე წერილობით მოსაზრებები ეროვნული ასოციაციის მეშევეობით ან პირდაპირ წარედგინათ მისი სამინისტროსთვის.

ნიკოლოზ როსებაშვილის პრეზენტაციის შემდეგ დავით მელუამ გახსნილად გამოაცხადა სხდომის ინტერაქტიული ნაწილი. მან მონაწილეებს აცნობა, რომ იწარმოება ამ შეხვედრის ოქმი, როემლიც წარედგინება საქართველოს ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს და მასში მოცემული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდება ასოციაციის მოსაზრება დეცენტრაილიზაციის სტრატეგიასთან მიმართებით. ოქმის წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით ჯერ გამოცხადდა კითხვების მიღება უშუალოდ პრეზენტაციასთან დაკავშირებით და შემდეგ უკვე ღია დისკუსია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის თაობაზე.

კითხვა პასუხის ნაწილი (ფასილიტატორი დავით მელუა)

გრიგოლ ივანეიშვილი, წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარე: რა არის თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება?
ნიკოლოზ როსებაშვილის პასუხი: თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხა, რომელიც არ უნდა დაიხარჯოს

გარკვეული კონსულტაციების გამართვისა და მათი აზრის გათვალისწინების გარეშე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე კითხვა: მოხდა მუნიციპალიტეტებისთვის, სკოლების გადაცემის თემა, გასულ წელს გაფორმდა მემორანდუმი, შემდეგ ხდება გარკვეული ვალდებულებების შეჩერება. რამ გამოიწვია ამ პროცესის შეჩერება?

ნიკა როსებაშვილი პასუხი: როდესაც ვსაუბრობთ უფლებამოსილებების გადაცემაზე, დღეს არის რამოდენიმე ტიპის სერვისი და უფლებამოსილება, რომელიც ცენტრალურ დონეზე ხორციელდება, რომელზეც დაწყებულია საუბარი გადავიტანოთ ადგილობრივ დონეზე, მათ შორის ყველაზე მომწიფებული საკითხი არის სკოლების რეაბილიტაცია და ბავშვების ტრანსპორტირება. განათლების სამინისტროსთან ერად გაიწია სამუშაო, შესაბამისი სამართლებლივი გზით, დელეგირების გზით, რასაც თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს და რაც მნიშვნელოვანია. აქამდე დელეგირებული უფლებამოსილების შემთხვევაში არ ყოფილა და დღესაც არ გვაქვს, რაც აქამდე დელეგირებულია, ბიუჯეტის განაწილების წესით, ან იყოს კონკრეტული ფორმულა და მექანიზმი თუ რომელ მუნიციპალიტეტს რა თანხა გაყვება და როგორ დაიანგარიშება ეს თანხები ცხადი იყოს, ამ უფლების გადაცემის დროს. არ გაჩერებულა ეს პროცესი, გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები გაიწია, რომ ეს არ ყოფილიყო მემორანდუმის ფარგლებში და ეს მოქცეულიყო დელეგირების სამართლებლივ ჩარჩოებში, გაანგარიშების წესით, ეს გაანგარიშების წესი არსებობს. მომდევნო კვირას სავარაუდოთ მთავრობა მოიწონებს ამ გაანგარიშების წეს და შესაბამის ხელშეკრულების ფორმას და განათლების სამინისტროს ნებას მისცემს, როგორც კანონით არის გათვალისწინებული და გადაწყვეტილებას მიიღებს იმისას რომ დელეგირების ხელშეკრულება გააფორმოს და უფლებამოსილების დელეგირება გააკეთოს რაც პროცედურულათ ითვალისწინებს. შესაბამისათ ამაზე დამატებითი კომუნიკაცია იქნება. სკოლების რეაბილკტაციის გადმოცემის საკითხი ის კი არ იყო რო განათლების სამინისტრო ვერ აკეთებს და მუნიციპალიტეტი გააკეთებს, არამედ ის რომ ყოფილიყო უფრო ეფექტური, ქმედითი. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც გადაწყვეტილება მეტნაკლებად მიღებულია. ხო არ ჯობია სოციალური შემწეობის უფლება გადავცეტ მუნიციპალიტეტებს, მაგრამ არა ხვალ და დავაყენოთ რაღაც პრობლემის წინაშე. ამ კუთხით დაწყებულია გარკვეული მუშაობა ჯანდაცვის სამინისტროსთან, რა არის ამ უფლებამოსილების სამართლებლივი მხარე, ბიუჯეტი, რა ტექნკური მხარე, იმიტო რო ძალიან დიდი ტექქნიკური მხარე აქვს, არსებობს სპეციალური სოფტი, არსებბობ სპეციალური სერვერები, აწყობილი სისტემა, სოციალურ სააგენტოში ამიტომ თავში როგორც ავღნიშნე თვითოეული უფლებამოსილების გადაცემის წინ არის საკმაოდ, ვრცელი საუმუშაო ჩასატარებელი იმიტომ, რომ ეს არ არის მარტივი და გადმოგცეთ და გითხრათ აბა მიდით მიხედეთ. შესაბამისად სკოლები იყო, კიდევ ერთხელ ვიძახი ყველაზე მომწიფებული საკითხი, რომელსაც არ ჭირდებოდა ბევრი კვლევა და განხილვა, მაგრამ ტექნიკური საკითხები ძალიან ბევრი ახლდა და ამოიწია ამ პერიოდში და კარგია, რომ გამოკვეთა და როგორც გითხარით თანხების, კითხვის ნიშანიც იყო, როგორ დაიშლება ეს თანხები დრეს გასაგებია თანხას ხარჯავს განათლების სამინისტრო, მაგრამ რა პრინციპიტ უნდა განაწილდეს ეს ფორმულა. შეიქმნა კარგი ფორმულა, რომელიც

ითავლისწინებს სხვადასხვა კრიტერიუმებს მუნიციპალიტეტების სპეციფიკას, იმ სკოლების რაოდენობას, მდგომარეობას, სკოლების ფართობებს, ბავშვების რაოდენობებს.

კითხვა: რა ვადაში შეგვიძლია ჩვენ რეკომენდაციები დაშენიშვნები მოგაწოდოთ? რამდენათ არის ხელისუფლების პოლიტიკური ნება, ეს სტრატეგია, რეალურად განხორციელდეს, რამდენათ არსებობს სამოქმედო გეგმა ეს სტრატეგია დათქმულ ვადებიში შესრულდეს?

ნიკა როსებაშვილი პაუხი: განსხვავებით წინა რეფორმების დასაწყისებიდან, ეს რეფორმა გნსხვავდება იმით რომ ჯერ გამოიკვეთა პოლიტიკური ნება, ამ წლის დასაწყისში გაიმართა დეცანტრალიზაციის ხედვის წარდგენა, მაღალი პოლიტიკური თანამდებობების პირების მიერ. გვახსოვს პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერმინისტრის მიერ იქნა წარდგენილი აღნიშნული ხედვა და პოლიტიკური მხარდაჭერა, როგორც აღმასრულებელი ისე საკანანომდებლო ორგანოდან არის საკმაოდ მაღალი მე ვფიქრობ, რომ სწორად დაიწყო პროცესი ჯერ პოლიტიკური ნება გამჯღავნდა და არა როგორც წინა შემთხვევაში ვიღებდით ხოლმე ჯერ დოკუმენტებს, სტრატეგიებს და მერე კითხვი ნიშნის ქვეშ დგებოდა განხორციელების საკითხი. მე დიდი იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ პრინციპში, რომ ეს პროცესი წავა აქტიურათ, არის საკმაოდ გახსნილი, საკმაოდ ინკლუზიური. დამერწმუნეთ, როდესაც ჩვენ განაცხადი გავაკეთეთ სამუშაო ჯგუფებში მიონაწილეობასთან დაკავშირებით, სამი ჯგუფის ფარგლებში დაახლოებით ას დაინტერესებულ პირამდე იქნა, ჯგუში თავმოყრილი, მათ შორის თქვენი ორგანიზაცია თბილისიდან და არის ძალიან დიდი გამოხმაურება და დაინტერესება და ვიღებთ შენიშვნებს აბსოლიტურათ ყველა ორგანიზაციიდან.რაც შეეხება შენიშვნების ნაწილს, თქვენ შეგიზლია ნახოთ სტრატეგია სამინისტროს ვებ გვერზე, რომელიც არის ამ ეტაპისტვის არსებული ვერსია და ჩვენ ველოდებით კიდევ დამატებით შენიშვნებს და მოსაზრებებს, დამტკიცებამდე, რა თქმა უნდა იდელური დოკუმენტი რთულია მივიღოთ, ჩვენი მცდელობა და პოლიტიკური ნება არის იმისა, რომ ყველას პოზიცია იქნესდაფიქსირებული და მაქსიმალურად ვეცადოთ, ავსახოთ ყველას პოზიცია, დღევანდელი შეხვედრაც, ამ პროცესის ნაწილია.

ვფიქრობთ, რომ დამტკიცებამდე კიდევ გვექნება ესეთი შეხვედრები. შეიძლება ინდივიდუალურათ მუნიციპალიტეტებთან, შეიძლება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ჩავრთოთ სამუშაო ჯგუფის განხილვებზე და სამინისტროებთან განხილვის ეტაპებზე.

ლევან ივანეიშვილი საჩხერი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კითხვა: წლებია ვსაუბრობთ დეცენტრალიზაციაზე, ძირთადად აქცენტები კეთდება ფინანსურ მხარეზე, ყველაზე რთული საკითხია რა თქმა უნდა, მაგრამ ხო არ გიფიქრრიათ, შედარებით ადვილად გადმოსაცემ უფლებაზე, მუნიციპალიტეტმა, რომ შეძლოს ქუჩას, სკვერს დაარქვას სახელი. თუ იგეგმება ამ კუთხით რაიმე?

ნიკა როსებაშვილი პასუხი:სანამ სახელის დარქმევაზე გადავალ, პროცესის გაჭიანურებასთან დაკავშირებით, მინდა ვთქვა ორი სიტყვით.

კონკრეტული დარგის ან სფეროს მიხედვით, როდესაც გარკვეული სამინისტრო, კონკრეტულ სამოქმედო გეგმაზე და სტრატეგიულ დოკუმნტზე მუშაობს, იმ შემთხვევაში შედარებით მარტივია, როცა კულტურის სამინისტრო,

კულტურის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობს, განატლების სამინისტრო, განათლების განვითარების გეგმაზე. ეს შედარებით მარტივია, როცა თვითმმართველობაზე ვლაპარაკობთ, კარგად მოგეხსენებათ, რომ რამდენად მრავალმხრივი და კომპლექსური მიდგომა ჭირდება. თავდაცვის და შშს სამინისტროა ალბატ მხოლოდ ისინი, ვისთანაც არ გვიწევს ლაპარაკი და არ მოგვიწევს. დანარჩენი ისეთი სფეროა, რომელიც თვითმმართველობასთან შემხებლობაშია. პროცესი და სირთულე განპირობებულია იქითკენ, რომ ეს საჭიროებს დიდ ძალისხმევას, თვითოეულთან იყოს გამართული კონსულტაციები, მოხდეს შეთანხმება და ეს პროცესი იქნას მომზადებული მუნიციპალიტეტებთან განსახილველად. ჩვენ ვცდილობთ, ფორსირებულად გავაკეთოთ ეს პროცესი და მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, კომპლექსურობის გატვალისწინებით, კიდევ ვიმეორემ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ეს პროცესი დავაჩქაროთ თვენახევარში ორ თვეში.

ეს სტრატეგიის დოკუმენტი იყოს დამტკიცებული და გადავიდეთ სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე. რაც შეეხება სახელების დარქმევას, სახელის დარქმევის გადაწყვეტილებას, კანონით დღეს იღებთ თქვენ, მაგრამ ასევე გეოგრაფიული ობიექტების შესახებ საქართველოს კანონი თუ სწორად მახსოვს, ასე ქვია, ითვალისწინებს, რომ უნდა შეიქმნას სამთავრობო კომისია, რომელიც ერტიან ჭრილში უნდა იყოს უწყება, რომელიც დაინახავს რა პროცესი მიმდინარეობს და ვიღაცა, რამე ისეთს ხო არ გახდეს პრობლემა. ასევე პარლამენტშია შესაბამისი კომისია, რომელიც რაღაცებს არქმევს სახელებს და არა ქუჩებს და სკვერებს, რისი უფლება მოსილებაც თვითვითო აქვს. ასევე ეს არის დაკავშირებული დამისამართების ერთიან პოლიტიკასთან, იმიტომ რომ ქუჩის სახელი მიბმულია დამისამართებასთან.

ირაკლი შენგელია ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კითხვა: პირველი მინდა ავღნიშნო, მნიშვნელოვანია, რომ შეიცვალა ბიბლიოთეკების პროცესი და დღგ-ს გადანაწილებამ მოგვცა საშუალება გრძელვადიან პერესპექტივაში ზრდსა განაგრძოს.

მეორე საკითხი პირდაპირ შეიძლება აისახოს შემოსავლების კუთხით, ეს არის მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებული, ქონების განკარგვის წესი. ჩვენ ვიცით, რომ მუნიციპალურ ტერიტორიაზე გვაქვს ბევრი ქონება, რომელიც ცენტრალიური ხელისუფლების ბალანსზეა, ამ მიმართულებით ინვესტორის პირობებში, ზედმეტი ბიუროკრატიის გავლა უწევს.

ღია დისკუსია (მოდერატორი დავით მელუა)

დავით მელუა - შემოგვიერთდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თქვენის ნებართვით მას გადავცემ სიტყვას:

მზია გიორგობიანი: მოგესალმებით პირველ რიგში ძალიან დიდი მადლობა მობრძანებისთვის. სტრატეგიის ფარგლებში მეტნაკლებად ყველასთვის ცნობილია რა ეტაპზე ვართ და რა გეგმები გვაქვს ამ მიმართულებით, ნამდვილათ მინდა რომ დაგეთანხმოთ დეცენტრალიზაცია ქონების და ფინანსური რესურსის გარეშე, არ არის დეცენტრალიზაცია და აქედან გამომდინარე ყოველი ქმედება, რომელიც ასახული იქნება ცენტრალური ხელისუფლების მიერ, იქნება სწორად დაგეგმილი.

როგორც მოგეხსენებათ გარდაიმისა, რომ ელექტრონულად გამოგზავნილი გქონდათ სტრატეგია, ასევე განთავსებულია სამინისტროს ვებ გვერძე სტრატეგიის პროექტი, ჩვენ ველით კომენტარებს, როგორც მოგეხსენებათ გახსნილი პროექტი გვქონდა სტრატეგიის შემუშავებაში ეს პროცესი არ გვაქვს დასრულებული და გარდა ამისა მინდა ვაღნიშნო, რომ სტრატეგიის მიღებით, ასრულებთ პროცეს.

პროცესი იწყება მაშინ, როცა სტრატეგია იქნება მიღებული. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ყოველი ჩვენთაგანის სწორი თანხვედრა, თანმიმდევრული ქმედებები, რათა ყოველი ნაბიჯი რომელიც გადადგმული იქნება, ეს იქნება დეცენტრალიზაციისაკენ. შესაძლოა, რომ ბევრი რაღაც ამ ეტაპისთვის არ იყოს თქვენთვის ასევე ჩვენთვისაც მოსაწონი, თუნდაც ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპი, რომელიც ამ ეტაპისთვის ხდება. თუმცა ვფიქრობთ, რომ სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია. დარწმუნებული ვარ გქონდათ შესაძლებლობა, რომ დეტალურად გაგეარათ ამ ნაწილში, თუმცა მინდა ვთქვა რომ მიუხედავად იმიდა, გარკვეული ჯგუფები საუბრობენ დემოტივიზაციაზე ეს ფორმულა დავარქვათ, განაწილების ფორმულა, ვფიქრობთ სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია, იმიტომ რომ ორი დადებითი მხარე აქვს ამ ფორმულას ერთი ის რომ არავის პირად ინტერესებზე არ იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მოხდეს ამ თანხის გადანაწილება, წინასწარ განსაზღვრულია კანონით. გარდა ამისა ეს თანხა არ შედის ცენტრალურ ბიუჯეტში, ცენტრალური ბიუჯეტიდან არ ხდება ამის გადანაწილება, ეს ხდება ერთიანი სახაზინო ანგარიშიდან, როგორც კი იმ სახაზინო ანგარიშზე მოხვდება და ნაწილედება ავტომატურად მუნიციპალიტეტებზე, ეს მოხდება სისტემის მიერ, ხელის ჩარევის გარეშე, ვფიქრობ ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია.

გარდა ამისა ეს ფონდი, რომელიც ნაწილდება მუნიციპალიტეტებზე არის მზარდი და ფონდის მოცულობა გაიზრდება ქვეყნის ზრდასთან ერთად. შესაბამისად ვფიქრობთ, რომ ახალი განაწილების პრინციპი ვერ იქნება დემოტივატორია. გექმნებათ სამუშაო ადგილების და ადგილზე ეკონომიკური განვითარების საშუალება, დამატებითი შემოსავალი, ავტომატურად არ მოხდება ამ ფორმულით თქვენთვის განსაზღვრული თანხის მოცულობის შემცირება. ის დამატებითი ადგილზე წარმოქმნილი შემოსავალი დაემატება ცენტრალური ხელისუფლებიდან ამ დღგ-ს განაწილებით მოსულ თანხის ოდენობას. ეს არის ძირითადი.

ერთსაც გეტყვით გეგმებთან დაკავშირებით, თქვენგან წამოსული ინიციატივებით და თქვენი კითხვებით, შენიშვნებით, კომენტრაებით ჩვენ ამას ავსახავთ იმ სტრატეგიის პროექტში რომელიც ამ ეტაპისთვის მომზადებული გვაქვს. სტრატეგია განსაზღვრული გვაქვს 2019-2025 წლისთვის თუმცა ამის პარალელურად ვამზადებთ სამოქმედო გეგმას, რომელიც იქნება ორ წლიანი 2019-2020 წლის და თქვენგან წამოსული იდეებითაც, მათ შეორის ასახული იქნება სამოქმედო გეგმები და გაწერილი იქნება ამ ორი წლის განმავლობაში რას გავაკეთებთ იმისთვის რომ შემდგომი ნაბიჯები გადავდგათ.

ამ განაწილებით ნიკას ექნებოდა შესაძლებლობა, რომ გესაუბრათ, რომ ამ განაწილების პრინციპებზე არ ვასრულებთ მუშაობას, პარალელურად ვმუშაობთ სხვა გადასახადების გაზიარების ნაწილზე, რათა უფრო მეტად დავხვეწოთ ის არსებული მეთოდი და პრინციპი, რომელიც ამ ეტაპისათვის გვაქვს.

ასე რომ ამ სტრატეგიის მიღებით, კიდევ ერთხელ გავმეორდები და ვიტყვი, რომ რეალურად არ ვასრულებთ პროცესს, პირიქით პროცესი იწყება სწორი დეცენტრალიზაციის, ადგილზე მეტი უფლებების მართვის და მეტი ფინანსური რესურსით. დიდი მადლობა და ველით, თქვენგან გახსნილ კითხვებს, შენიშვნებს, მოსაზრებებს, რომელიც იქნება წარმოდგენილი.

ნიკა როსებაშვილი ბოდიშ ვიხდი ქონებასთან დაკავშირებით იკითხეს და პასუხს გავცემ:

ეს არის საკითხი, რომელზეც აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობები, სამუშაო ჯგუფებში, გამომდინარე საკითხის მნიშვნელობიდან, პროცესში ჩაერთო ქონების მართვის სააგენტო

მზია გიორგობიანი: თუ მუნიციპალიტეტები სტრატეგიის განხილვის საჭიროებას ხედავთ დამატებით და არსებობს თქვენი მხრიდან მზაობა, ჩვენ მზად ვართ ამისთვის ნებისმიერ დროს, შეიძლება ადგილზე ვერ ჩამოვიდეთ და მაგრამ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით პირდაპირ ჩვენ შეგვიძლია, რომ ჩვენი ოთახებიდან ჩავერთოთ გნებავთ დაინტერესების შემთხვევაში ინდივიდუალურათ ან თუნდაც რამოდენიმე მუნიციპალიტეტი ერთად, თქვენ როგორც ჩათვლით საჭიროდ. ეს რაც შეეხება ზოგადად განხილვას, ქონების განკარგვის საკითხს რაც შეეხება უახლოეს მომავალში ჩვენ ვგეგმავთ სხვადასხვა წარმომადგენლებთან შეხვედრას, რომელთანაც ეს საკითხი უშუალოდ შემხებლობაშია და ამაზე თუ ვინმეს მუნიციპალიტეტიდან სურვილი გექნებათ, შეგიძლიათ ჩამობრძანდეთ.

გრიგოლ იოსელიანი წყალტუბოს მინიციპალიტეტის მერი კითხვა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტესთვის და არამარტო წყალტუბოსთვის მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიების საკითხი, მეტიც წყალტუბოში არის კიდევ მღვიმეები, ანუ შემოსავალი დაცული ტერიტორიებიდან და მღვიმეებიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტს არ აქვს, როდესაც ვსაუბრობთ დეცენტრალიზაციაზე, ეს შემოსავალი აუცილებელია აისახოს ადგილობრივ ბიუჯეტში, უფრო მეტი ეკონომიკური განვითარებისათვის. ბატონმა **ნიკა როსებაშვილმა** ისაუბრა, ტურისტულის მოსაკრებელი შემოღებაზე, რომელიც შესაძლოა განხილული იყოს და ვფიქრობ რომ მართლაც საინტერესო და მნიშვნელოვანისაკითხი იქნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის ესეც აისახოს, ამ მიმართულებით სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება, ამ შემთხვევაში ჩვენს ქალაქს, ან მოსაკრებელი დაწესდეს ან როცა ტურისტი მიდის დასათვალიერებლად ღირშესანიშნაობის და თანხას იხდის გარკვეული პროცენტი შემოდიოდეს ადგილობრივ ბიუჯეტში, თუ შეიძლება ეს საკითხი ჩაინიშნოთ და შემდეგ განვიხილოთ.

გრიგოლ ივანეიშვილი წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარე გავაგრძელებ ბატონი **გრიგოლ იოსელიანის** საუბარს, ჩვენ ერთ მუნიციპალიტეტს წარმოვადგენთ, ელემენტარულად ბილეთის საფასურში, რომ ჩაიდოს გაყიდული ბილეთიდან გარკვეული ღირებულების პროცენტი, იყოს ადგილობრივი ბიუჯეტისთვის გათვალისწინებული.

გიორგი ჭიღვარია ქუთაისის მერი ჩვენი პირდაპირის სისუსტე არის: მაგალითად ქუთაისის ბიუჯეტი არის 55 მილიონი ლარი აქედან, ბაღების შენახვა 11-12 მილიონი ჯდება, სპორტის ააიპ-ი, კულტურის სახლი ამ ყველაფერში დაახლოებით 20 მილიონამდე იხარჯება, დაახლოებით 70 პროცენტი ბიუჯეტის ხელფასებში იხარჯება, ბიუჯეტის სიმცირე არის ჩვენი მუნიციპალიტეტების პირდაპირი სისუსტე.

კითხვა: ბატონო ნიკა წეღან თქვენ ახსენეთ ლიცენზიების გადაცემასთან დაკავშირებით, ეს რომელი ლიცენზიაზეა საუბარი, რომელიც ინვესტორებს უნდა გადასცენ, მოგებულ კომპანიებს? მოსახლეობას აქედან რა სარგებელი ექნება, მაშინ როცა ინერტულ მასალას ვერ იღებენ ?

პასუხი ნიკა როსებაშვილი: ამ ეტაპზე ნამდვილათ არ შემიძლია დაკონკრეტებით გითხრათ, რომელ ლიცენზიაზეა საუბარი, სტრატეგიის ტექსტი იძახის შემდეგ რამეს, რომ სამოქმედო გეგმის ეტაპზე, გავწეროთ აქტივობები დავაიდენტიფიციროთ, შევისწავლოთ ხო არ არის ისეთი ლიცენზია , რომელიც თქვენთან ახლოა, შეიძლება , რომ თქვენ გააკეთოთ და აწარმოოთ ეს პრობლემაც და იდენტიფიცირება გავაკეთოთ ისეთი ტიპის ნებართვებზე და ლიცენზიებისა, რაც შეიძლება რომ თქვენთან გადმოვიდეს. ამ ეტაპზე შემიძლია მხოლოდ ამის თქმა.

ნიკა როსებაშვილი კითხვა: ხომ არ არის ისეთი ლიცენზიები, რომლებზეს მოსახლეობა გაწუხებთ ხოლმე.

პასუხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი : ადრე სოფლის პროექტები, როცა იყო ხოლმე, სამი თვით ვადიტ გაიცემოდა ხოლმე ლიცენზია ამით სარგებლობდა ხოლმე მოსახლეობა და ეხლა ერთი ურემიც რომ ამოიღოს (რაზეა საუბარი არ არის დაკონკრეტებული) გარემოს დაცვის ინპექცია აჯარიმებს. შეშის მოპოვებაზეც ძალიან დიდი პრობლემები გვაქვს, ჩვენი 78 სოფ;ლიდან მხოლოდ 6 სოფელია გაზიფიცირებული და ეხლა კანონი მზადდება პარლამენტში და ისიც უფრო მკაცრდება და ის შვიდი კუბი შეშაც არ ექნებათ და რა გამოდის ჩვენ ხალხზე უნდა ვიზრუნოთ და კანონის გამკაცრება კარგია, მაგრამ.... კარგი იყო ხოლმე ადრე მუნიციპალური ტყისფონდი არსებობდა და იმით ვსარგებლობდით.

აბა რა ყუფლებები გვაქვს ?! სახანძროს ვერ ვაკონტროლებთ, სამედიცინოს სფეროს, სოციალურს, წყალს, ინერტულ მასალას არანაირი უფლებამოსილებები არ გვაქვს. ხელისუფლებიდან წამოსულ თანხასაც ვერ ვითვისებთ, იმიტომ რო არაკეთილსინდისიერი მეწარმეები შემოდიან ოჯახისწევრებზე აქვთ გაფორმებული კომპანიები, ერთიდაიგივე ხალხი ტრიალებს და გაშავებაც სირთულეებს წრმოადგენს.

დავით მელუა: სხვა მოსაზრებიბი თუ არის?

კითხვა: დელეგირებულ ფუნქციაზე იყოს წეღან საუბაბარი განათლების კუთხით და სხვა დელეგირებულ ფუნქციებზე ხომ არ მიდის საუბარი?

ნიკა როსებაშვილიპასუხი: მიდის ამ თემებზე მსჯელობა და თუ გექნებათ მზაობა ამის განხილვაში შეგიძლიათ მიიღოთ მონაწილეობა.

შეჯამება

დავით მელუა - მინდა მითხრათ რომ ამ შეხვედრებისგან მიღებული მოსაზრებებზე დაყრდნობით ასოციაცია მოამზადებს თავის მოსაზრებას და რეკომენდაცოებს სტრატეგიის დოკუმენტზე. მნიშვნელოვანია რომ გავმიჯნოთ საკითხები - რაზეც ყველა შეთანხმებული ვართ რომ მოსაგვარებელია ეს უნდა გაიწეროს თუ როდის მოგვარდება. მაგრამ არის საკითხები რომელზედაც ჯერ კიდევ არ არის თანხმობა და სტრატეგიამ ეს საკიტხები უნდა აღიარეს როგორც მსჯელობის საგანი და დათქვას ვადა თუ როდის ქნება მონახული მისი გადაჭრის გზა. ასოციაცია გაგრძელებს სანინისტროსთან თანამშრომლობას სტრატეგიის ბოლო ვარიანტზე და ჩვენ მომავალშიც გავმართავთ კონსულტეციებს სტრაგეიის საბოლოო ვარიანტზე.

მზია გიორგობიანი - ჩვენ ამ შეხვედრებით დავიწყეთ დეცენტრალზიაციის სტარტეგის შექმნის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც არის მუნიციპალიტეტთან კოსნულტაცია. ეს არ იქნება ბოლო შეხვედრა და ეს კონსულტაცია მომავალშიც გაგრძელდება. ასვე ველით წერილობით შენიშვნებს და მოწაწიელეობას თემატური ჯგფების ფორმატში. მადლობა მინდა გადაუხადო ასოციაციას და გაეროს განვითრების პროგრამას ამ შეხვედრების ორგანიზებისთვის. მადლობა თქვენ მობრძანებისთვის და გემშვიდობებით აქტიური თანამშრომლობის იმედით.

რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვაბეთის მხარის მუნიციპალიტეტებთან

18 იანვარი 2019
ქ. ამბროლაური

საკონსულტაციო შეხვედრას, რომელიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გაიმართა, რაჭის მხარის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოების თავმჯდომარეები, საკრებულოების წევრები, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი-დავით მელუა, მისი მოადგილე-ნათია ღვინაშვილი, ამავე ორგანიზაციის ექსპერტი-კახა გურგენიძე, ასევე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე-მზია გიორგობიანი, ამავე უწყების ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი-ნიკოლოზ როსებაშვილი და რაჭის მხარის სახელმწიფო რწუმენბულის პირველი მოადგილე-დავით გურგენიძე ესწრებოდნენ. საკონსულტაციო შეხვედრას, რომელიც ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით საჯარო ფორმატში გაიმართა, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციიდან დავით ხოსრუაშვილი, ასევე, ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმოამდგენლები-ნანა სოხაძე და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები-ზაურ ცვარიანი და ნინო სილაგაძე ესწრებოდნენ (მონაწილეთა სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის). აღსანიშნავია ისიც, რომ შეხვედრა ღია იყო როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური მედიისთვის.

შეხვედრა **დავით მელუამ** მისასალმებელი სიტყვით გახსნა და აღნიშნა, რომ შეხვედრა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო, რის შემდეგაც სიტყვა გადასცა რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს და მუნიციპალიტეტის მერს, რომლებმაც თავის მხრივ, დეცენტრალიზაცაციის მნიშვნელობასა და მუნიციპალიტეტების ჩართულობის აუცილებლობაზე ისაუბრეს. დამსწრე საზოგადოებას ასევე, სიტყვით მიესალმა ქ-ნი მზია გიორგობიანი, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს აქტიური ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა. ოფიციალური ნაწილის შემდეგ, **ნიკოლოზ როსებაშვილმა** დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგიის

შემუშავების პროცესზე, ამ სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებზე, ასევე მისი განხორციელების გზებზე და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებზე პრეზენტაცია წარმოადგინა. მანვე, მონაწილეებს მოუწოდა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, როგორც შეხევდრის მსვლეობისას, ისე წერილობით, რასაც ისინი ეროვნული ასოციაიციის დახმარებით ან პირდაპირ, სამინისტროში წარდგენის გზით განახორციელებენ.

პრეზენტაციის შემდეგ, დავით მელუამ გახსნილად გამოაცხადა სხდომის ინტერაქტიული ნაწილი და მონაწილეებს შეხვედრის ოქმის წარმოების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს უნდა წარედგინოს და მასში მოცემული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდეს ასოციაციის მოსაზრება დეცენტრაილიზაციის სტრატეგიასთან მიმართებაში. ოქმის წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეხვედრის ფორმატი განისაზღვრა შემდეგნაირად: უშუალოდ პრეზენტაციასთან დაკავშირებით კითხვა-პასუხის რეჟიმი და ღია დისკუსია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის თაობაზე

კითხვა-პასუხის ნაწილი (ფასილიტატორი დავით მელუა)

ავთანდილ უგრეხელიძე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი - განაცხადა, ტყის ფონდისა და ბუნებრივი რესურსების გადაცემის საკითხები, რაჭის რეგიონისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შინაარსისაა. მანვე სკოლების რეაბილიტაციისა და ბავშვების ტრანსპორტირების საკითხებს გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ დეცენტრალიზაციის ჭრილში, აწ უკვე დელეგირებული ეს მიმართულებები უფრო ვალდებულებებად შეიძლება განვიხილოთ, რომლებიც რეალურად ვერაფერს შესძენს მუნიციპალიტეტს. მისივე თქმით, ასევე უმნიშვნელოვანესია ქონების გადაცემის საკითხი, ვინაიდან აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტმა შეძლოს მის ტერიტორიაზე არსებული ქონების განკარგვა.

ზაურ ცვარიანი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლი-, ლიცენზიების გაცემის უფლებამოსილების მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა მნიშვნელოვნად გააძილიერებს ადგილობრივ მოსაკრებელს. თუმცა მისივე თქმით, ბუნებრივი რესურსების საკითხი რეგიონისთვის უფრო მნიშვნელოვანია. „ვერც ცაგერში, ვერც ლენტეხში და ვერც სხვაგან, ვერ მივაღწიეთ იმას, რომ გვქოდეს კარიერი. საქმე ისაა, რომ ასეთი არც კერძო სქტორშია, რაც თავის თავად, სირთულეებს გვიქმნის“-განაცხადა მან.

-ზვიად მხეიძე ამბროლაურის მერი - თქმით, მუნიციპალიტეტისთვის ქონების გადაცემის საკითხი ერთ-ერთი რიგით პირველი პრიორიტეტია. თუმცა ამავდროულად, როგორც მანვე აღნიშნა, სკოლების რეაბილიტაციისა და ბავშვთა ტრანსპორტირების საკითხები მუნიციპალიტეტისთვის უფრო მეტად ვალდებულებითი ხასიათისაა. მხეიძის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ახალი დაფინანსების პრინციპი მისაღებია მათთვის, ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი, კერძოდ „ასაკი 0-დან 6 წლამდე“ ან „6-დან 18 წლამდე“ გადასახედი და გასათვალისწინებელია ამ კონკრეტული რეგიონის შემთხვევაში. მისი თქმით, რეგიონის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ რაჭაში ჭარბი დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესებია, ფიზიკურადაა მოსახლეობა ნაკლები და თუ არ შეიქმნა

შესაბამისი პირობები მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, მუნიციპალიტეტი და მთლიანად რეგიონი, ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდება. მანვე სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისასალმებელია ამ პროგრამის კვლავ ამოქმედება. თუმცა, ისევ ზემოთ ნახსენები პრობლემის გამო (მიგრაცია), აქაც შეიძლება სირთულეები შეიქმნას. „მოგეხსენებათ, რომ თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, სოფლის საერთო კრება ითვალისწინებს რეგისტრირებული მოსახლეობის 20 %-ის მონაწილეობას. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება კრება უფლებამოსილად. მაგრამ წარმოიდგინეთ ისეთი სოფლები, სადაც ზამთარში საერთოდ არაა მოსახლოება და ამ პირობებში გვიწევს საერთო კრების ჩატარება. ანუ, რეგისტირებულია პირობითად ორმოცდაათი და რეალურად ცხოვრობს ორი ადამიანი. არადა, დამერწუმენთ, რომ სწორედ მათთვისაა გარკვეული სერვისების მიწოდება უფრო მნიშვნელოვანი, ვინც ზამთარში არ ტოვებს სოფელს და ცხოვრობს აქ. დარწმუნებული ვარ, ყველა მთიან რეგიონშია მსგავსი

ღია დისკუსია (მოდერატორი დავით მელუა)

ნანა სოხაძე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი - ტყის ფონდთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრა. „იმის გამო, რომ ტყის ფონდში ძალიან დიდი ფართობები დარეგისტრირდა, მოსახლეობა ვერ ახერხებს საკუთარი ტერიტორიის დარეგისტრირებას საჯარო რეესტრში. გარემოს დაცვის სამინისტროს პასუხი ცალსახაა. კერძოდ, მათი თქმით, სანამ არ მოხდება ხელახალი ინვენტარიზაცია, მანამ ვერ მოხერხდება ტყის ფონდიდან ტერიტორიების ამორიცხვა, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობამ შეიძლება სიცოცხლეში ვერც კი მოახერხოს საკუთარი კარ-მიდამოს დარეგისტრირება. მაგალითად, ღადიშის თემის სოფელი ტბეთის ერთ-ერთი მოსახლის ეზოში ხმოლოდ კაკლის და ვაშლის ხეებია და მიუხედავად ამისა, იგი ვერ ირეგისტრირებს საკუთარ ტერიტორიას იმიტომ, რომ ეს ფართობი თავის დროზე ტყის ფონდში მოხვდა. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ძალიან ბევრია. მეტიც, საკუთარ ეზოში ხე რომ მოჭრას გლეხმა, დანაშაულად ითვლება და მას აჯარიმებენ“-განმარტა ნანა სოხაძემ.

ტყის ფონდთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებზე **მზია გიორგობიანის** განმარტებით, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ტყის ფონდიდან ტერიტორიების ამორიცხვა ხდება.

კახა გურგენიძე - სოფლის პროექტებთან დაკავშირებით აღნიშნა, ამ პროექტებში სოფლის მოსახლეობის რაოდენობა 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით ითვლება, რის შემდეგაც ქვეყანაში მიღებულია მთის კანონი. მისი განცხადებით, აღნიშნული კანონის თანახმად, რომლის აღწერის მიხედვითაც დაცარიელებულ სოფლებში არც ერთი მოსახლე არ არის, ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანებმა რეგისტრაცია კი გაიარეს თავის დროზე, მაგრამ შემდეგ დატოვეს სოფელი. „გვაქვს შეუსაბამობა, იმიტომ რომ სოფლის პროექტებში თავისთავად ვერ ერთვება ისეთი სოფლები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრე. ამიტომ, მიმაჩნია, რომ განსასაზღვრი კრიტერიუმი არა აღწერის შედეგების, არამედ რეგისტრაციის მიხედვით უნდა დადგინდეს“-აღნიშნა მან.

ბადრი ლიპარტელიანი ლენტეხის მერის - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, დარეგისტრირებულია 80 ადამიანი, თუმცა ამ დროისთვის, ეს რიცხვი განულებულია, რაც მისივე განმარტებით,

გაურკვევლობას არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებსა და მოსახლეობაში, არამედ თავად პროგრამაშიც იწვევს. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, მისივე თქმით, ბუნებრივი რესურსების თემაა: „როდესაც ვსაუბრობთ დეცენტრალიზაციაზე, უმჯობესი იქნება თუ იმაზეც ვიფიქრებთ, რომ გლეხს ჰქონდეს ერთი ტომარა ქვა-ღორღის არაკომერციული დანიშნულებით სარგებლობის უფლება. ასევე მნიშვნელოვანია ამ საკითხის მეორე მხარეც: კერძოდ, თუ გლეხს სჭირდება მაგალითად კიბის გამაგრებისთვის ერთი ტომარა ქვა-ღორღი, გარდა იმისა, რომ მას არ აქვს უფლება იქ მოიპოვოს ეს მასალა, სადაც ცხოვრობს, მიდის სხვა მუნიციპალიტეტში, უთანხმდება კარიერის წარმომადგენლობას, იხდის ფულს და ამით ჩვენს მუნიციპალიტეტს არაფერი სარგებელი არ აქვს. ასევე, ნიშანდობლია გარემოს დაცვის ინსპექციის დამოკიდებულებაც: მაგალითად უახლოეს წარსულში, ჩვენს მუნიციპალიტეტში დიდი ხანძარი გადავიტანეთ, რის გამოც წყლის დასაგუბებლად დაგვჭირდა თხრილის გაკეთება, რომ შვეულმფრენების მეშვეობით ჩაგვექრო ცეცხლის კერა. სამწუხაროდ გარემოს დაცვის ინსპექციამ ამაზეც დაგვაჯარიმა“-განაცხადა ლენტეხის მერმა.

ზვიად მხეიძე - აუცილებელია გლეხს ჰქონდეს არაკომერციული, არამედ პირადი სარგებლობის მიზნით ბუნებრივი რესურსით სარგებლობის უფლება. მანვე აღნიშნულ თემასთან მიმართებაში, კონკრეტული მაგალითი დაასახელა და ხის მასალის მოპოვებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე ისაუბრა. კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ რეალურად, ხის მასალის ლიცენზირებული მომპოვებელი რეგიონის მასშტაბით მხოლოდ ლენტეხშია, საჭიროების შემთხვევაში, გლეხს პირობითად, ამბროლაურიდან ან ონიდან, ხე-ტყის მასალის დასამზადებლად ლენტეხში უწევს წასვლა, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება. მისი განცხადებით, აღნიშნული საკითხი უფრო მეტად პრობლემური სოციალურად შეჭირვებული ბენეფიციარებისთვისაა და მისივე თქმით, სწორედ ამიტომაა საჭირო ასეთი შემთხვევების მიმართ ინდივიდუალური მიდგომა და გათვალისწინება.

ნანა სოხაძის - ამბროლაურის მუნიციპალიტეტი ერთად ერთი მუნიციპალიტეტია ბორჯომის გარდა, სადაც ხდება ვერცხლისფერი ნაძვის გირჩის მოპოვება და გატანა ევროპაში. მისივე განცხადებით, ბიუჯეტში აქედან ერთად-ერთი შემოსავალი მოსაკრებელია და 2010 წლამდე ეს საკითხი საგადასახადო კოდექსით იყო დარეგულირებული. „დღეს ამ მხრივ გაურკვეველი სიტუაციაა. კერძოდ, ჩვენ ვერაფრით ვადგენთ, თუ რომელ ლიცენზიანტს რამდენი ტონა გირჩი გააქვს მუნიციპალიტეტიდან. ამის შედეგად კი, ვერ ვარეგულირებთ და შესაბამისად, ვკარგავთ ადგილობრივ შემოსავალს. ადრე არსებობდა ინსტიტუტი, რომელიც განსაზღვრავდა ლიცენზიანტების მიერ საკუთარი ლიცენზიის ფარგლებში გასატანი გირჩის ოდენობას, რაც გვაძლევდა საშუალებას, რომ მეტნაკლებად მაინც განგვესაზღვრა ეს საკითხი. ამიტომ, კარგი იქნება, თუ ამ საკითხის კონტროლის მექანიზმებზე ვიფიქრებთ“-აღნიშნა მან. ნანა სოხაძე ასევე, პეტიეციების საკითხსაც შეეხო და განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე ორი მიმართულებითაა სამსჯელო და აღნიშნული რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება. „პირადად მე და ის არასათავრობო ორგანიზაცია, რომელსაც წარმოვადგენ, უშუალოდ ვიყავით ჩართულები მოსახლეობის რეგისტრაციის პროცესში პარლამენტის ვებ-პორტალზე. პირველი პრობლემა მდგომარეს იმაში, რომ დასაწყისშივე ვიცოდით, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შეუძლებელი იყო 5000 ხელმოწერის

შეგროვება. მეორე პრობლემა კი, ინტერნეტიზაციის საკითხს უკავშირდება. როგორც მოგეხსენებთ ჩვენთან ინეტრნეტის პრობლემაა. ამას გარდა, მაგალითად ონში როდესაც რაღაც საკითხის მომზადება დაიწყეს, უმოკლეს ვადაში, კერძოდ კი, 10 დღეში იყო შესაგროვებელი ხმები, რაც დამეთანხმებით, ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო, საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენი რეგიონისთვის აღნიშნული საკითხის გადაჭრდა ყველა ამ მიმართულების გათვალისწინებით, მათ შორის %-ის ხელახალი განსაზღვრით, ერთობ მნიშვნელოვანია"-აღნიშნა მან.

ვერცხლისფერი ნაძვის გირჩის ლიცენზიის საკითხთან დაკავშირებით, მოსაზრება **ზვიად მხეიძემაც** გამოთქვა და აღნიშნა, რომ ლიცენზიების დარეგულირების მიზნით, კარგი იქნება, თუ ლიცენზიანტის მოთხოვნა მაინც დადგინდება ან დაკორექტირდება ყოველწლიურად, რათა შემდგომ აღარც მუნიციპალიტეტს გაუჭირდება იმდენად აღნიშნული საკითხის კონტროლი.

დავით მელუას აზრით, კონტროლის მექანიზმის ერთად-ერთი საშუალება იქნება სალიცენზიო მოცულობის დაბეგვრა. მისივე თქმით, თუ ბიზნესი იცავს თავის თავს და ცდილობს რომ ქონდეს მაქსიმალურად მოქნილი რეჟიმი, მუნიციპალიტეტმაც არ უნდა იზარალოს, რისთვისაც საჭიროა შესწავლილ იქნას ბაზარი და განისაზღვროს მოცულობა. ხოლო მოქნილობა კი, მისი განცხადებით, გამოიხატება იმაში, რომ ლიცენზიის გამცემმა ყოველწლიურად დააკორექტიროს ეს მოცულობა.

ნინო სილაგაძე ადგილობრივი ბიზნესი - დღეის მდგომარეობით, ადგილობრივ მეწარმეებს უამრავი პრობლემის გადალახვა უწევთ. კერძოდ, მუნიციპალიტეტში ბუნებრივი აირის პრობლემაა, საჭიროა მეტი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება და სხვა, რადგან მისივე განცხადებით, ზემოაღნიშნული პირდაპირპროპორციულია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისა. „არც ის მახსოვს, რომ ოდესმე მთავრობასთან ასე პირისპირ დავმჯდარიყავით და გვესაუბრა, რისთვისაც მადლობელი ვარ. მაგრამ, არაა ეს საკმარისი. თუ გვინდა, რომ მუნიციპალიტეტი განვითარდეს, ბიზნესი აუცილებლად უნდა გავაძლიეროთ"-განაცხადა მოქალაქემ.

ზაურ ცვარიანმა - წყლის საკითხებზეც გაამახვილა ყურადღება: „სადაც დავაყენეთ ეს საკითხი, ჯერ-ჯერობით უარს ვიღებთ. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ჩვენთვის სასმელი წყალია და ეს მაშინ, როდესაც წყალუხვი მხარე ვართ. ჩემი ინფორმაციით, მზადაა ქულბაქის პროექტი, თუმცა აგერ უკვე 2 წელია, ვერა და ვერ დაიძრა ეს საკითხი. შარშან გვითხრეს, რომ აღნიშნულმა პროექტმა ევროსტანდარტებს ვერ უპასუხა და ხელახალი პროექტირება უნდა მომხდარიყო. თუმცა, როგორც ჩანს, არც წელს და არც 2020 წლისთვის არ იგეგმება ამ პროექტის განხორციელება, რომელიც ცაგერს და კიდევ 26 სოფელს მოამარაგებს სასმელი წყლით". მისივე თქმით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სასმელი წყლის ვარგისიანობასთან დაკავშირებით, თითქმის ყველა სოფელში ჩაატარა კვლევა და სამწუხაროდ, სინჯებმა არც ერთ სოფელში არ აჩვენა დადებითი შედეგი. „მუნიციპაიტეტს აქვს რეკომენდაცია, რომ განახორციელოს წყლის ფილტრაციის სამუშაოები, მაგრამ ადგილობრივი ძალებით ამის განხორციელება ფიზიკურად შეუძლებელია: მოგეხსენებთ, რიგ შემთხვევებში წყლის სათავეები არის მაღლა მთებში, სადაც არა თუ ტექნიკური საუშაოების ჩატარება, არამედ ფიზიკურად მისვლაც კი ურთულესია ჩვენთვის"-განმარტა ცვარიანმა.

-**გიორგი გაზდელიანი** ლენტეხის საკრებულოს თავმჯდომარე - ლენტეხი-მესტიის დამაკავშირებელი გვირაბის პროექტის საკითხი წამოჭრა და აღნიშნა,

რომ თუ ეს გვირაბი ისე გაკეთდება, როგორც ეს მუნიციპალიტეტმა მოსახლეობის მაღალი ჩართულობით შესთავაზა მთავრობას, ლენტეხის მუნიციპალიტეტი ზამთრისა და ზაფხულის კურორტად შეიძლება გადაიქცეს, რაც ძალიან შეუწყობს ხელს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. მისი თქმით, ინვესტორის მხრიდან შემოთავაზებული ვარიანტი კი, რომლის თანხამადაც, გვირაბმა მხოლოდ ლენტეხზე, ხეობის გვერდის ავლით უნდა გაიაროს, არაფრის მომცემია. მოსახლეობამ და მუნიციპალიტეტმა მთავრობას შესთავაზა სხვა მოდელი, რომლის მიხედვითაც, გვირაბი ლენტეხის სოფლებს გაივლის და დააკმაყოფილებს 700 კომლის მოთხოვნებს-მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა, განვითარდება ტურიზმი, გაძლიერდება ადგილობრივი ბიუჯეტი და ა.შ.

ნიკოლოზ როსებაშვილის განმარტებით, ქონების საკითხებზე ჯგუფებში კვლავაც აქტიური მუშაობა მიმდინარეობს, რაც თავისი არსით, ერთობ კომპლექსურ პროცესს წარმოადგენს. მისი განცხადებით, აღნიშნულ სამუშაოებში, რომელთა ფარგლებშიც დაგეგმილია ქონების საკითხებზე მომუშავე ცალკე ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობის მიღება სურვილისამებრ მუნიციპაიტეტების წარმომადგენლებსაც შეეძლებათ, ჩართულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ქონების მართვის სააგენტო. როგორც როსებაშვილმა აღნიშნა, მზაობა ქონების საკითხების სტრატეგიაში ასახვაზე ნამდვილად არსებობს და მიმდინარე პერიოდში აღნიშნული საკითხის დეტალებზე, კერძოდ ვადებსა და ფორმებზე მიმდინარეობს მსჯელობა. „გვაინტერესებს მიწების ინვენტარიზაციის საკითხი. კერძოდ კი, რა ნაწილია აღწერილი ქონების მართვის სააგენტოს მიერ და როდესაც ეს სურათი გვექნება, ჩვენ უკვე შევძლებთ კონკრეტული აქტივობების განსაზღვრას“-განაცხადა როსებაშვილმა.

მზია გიორგობიანმა შეხვედრაზე გაჟღერებულ ტყის ფონდის საკითხზეც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკვე შეიმუშავა „ტყის კოდექსი“, რომლის ინიცირებაც პარლამენტში ან ეხლა მიმდინარეობს ან ძალიან მალე მოხდება, რაც არსებითად შეცვლის მდგომარეობას. მანვე სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ვინაიდან, გარკვეულ მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის რიცხოვნობასთან და მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემებია, უნდა მოხდეს აღნიშნული საკითხის გადახედვა: „უნდა შევისწავლოთ ინდივიდუალურ შემთხვევები და აუცილებლად უნდა ვიფიქროთ გამოსავალზე. ამისთვის საჭირო იქნება თქვენი ჩართულობა- სწორედ თქვენ უნდა მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რათა შევძლოთ და განვსაზღვროთ, თუ რა ფორმით ან სახით ავსახოთ ეს გამონაკლისები წესში“-განმარტა მან.

მზია გიორგობიანის განცხადებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აქტიურად მუშაობს გარემოს დაცვის სამინისტროსთან, რათა შეხვედრაზე გაჟღერებული კარიერებისა და ინერტული მასალების არაკომერციული მიზნით მოპოვების საკითხები გადაიჭრას. მანვე შეფასების ასაკობრივი კრიტერიუმის საკითხზეც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ვერ მოხერხდება აღნიშნული კრიტერიუმის აწევა, იგი მთის სტრატეგიიდან გამომდინარე დაკომპენსირდება. მინისტრის მოადგილემ ამბროლაურის რაიონში მოპოვებულ ვერცხლისფერი გირჩის ლიცენზიის საკითხსაც გაუსვა

ხაზი და აღნიშნა, რომ ამ საკითხით აუცილებლად დაინტერესდება. რაც შეეხება პეტიციის საკითხს, მზია გიორგობიანის განცხადებით, პრეზენტაციის თანახმად, აღნიშნულ მიმართულებას ელექტრონული სისტემების დანერგვა შეუწყობს ხელს და ასევე პროგრამა-„იდეა მერს“, რაც გულისხმობს იმას, რომ მუნიციპალიტეტებში დაიდგმება სპეციალური ყუთები, რომელთა მეშვეობითაც, მოსახლეობას საშუალება ექნება მერს საკუთარი იდეები მიაწოდოს.
მინისტრის მოადგილემ, შეხვედრის დასასრულს, დასახლების საერთო კრებაზეც გაამახვილა ყურადღება: „ჩვენ გვესმის რომ % შეიძლება მართლაც მაღალია, მაგრამ როდესაც ძალიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილელებს ვიღებთ, იქ ხმების რაოდენობა უნდა იყოს მთავარი და ორი ან სამი ადამიანის ხმა არ უნდა წყვეტდეს ასეთი სერიოზული მნიშვნელობის საკითხებს“-განმარტა მან. „დარეგისტრირების საკითხს რაც ეხება, მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ჩვენ დავიწყეთ ინტერნეტიზაციის პროგრამა მაღალმთიანი რეგიონებისთვის. აღმოსავლეთ საქართველო გვაქვს სრულად ინვენტარიზებული და მიმდინარე პერიოდში ვმუშაობთ დასალეთ საქართველოში. აქვე გამოვეხმაურები ცაგერის მუნიციპალიტეტის წარმომადგნელებს ქულბაქის პროექტთან დაკავშირებით და აღვნიშნავ, რომ ეს პროექტი ნამდვილად იქნა დაწუნებული ევროკავშირის სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო და წელს ხელახლა უნდა გადაპროექტირდეს“. მანვე, ლენტეხის 7 კმ. სიგრძის გვირაბთან დაკავშირებითაც გააკეთა განმარტება და შეხვედრის მონაწილეებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. მისი განცხადებით, გვირაბის პროექტზე სქართველოს მთავრობის მხრიდან მხოლოდ დავალება იყო გაცემული, რაზეც ხორვატიულმა მხარემ საკუტარი პროექტი წარმოადგინა. მისივე თქმით, აღნიშნული პროექტი ასევე დაწუნებულ იქნა და შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, არაა გადაწყვეტილი გვირაბის არც ერთი მიმართულება. მიმდინარე პერიოდში კი, აღნიშნული პროექტს საგზაო დეპარტამენტი განიხილავს.

შეჯამება

დავით მელუა - მინდა გითხრათ რომ ამ შეხვედრებისგან მიღებული მოსაზრებებზე დაყრდნობით ასოციაცია მოამზადებს თავის მოსაზრებას და რეკომენდაცოებს სტრატეგიის დოკუმენტზე. მნიშვნელოვანია რომ გავმიჯნოთ საკითხები - რაზეც ყველა შეთანხმებული ვართ რომ მოსაგვარებელია ეს უნდა გაიწეროს თუ როდის მოგვარდება. მაგრამ არის საკითხები რომელზედაც ჯერ კიდევ არ არის თანხმობა და სტრატეგიამ ეს საკიტხები უნდა აღიარეს როგორც მსჯელობის საგანი და დათქვას ვადა თუ როდის ქნება მონახული მისი გადაჭრის გზა. ჩვენ ვიცით რომ სტრატეგია არის პოლიტიკის საგანი, პოლიტიკა კიდევ შესაძლებლის ხელოვნებაა, ამიტომ ჩვენ არ უნდა ველოდეთ იდიალური დიკუმენტის შექმნას, ამით დროს დავკარგავთ და ვერასდროს დავამტკიცებთ ამ დოკუმენტს, ჩვენ უნდა მივიღოთ დოკუმენტი რომელიც მაქსიმალურად შესაძლებელ გაუმჯობესებას მოგცემს და მორგებული სქნება რეალურ საჭიროებებს. შესაბამისად, ასოციაცია გაგრძელებს სანინისტროსთან თანამშრომლობას სტრატეგიის ბოლო ვარიანტზე და ჩვენ მომავალშიც გავმართავთ კონსულტეციებს სტრაგეიის საბოლოო ვარიანტზე.

მზია გიორგობიანი - ჩვენ ამ შეხვედრებით დავიწყეთ დეცენტრალზიაციის სტარტეგის შექმნის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც არის

მუნიციპალიტეტთან კოსნულტაცია. ეს არ იქნება ბოლო შეხვედრა და ეს კონსულტაცია მომავალშიც გაგრძელდება. ასვე ველით წერილობით შენიშვნებს და მოწაწიელეობას თემატური ჯგფების ფორმატში. მადლობა მინდა გადაუხადო ასოციაციას და გაეროს განვითრების პროგრამას ამ შეხვედრების ორგანიზებისთვის. მადლობა თქვენ მობრძანებისთვის და გემშვიდობებით აქტიური თანამშრომლობის იმედით.

მცხეთა-მთიანეთის მხარის მუნიციპალიტეტებთან

18 იანვარი 2019

ქ. მცხეთა

საკონსულტაციო შეხვედრას, რომელიც მცხეთის მუნიციპალიტეტში გაიმართა, ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოების თავმჯდომარეები, საკრებულოების წევრები, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი-დავით მელუა, მისი მოადგილე-ნათია ღვინაშვილი, ამავე ორგანიზაციის ექსპერტი-კახა გურგენიძე, ასევე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე-მზია გიორგობიანი, ამავე უწყების ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი-ნიკოლოზ როსებაშვილი და მხარის სახელმწიფო რწუმენბული. საკონსულტაციო შეხვედრას, რომელიც ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით საჯარო ფორმატში გაიმართა, ასევე, ესწრებოდნენ ირაკლი მელაშვილი და კოკა კიღურაძე. აღსანიშნავია ისიც, რომ შეხვედრა ღია იყო როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური მედიისთვის. შეხვედრა დავით მელუამ მისასალმებელი სიტყვით გახსნა და აღნიშნა, რომ შეხვედრა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო, რის შემდეგაც სიტყვა გადასცა ქ-ნი მზია გიორგობიანს, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს აქტიური ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ, **ნიკოლოზ როსებაშვილმა** დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესზე, ამ სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებზე, ასევე მისი განხორცილების გზებზე და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებზე პრეზენტაცია წარმოადგინა. მანვე, მონაწილეებს მოუწოდა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, როგორც შეხევდრის მსვლეობისას, ისე წერილობით, რასაც ისინი ეროვნული ასოციაიციის დახმარებით ან პირდაპირ, სამინისტროში წარდგენის გზით განახორციელებენ.

პრეზენტაციის შემდეგ, დავით მელუამ გახსნილად გამოაცხადა სხდომის ინტერაქტიული ნაწილი და მონაწილეებს შეხვედრის ოქმის წარმოების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს უნდა წარედგინოს და მასში მოცემული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდეს ასოციაციის მოსაზრება დეცენტრაილიზაციის სტრატეგიასთან მიმართებაში. ოქმის

წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეხვედრის ფორმატი განისაზღვრა შემდეგნაირად: უშუალოდ პრეზენტაციასთან დაკავშირებით კითხვა-პასუხის რეჟიმი და ღია დისკუსია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის თაობაზე

კითხვა-პასუხის ნაწილი (ფასილიტატორი დავით მელუა)

გიორგი წოწკოლაური თიანეთის საკ.თავმ. - მთლიანი შიდა პროდუქტის 7% მიღწევისას როგორი იქნება დაახლოებით ბალანსი ქალაქსა და მუნიციპალიტეტებს შორის?

დავით მგელიაშვილი თიანეთის საკ.კომისიის თავმჯდომარე -მოგეხსენებათ ყველა სიახლეს თან ახლავს შესაბამისი კვალიფიკაციის არ ქონა, მოხდება თუ არა თანამდებობის პირების და სხვა მოხელლეების დატრენინგება?

ნიკა როსებაშვილი - რაც შეეხება 7%-ს სტრატეგიული მიზანი ის გახლავთ რომ კიდევ ერთხელ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მიმართება მთლიან შიდა პროდუქტთან იქნება 7%-ი. დღეს იმის განსაზღვრა რომ 7%-ტში თბილისის წილი რამდენი იქნება ჯერჯერობით შეუძლებელია ამის თქმა მაგრამ როგორც გითხარით წარმოდგენილი მოდელის შესაბამისად რაც შეიძლება 2021 წლამდე განხორციელდეს საშემოსავლო გადასახადთან მიმართებაში მიზანი არის რომ არსებულ ახალ 2019 წლის ამოქმედებულ მოდელშიც და შემდგომშიც რომ თბილისის წილი ეტაპობრივად შევამციროთ. დამეთანხმებით რომ თბილის პირველივე 2019 წელს 34%-ზე ვერ ჩამოვიყვანთ რადგან რამოდენიმე მილიონის დაკლება გამოვიდოდა შესაბამისად ჩვენი პოლიტიკა გათანაბრების პოლიტიკა უნდა იყოს შენარჩუნებული ის რომ რათქმაუნდა თბილისთან მიმართებაში სხვა მუნიციპალიტეტების მდომარეობა შენარჩუნდეს და წავიდეს ტენდენცია გათანაბრებისკენ. აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ტრენინგკომპონენტი მათ შორის ეს ტრენინგკომპონენტები ვფიქრობთ რომ უნდა იყოს უშვალოდ დღეს სამინისტროს დონეზე ვინც ანხორციელებენ ამ უფლებამოსილებებს და პრაქტიკული ტიპის ცოდნა გააჩნიათ ამ უფლებამოსილებების ირგვლივ ის ხალხი უნდა იყოს პირველ რიგში ჩართული. ზოგადად ტრენინგებს რაც შეეხევა აქვე ვიტყვი რომ მთავრობამ გასული წლის მაისის თვეში მიიღო დადგენილება რომელიც მოხელის სწავლებასთან დაკავშირებით მიიღო ფორმები როგორ უნდა იყოს მიწოდებული პროვაიდერების შერჩევა და დონეების ტრენინგები, ასე რომ ამ ნაწილში საჯარო სამსახურის ბიუროსთან ერთადაც ვმუშაობთ რომ თქვენი ტრენინგის გათვალისწინებული ხარჯები მოექცეს შესაბამის ფარგლებში რომ სწორად დაგეგმოთ ტრენინგები რომელშიც ჩვენც ჩავერთვებთ აუცილებლად კოორდინაციის კუთხით.

შალვა კერესელიძე, სახელმწიფო რწმუნებული -ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებასთან დაკავშირებით და თქვენ ბრძანეთ განაწილება თანხის თუ როგორ ნაწილდება ფართობი, მოსახლეობა ბავშვები და ასე შემდეგ. მცხეთა-მთიანეთის რეგიონი ძირითადად მაღალმთიანი რეგიონია და მაგ პრინციპით რო შევხედოთ ჩვენ ფინანსების განაწილებას მოგიყვანთ მაგალითად თიანეთის მაგალითს რომელსაც არც ფართობი აქვს არც მოსახლეობა ყავს შესაბამისად არც ბავშვები ყავს და რეალურად იგივე მდგომარეობაშია დუშეთის რაიონიც მაგრამ დუშეთს გარკვეულ წილად გაუმართლა ტერიტორიამ აუწია მისცა შესაძლებლობა სხვა კრიტერიუმებსაც თუ შევხედავთ უფრო მეტიც უნდა მიეღო დაფინანსება, მაგრამ რეალურად

გამოდის ის რომ სადაც მეტი მოსახლეობაა სადაც მეტი დოვლათი იქმნება სადაც მეტად მუშაობს ეკონომიკა, სახელმწოფო დაფინანსება მიდის იქით მაგრამ სადაც მეტი დახმარებაა საჭირო მაგალითად თიანეთის რაიონი და დუშეთი რაიონი იქ ნაკლებად მიდის დაფინანსება და რამდენად იგეგმება მომავალში თუნდაც დეცენტრალიზაციის კუთხით რომ შევხედოთ რომ ეგ საკითხი გადახედილი იქნას.? უფლებამოსილებებთან დაკავშირებით მაინტერესებს რა უფლებამოსილებები უნდა გადმოვიდეს მუნიციპალიტეტებში სამინისტროების სხვადასხვა უწყებებიდან? მოსაკრებლებთან დაკავშირებით მაგალითად ყაზბეგის და გუდაურის მაგალითი მინდა მოვიყვანო სადაც დღესდღეობის მე ვფიქრობ რომ სამწუხაროდ ალბათ ელემენტარულად ამდენი სასტუმროა რომლის ღირებულებაც 100$-ზე დაბალი არ არის და მათ მთის კურორტების კომპანია ემსახურება საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანაში უფასოდ. რასაც მუნიციპალიტეტი უნდა აკეთებდეს მაგრამ ჯერჯერობით ესეა. ასევე პრობლემაა სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე თოვლის გაწმენდა. ალბათ დამეთანხმებით რომ მუნიციპალიტეტს რომ ქონდეს შესაძლებლობა რომ მოსაკრებელი დაუწესოს იმისთვის რომ თითონ გაუწიოს მომსახურეობა ამ პრობლემებზე, სასტუმროებმა რომ გადაიხადონ არ იქნება პრობლემა თოვლის გატანა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მაღალ დონეზე მითუმეტეს რომ არ ყავთ ტექნიკა.

ღია დისკუსია (მოდერატორი დავით მელუა)

ირაკლი მელაშვილი - უკვე რამდენიმე თვეა მიმდინარეობს მუშაობა ამ საკითხებზე. ძალიან ბევრი შენიშვნა რომელიც ექსპერტების მიერ იქნა გამოთქმული გათვალისწინებულია ნამდვილად მაგრამ არის ორი მთავარი თემა რომელზეც თქვენთან უნდა გავამახვილო ყურადღება რომელზეც თქვენგან დამჭირდება მოსაზრებები. ითქვა გამოთანაბრებაზე თბილისსა და რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი პრობლემაა. სისტემა რომელიც არის შემოთავაზებული დღგ-ს განაწილების სისტემა რა თქმა უნდა ჯობია იმას რაც იყო მუნიციპალიტეტებისათვის იმიტო რომ წინა სისტემით ყველამ ვიცით რომ მუნიციპალიტეტი თუ კარგად იმუშავებდა ის უბრალოდ ისჯებოდა იმიტო რო ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხები აკლდებოდა. ახლა სე არ ხდება მაგრამ რას ვიღებთ ხომ ჩვენ ვიღებთ იმას რომ მუნიციპალიტეტების წილის გაზრდა თბილისთან მიმართებაში ხდება არა მათი შემოსავლების ზრდის ხარჯზე არამედ ხდება თბილისის შემოსავლების გარკვეული ფინანსური მანიპულაციების შედეგად. ჩვენ კიდე ვფიქრობთ რომ დეცენტრალიზაციის სტრადეგიის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ერთთანაბრობა დაიწიოს მაგრამ დაიწიოს მუნიციპოალიტეტების შემოსავლების ზრდის გზით და არა თბილისის შემოსავლების შემცირების გზით და ამისი არსებობს უნივერსალური მეთოდი რომელიც მთელ მსოფლიოში როგორც ხდება ძირითადი საშემოსავლო გადასახადი და გათანაბრებითი ტრანფერი. რატო არ მომწონს ის რაც არის მიუხედავად იმისა რომ ეხლა რა მოდელზეც გადავედით დამატებითი ღირებულების გადასახადის მოდელზე, პირველ რიგში არ მიყვარს ექპერიმენტების ჩატარება ქვეყანაში ისეთი ექსპერიმენტების რომელიც მსოფლიოში არსად არ ჩატარებულა, ეს არის ნამდვილად უნიკალური სისტემა რომლის მსგავსიც არსად არ არსებობს. ჩეხეთის მაგალითს მოვიყვან იქ დღგ იქ არა მუნიციპალიტეტს არამედ რეგიონს რჩება და კიდე სხვა მექნიზმები არსებობს. ამიტომ ბოლომდე იმისი გარკვევა კიდევ რა შედეგებს მივიღებთ ძალიან რთულია.

ფინანსური დეცენტრალიზაციის ამოცანა არის მუნიციპალური ფინანსების წილი გაიზარდოს მთლიან საჯარო ფინანსებში. ამ მოდელით 2019 წელს 50 მილიონი მოგვაკლდა მაგრამ ამ მოდელის შესაბამისად ვინაიდან ეს მიბმული იქნება მუნიციპალური ფინანსები დღგ-ს 19%-ზე თუ თავად დღგ-ს წილი არ გაიზარდა მთლიან შიდა პროდუქტში მუნიციპალიტეტების წლიურს მთლიან შიდა პროდუქტის მიმართებაში უცვლელი დარჩება სანამ ეს სისტემა იმუშავებს თუ კი ჩვენ საშემოსავლოს 50% დავტოვებთ ადგილზე როგორ მოხდება გათანაბრება- გვექნება გათანაბრებითი ტრანსფერი. თბილისი მიიღებს თავის შემოსავლებს ოღონც ის ამოვარდება გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულიდან. თქვენ იცით რომ დღევანდელი გათანაბრებითი ტრანფერის ფორმულით 50% მიაქვს თბილისს და არა მარტო თბილისს. დაახლოებით 10-15 მუნიციპალიტეტი ეგრევე აღმოჩნდება თვითკმარი.

ქალბატონმა მზიამ ბრძანა რომ დღეს ყველა მუნიციპალიტეტი დოტაციაზეა, ყველა მუნინციპალიტეტია დოტაციაზეა იმიტომ რომ მათ შემოსავლები არ დაუტოვეთ 2008 წლიდან. თუ ჩვენ საშემოსავლოს გავყობთ ჩვენ დავინახავთ რომ 10-15 მუნიციპალიტეტი მინიმუმ ავტოტაციიდან ამოდის, მეტიც საშემოსავლოს გაყოფა და პლიუს ქონების გადაცემა ეს ორივე რაღაც ერთად იძლევა ორ რამეს. ერთი რომ მუნიციპალიტეტს უჩნდება მოტივაცია იმისა რომ მოიზიდოს უნვესტიციები. დღგ-ს ფორმულაში რაც არ მომწონს არის ის რომ დღგ-სთან მიმართებაში მუნიცპალიტეტს არანაირი კომპეტენცია გაანია

დავით მელუა - რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადს ვფიქრობ რომ რაც ირაკლიმ ჩამოაყალიბა სამსჯელო საკითხია მათ შორის ციფრებით, აქ საუბარი მარტო რეგისტრაციის ადგილზე არ კმარა, აქ საუბარი იმაზეა რომ შემოსავლების დონეც არის განსვავებული თბილისსა და სხვა რაიონებს შორის. ერთი დასაქმებულის ხელფასი თბილისში უდრის სამ დასაქმებულის ხელფასს ოზურგეთის რაიონში.

კოკა კიღურაძე - ძალიან კარგია რომ მოსაკრებლების დამატება მოხდება მაგრამ მნიშვნელოვანია არსებული მოსაკრებლების ადმინისტრირების გაუმჯობესება და ამასთან დაკავშირებითაც შეიძლება რამე ჩანაწერები გაჩნდეს თუნდაც იგივე დასუფთავების მოსაკრებელი იქნება თუ სხვა ტიპის მოსაკრებელი. ხშირად მუნიციპალიტეტებს ამის ადმინისტრირება უჭირთ, საჯარიმო სანქციების დაწესების უფლებამოსილება არ აქვთ ასევე აღსრულების მიმართულებით. ამიტომ ძლიერი ნაბიჯებია გადასდგმელი ამ მიმართულებით შეიძლება ამ სტრადეგიშიც რაღაც ჩანაწერები გაჩნდეს რომელიც ბიძგს მისცემს და საფუძველს შეუქმნის იმას რომ არსებული მოსაკრებლების ამოღება გაუმჯობესდეს. იგივე კომპეტენციებთან დაკავშირებით ტრანსპორტი რომელიც ემსახურება სოფლებიდან მინიციპალურ ცენტრებში მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურეობას ამ მიმართულების მუნიციპალიტეტებს აქვთ კომპეტენციები მაგრამ ვერ ხორციელდება. ირაკლიმ ახსენა წყალმომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებები რომელიც ქონებასთან არის მიბმული. აქ პრინციპში სწორად არის გაყოფილი კონცეფციაში საკითხები ანუ კომპეტენციები რომელიც უნდა დაემატოს ახალი კომპეტენციები და ძველი კომპეტენციები რომელიც არსებობს ორგანულ კანონში მაგრამ ვერ ხორციელდება ანუ ამ შემთხვევაში ეს გულისხმობს იმას რომ ამ საკითხების იდენტიფიცირება უნდა მოახდინოს სწორებ ამ კონცეფციამ და საუბარი მხოლოდ იმაზე რომ შევისწავლით, გამოვიკვლევთ ამ საკითხს, რაც გამოკვლეული და შესწავლილია ის მაინც რომ ამოვიდეს ამ კონცეფციაში და დავინახოთ რომ კონცეფცია რაღაც

კონკრეტული პრინციპებს ეყრდნობა და წყვეტს ამ საკითხს ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.
კიდევ ერთი ამბავი მოხელეს სწავლებასთან დაკავშირებით ნახსენები იყო რომ ტრენინგკომპონენტები იქნება შემოტანილი და ეს ტრენინგები განხორციელდება მაგრამ კონცეფციის დონის ჩანაწერი მაინც უნდა გაჩნდეს ჩემი აზრით რომელიც გულისხმობს იმას რომ რა სისტემას თავაზობს ცენტრალური ხელისუფლება ადგილობრივ თვითმართველობას მოხელეთა სწავლება გადამზადებისთვის რელურად ის 1%-ი რომელიც ჩადებულია თვითმართველობის კოდექსში და რომელიც უნდა მოხმარდეს მოხელეთა სწავლება გადამზადებას, ამ 1%-ის დახარჯვის მექანიზმი უნდა შესთავაზოს აუცილებლად, მესმის რომ კანონით დასარეგულირებელია, მთავრობის დადგენილებით დასარეგულირებელი თემაა მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თუ კონცეფცია კონცეფტუალურად გადაწყვეტს ამ საკითხს ამ კონცეფციაში.
შემდეგი იგივე მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით აქაც კონცეფციის დონეზე მაგალითად შესაძლებელია ჩემი აზრით რომ შეიძლება კონკრეტული ფორმა, მე არ ვითხოვ იმას რომ მაგალითად გაჩნდეს ისეთი ტიპის ჩანაწერები რომელიც გულისხმობს რაღაც დადგენილებაში რა ჩანაწერებიც უნდა იყოს და ამ ტიპის რეგულაციები უნდა გაჩნდეს, უბრალოდ ავიღოთ 1%-ი იქნება თუ 2%-ი იქნება კონკრეტული ჩანაწერი გაჩნდეს რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის რაღაც ნაწილი დაიგეგმება საზოგადოების თანამონაწილეობით. კარგია რომ აღდგა სოფლის დახმარების პროგრამა მაგრამ ეს მაინც ცენტრალური ხელისუფლების პროგრამაა. ანალოგიურ პრინციპებზე დაფუძვნებული თუ იარსებებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში კონკრეტული პროგრამა რომელიც საშვალებას მისცემს მოქალაქეებს რომ თვითონ დაგეგმონ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის რაღაც ნაწილი, მესმის რომ პირდაპირ წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმაა როცა საკრებულოს ვირჩევთ და საკრებულო გეგმავს მერე ბიუჯეტს, მაგრამ მოდი გავყოთ 5%-ი 95%-ის წინააღმდეგ და ვთქვათ რომ პირდაპირი დემოკრატიის ფორმების გამოყენებით დავგეგმავ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 5%-ს და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმის გამოყენებით დავგეგმავ 95%-ს ეს უკვე კონცეფციის დონის ჩანაწერია რომელიც კონცეფტუალურად საკითხთან მიდგომას აფიქსირებს და მერე მე ამას სამოქალაქო ბიუჯეტით გავაკეთებ, ადგილობრივ მნიშვნელობის სოფლის დახმარების პროგრამით გავაკეთებ თუ სხვა მიდგომით ეს უკვე გასაგებია რო სხვა დებულების და დადგენილების და სხვა ტიპის რეგულაციის საგანია.
და ქონებასთან დაკავშირებით ვგულისხმობ რომ ისეთი ჩანაწერები გაჩნდეს რომელიც მუნიციპალიტეტს საშვალებას მისცემს რომ მის ტერიტორიაზე არსებული ქონება სასოფლო სამეურნეო მიწები, არასასოფლო სამეურნეო მიწები და შენობა ნაგებობები რომელიც ხშირ შემთხვევაში სწორედ იმის გამო რომ ცენტრალური ხელისუფლების კონტროლ ქვეშ და მის საკუთრებაშია სწორედ ამის გამო მუნიციპალიტეტი მას ვერ უვლის და ელემენტარულად მოვლა პატრონობის საკითხია და ხშირად ამ ქონების ღირებულება იმდენად მცირდება, წლიდან წლამდე მცირდება ფაქტიურად სახელმწიფო თავის ქონებას კარგავს, სწორედ იმიტო რომ მისი პატრონი არის მისგან შორს. დიდი მადლობა. ის საკითხები რაც ჩამოვთვალე მერე მერების და საკრებულოს წარმომადგენლების მოსაზრებები მნიშვნელოვანი იქნება ამ საკითხებთან მიმართებაში.

დავით მელუა - მადლობთ ბატონო კოკა. მონაწილეობითი ბიუჯეტი ძალიან კარგი თემაა და ვფიქრობდი ეს დღეები ჩვენ სტრადეგიაში ჩაწერა შეგვიძლია? ეს ხო ექსკლუზიური უფლებამოსილებაა თვითმმართველობის ადგილობრივი ბიუჯეტის. დამტკიცება, განხილვა, პრიორიტეტების წარდგენა, და ამ შემთხვევაში რაიმე სამთავრობო დოკუმენტი და ვალდებულება გინდა თუ არა 5%-ი ეს წმინდა იურიდიული თვალსაზრისით რამდენად გამართლებულია საჭოჭმანო საკითხია.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი:- მოგეხსენებათ ჩვენ განსაკუთრებულ ვითარებაში გვიწევს მუშაობა, ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტის პრეზენტაცია ვიხილეთ, თუმცა ზოგიერთ საკითხებში გვეხება და უმეტეს წილად არ გვეხება ჩვენ დევნილ მუნიციპალიტეტებს მხედველობაში მაქვს შემოსავლების ნაწილი, ჩვენ არანაირი შემოსავალი არ გაგვაჩნია, ვართ პირდაპირ ცენტრალურ დაფინანსებაზე, ტრანსფერზე, და ბოლო 3-ი წლის განმავლობაში მაგალითისთვის ჩვენ ბიუჯეტი გვაქვს იგივე პარამეტრი რაც გვქონდა თუმცა წინა 3-ი წლის წინ მოხდა ბიუჯეტის ზრდა ჩვენი პარამეტრის მიუხედავად ამისა ჩვენ 5 დევნილი მუნიციპალიტეტი რომელიც ფუნქციონირებს სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა ტერიტორიებზე, არ ვიმყოფებით თანაბარ პირობებში. სულ ამაზე მაქვს საუბარი 5-ი წელია მაგრამ შედეგი ვერ დადგა. რა მაქვს მხედველობაში: ტრანსფერი რომელიც განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ფორმულით, თითოეულ დევნილ მუნიციპალიტეტზე არის თანაბარი მაგრამ ფუნქცია და უფლებამოსილება არის განსხვავებული, ჩვენ შემთხვევაში 3-ი დასახალებაა ჩვენი და ჩვენ მოსახლეობას ემატება კიდევ 718-ი ოჯახი (ლიახვის ხეობელები) ანუ წეროვანში, წილკანში მომსახურეობას არცერთი მუნიციპალიტეტი დევნილი თავის მომსახურეობას არ უწევს ჩვენს გარდა. ეს არის ბაგა-ბაღები, ეს არის სერვის-ცენტრი, რომელიც ანხორციელებს: წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემის, დასუფთავების, გარე განათბის და ასე შემდეგ პროგრამებს, ასევე სპორტ სკოლა, ახალგაზრდული ცენტრი, მუსიკალური სკოლა, და ასე შემდეგ. ის დევნლი ბავშვებიც იქ არიან 160-ი ბავშვია ლიახვის ხეობელი, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით ჩვენ ვკვებავთ, და დაახლოებით 160 000 ლარი გვეხარჯება ყოველ წლიურად ამ ბავშვებზე. უარს ხომ არ ვეტყვით სხვაგან მათ წასასვლელი არ აქვთ, ასევე საკანალიზაციო სისტემა ნებისმიერ დაზიანების შემთხვევაში ჩვენი სერვის-ცენტრი ემსახურება, მათ ყოველ წლიურად რჩებათ დაახლოებით 500 000 ლარი რომელსაც იყენებენ თავიანთი მოსახლეობის სოციალური საკითხების მოგვარებაზე. ეს შეეხება ჯანდაცვას, 200 ლარიან დახმარებას ერთჯერადს და ზოგიერთი 300 ლარიანსაც, და ყოველ წლიურად ორჯერადად ანხორციელებენ სურსათის შეძენას, პროდუქტის შეძენას, საკმაოდ ისეთი სოლიდური და ურიგებენ თავიანთ ხალხს რომლებიც ცხოვრობენ ჩვენ მოსახლეობასთან ერთად. ბუნებრივია ეს იწვევს ჩვენი მოსახლეობის პროტესტს ჩვენს მიმართ რომ თუ ის მუნიციპალიტეტი ურიგებს ჩვენ რატომ არ ვურიგებთ? სამართლიანი კითხვაა. და შემდეგ ეს აისახება ხოლმე სხვადასხვა შედეგებში და სამწუხაროა ეს ფაქტი.

შემდეგი საკითხი: იგივე მომსახურეობას დანარჩენ დევნილ დასახლებებს უწევს იმ 14000 დევნილს ვინც არის გორის ტერიტორიაზე განთავსებული. მცხეთა არა. მე პრეტენზია კი არ მაქვს მე მაინტერესებს ევალებათ თუ არა ამ სერვისების მიწოდება იმ მუნიციპალიტეტებს ვის მუნიციპალიტეტშიც არიან დევნილი მოსახლეობა, თუ ევალება გააკეთონ თუ მარტო კეთილ ნებაზეა

დამოკიდებული მაშინ რატო უნდა მოვითხოვოდ ჩვენ ამ ხალხისგანაც (არ ისმის) რომლებიც რეგისტრირებულები არიან და ამომრჩევლები არიან.
შემდეგი საკითხი რომელზე მინდა განსაკუთრებული ყურადღება გაკეთდეს. ორი წელია ჩვენ გავხსენით წილკნის დევნილთა დასახლებაში არაჩვეულებრივი ბაღი სადაც არის 72 ბავში,3-ი ჯგუფი, 15 თანამშრომელი, და პლიუს ამ ბავშვებს ჭირდებათ კვება და კომუნალური გადასახადები, არცერთი თეთრით ჩვენი ბიუჯეტი არ გაზრდილა და წელს ალბათ სექტემბრიდან ჩვენ უნდა გავხსნათ ფრეზენთში ახალი ბაგა-ბაღი და ჩვენ მოვითხოვეთ 386000-ი ლარი გვჭირდება ამ წელში დამატებით რომ ჩვენმა მუნიციპალიტეტმა იფუნქიონიროს და მოვემსახუროთ და გავწიოთ ის ხარჯები რაც აუცილებლად გასაკეთებელია. გუბერნატორმაც გააგზავნა შესაბამისად ფინანსთა სამინისტროში თხოვნა დასაბუთებული რა თქმა უნდა და არც კი განხილულა ეს საკითხი იმიტომ რომ უნდა დავეძახეთ ალბათ და ან ეთქვათ არ გჭირდებათ და რატო თხოულობთო ან თუ გჭირდებათ მოგცემთ. აი ამაშა საქმე და ერთხელ და სამუდამოდ ხო შეიძლება დალაგდეს და თანაბარ პირობებში ჩავდგეთ ჩვენს კოლეგა მუნიციპალიტეტებთან. მადლობთ...
ნიკა როსებაშვილი - ბევრი მოსაზრებები იყო, მოვინიშნე და რიგითობით. მივყვები მოსაკრებლებთან დაკავშირებით იყო საუბარი რაც ახსენეთ რომ მოსაკრებლებთან დაკავშირებით არა მარტო იმაზე გვაქვს საუბარი რომ შეიძლება ახალი მოსაკრებელი დავაწესოთ და ნათქვამი იყო რა მოსაკრებელი შეიძლება იქნას დამატებული, კი ბატონო ტურისტულ მოსაკრებელზე არის საუბარი ყველაზე აქტიურად და შეიძლება რომ განხილული იქნას მანამდე პრეზენტაციის დროს ვთქვი რო არსებულ მოსაკრებელტან დაკავშირებით ხომ არ არის ისეთი ტიპის პრობლემები და გამოწვევები რაც შეიძლება რო საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვდეს და ამაზეც მოგვაწოდეთ თქვენი იდეებითქო და კი ბატონო მნიშვნელოვანია რომ არსებულთან მიმართებაში რა შეიძლება გავაკეთოთ მოსაკრებლებთან დაკავშირებით განხილულ იქნას სტრადეგიაში და სამოქმედო გეგმაში. პარკირების საკითხი მოწესრიგდა კანონში და შეიძლება რომ დაარეგულირონ შესაბამისად სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა ცვლილება ის პრობლემა რაც იყო მეტნაკლებად მოწესრიგდა.
ასევე ასეთი ტიპის პრობლემებს განეკუთნება კოკამ ახსენა ტრანსპორტის საკითხი, ასევე რაც ზედაპირზეა და იდენტიფიკაციას აღარ საჭიროებს კი ბატონო ეს არის ტრანსპორტის საკითხის ცვლილება რომელიც კანონში ცვლილებას აღარ საჭიროებს, ეს არის სამართალდარღვევათა კოდექსში განსახილველი საკითხი რომელიც დაჯარიმებასთან დაკავშირებულ საკითხს გულისხმობს, გარევაჭრობასთნ მიმართებაში როდესაც გარევაჭრობა თქვენი თქვენით დარეგულირდება, როცა თქვენი უფლებამოსილება აღარ არის ვერ აჯარიმებთ ამის დარღვევის შემთხვევაში ამიტომ ესეთი საკითხები იყო ჰარმონიზაციის პროცესში თავმოყრილი მერე რა ბედიც ეწია ვიცით მაგრამ ჩვენ სანამ ამ განხილვებს დავიწყებდით დავიწყეთ ამ პროექტის არსებითად გადამუშავება და თავიდან წერა პრონციპში თითოეული ის კანონი გადამუშავდება და შესაბამისად ესეთი საკითხები იქნება გათვალისწინებული.
მზია გიორგობიანი - სამოქმედო გეგმაში როგორც ქმედება გაწერილი გვაქვს დელეგირების საკიტხი და შემდეგ გაზომვის ინდიკატორი გვექნება, რომ ვთქვათ მინიმუმ ამდენ მუნიციპალიტეტში დანერგილია თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ვფიქრობ, რომ ყველა მუნიციპალიტეტს უნდა ჰქონდეს ეს დანერგილი. ეს ჩემი

პირადი აზრი არ გახლავთ და სოფლის პროგრამის ერთ-ერთი მიზეზი და მიზანი სწორედ ამას წარმოადგენდა, რომ რეალურად დაიგეგმოს ის, რაც რეალურად სოფლისა და სოფელში მცხოვრები ადამიანის საჭიროებას ერგება. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ყველა მუნიციპალიტეტში უნდა იყოს დანერგილი, მაგრამ მისი ექსკლუზიური უფლებამოსილება უნდა იყოს, თუ რამდენს განსაზღვრავს თავის ბიუჯეტში 1% იქნება თუ 50 %. თუმცა არ მინდა რომ უფლებამოსილებაში რამეს შევეხოთ. დავუბრუნდები იმ თემას, რაზეც ნიკამ უკვე ისაუბრა, ანუ ჯარიმების ნაწილს და ზოგადად ჰარმონიზაციის ნაწილს. დავამატებდი, რომ ჩვენ ვფიქრობთ, საგაზაფხულო სესიისთვის გარკვეული პაკეტი უკვე მზად გვექნება იმისათვის რომ შევიდეთ პარლამენტში ცვლილებებთან დაკავშირებით, და ვფირობთ რომ სრულად შევძლებთ დღეს არსებული ხარვეზების აღმოფხვრას. ასევე ჯარიმების დაწესება და ყველა ის უფლებამოსილებები, რომლებიც ამ ეტაპზე თბილისს აქვს მეტნაკლებად. შეიძლება, რაღაც გარკვეული გამონაკლისი იყოს, რომელიც ამ ეტაპისთვის არ იქნება მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემული, თუმცა ყველა ის უფლებამოსილებები, ვალდებულებები და მოვალეობები, რომელიც თბილისს აქვს, უნდა ჰქონდეს ყველა მუნიციპალიტეტს. ამ შემთხვევაში ვთანხმდებით, რომ არ უნდა იყოს გამონაკლისი. გარდა ამისა, მინდა დავეთანხმო ბატონ ირაკლის გამოტაბარებასთან დაკავშირებით, ანუ თბილისს კი არ უნდა წავართვათ და სხვას კი არ უნდა დავუმატოთ, არამედ ადგილზე უნდა შევქმნათ დამატებითი შემოსავალი და მუნიციპალიტეტების შემოსავლის ზრდით უნდა მივაღწიოთ ამ გამოთანაბრებას და ამ 7%-ს. სამწუხაროდ ასე დეტალურად არ ვიცი დღგ-ს განაწილიების პრინციპთან დაკავშირებით. ფინანსთა სამინისტრო ამბობდა, რომ ეს არის ჩეხეთის მაგალითი და ასე სიღრმისეულად არ შევსულვარ ამ ნაწილში და ვერ გეტყვით. მოსაკრებელთან დაკავშირებით ვეთანხმები იმ მოსაზრებებს, რომ თუნდაც ის ტურიტული მოსაკრებელი უნდა იყოს ადგილებზე და უნდა ჰქონდეს მუნიციპალიტეტს იმის საშუალება, რომ დააწესოს ის მოსაკრებელი, რომელიც რეველანტურია მისი მუნიციპალიტეტისათვის , ამისთვის საჭიროა მოსაკრებლის შესახებ კანონში შესაბამისი ჩანაწერი გაჩნდეს. ამ ნაწილზე ვიმსჯელებთ და საკითხს სამუშაო ჯგუფში დავუბრუნდებით. სტრატეგია ამის შესაძლებლობას იძლევა და ამას ვეთანხმებით. განაწილების პრინციპთან დაკავშირებით, მინდა აღვნიშნო, რაც ბრძანა ბატონმა შალვამ, ეს ის ნაწილია, რომელიც არ არის გათვალისწინებული და თიანეთი ასეთ სიტუაციაშია, თუმცა ფინანსთა სამინისტროს პოზიცია იყო ამასთან დაკავშირებით, რომ ეს არის მოსახლეობის რაოდენობაზე ბმული იმ სერვისების მისაწოდებლად, რომელიც უნდა იყოს და უნდა დაიფაროს დამატებითი საშუალებებითა და დამატებითი პროგრამების შემოღებით. თუმცა ამ ნაწილს ამით არ ვასრულებთ, ეს არის პირველი ეტაპი, რომელზეც ფინანსთა სამინისტროც გვთანხმდება, რომ გადახედავს, თუმცა უნდა ვნახოთ შედეგი, ვნახოთ რეალურად რა მოგვცა. ამ ერთი წლის შედეგი მაინც უნდა გვქონდეს, რომ დაახლოებით. ბევრ კომპონენტთან დაკავშირებით გვქონდა საუბარი და ფინანსთა სამინისტროც გვთანხმდება, რომ ეს არ არის დასრულებული და ვაგრძელებთ ამაზე მუშაობას, ისევე, როგორც საშემოსავლოსთან მიმართებაში და დაბეგვრის პრინციპზე. თვითონ გადასახედი აქვთ ბაზები და მუშაობენ ამ ნაწილში და დაგვიბრუნდებიან. უფლებამოსილების რა სახეების გადაცემა უნდა მოხდეს, იმის პარალელურად რა უფლებამისლებებიც ეხლა აქვთ მათ. უფლებამოსილების სწორად

განხორციელებაშიც უნდა დავეხმაროთ და ის კაზუსები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ან არ არსებობდეს და სხვაგვარად ინტერპრეტაციას ვაკეთებდეთ, ამ ნაწილშიც უნდა ვისაუბროთ. ახალ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით, მათ შორის ვსაუბრობთ სხვადასხვა ლიცენზიების მიმართებაში და სხვადასხვა უწყებასთან ვმუშაობთ, თუ რა შეიძლება იყოს გადაცემული. მათ შორის სხვადასხვა შეხვედრების დროს რეგიონებში გამიკვეთა კარიერების არსებობა და ქვიშა - ღორღის ამოღების ლიცენზიებთან დაკავშირებული თემები, ამ ნაწილში სამუშაო ფორმატიდან გამომდინარე დაგიბრუნდებით.

რაც შეეხება ქონებას- ნამდვილად გეთანხმებით, რომ ქონების გარეშე დეცენტრალიზაცია, როგორც ასეთი ვერ წარმომიდგენია და ამაზე ვთანხმდებით ამ ნაწილში. ვმუშაობთ ეკონომიკის სამინისტროსთან და იმედი მაქვს, როგორც შეგვპირდნენ, ამ კვირაში მოგვაწვდიან ინფორმაციას, რომელიც სამუშაო ჯგუფის ფორმატში იქნა ჩვენს მიერ მოთხოვნილი და ამის შემდეგ დავსხდებით და ვისაუბრებთ. ამ ნაწილში ჩვენ გვაქვს შემოთავაზება, თუ სურვილი გექნებათ, ჩვენ შეგატყობინებთ როდის გავმართავთ შეხვედრას და შეგიძლიათ თქვენც დაესწროთ და ის მაგალითები რომლებიც გაქვთ, რომლებზეც პრობლემა შეგექმნათ , რომელიც გადმოსაცემი იყო და ამ ნაწილში სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო ქონების მართვის სააგენტომ, ამაზეც ერთად ვისაუბროთ ეკონომიკის სამინისტროს უშუალო მონაწილეობით. კიდევ ერთხელ განვმეორდები და ვიტყვი, რომ რეალურად ამ სტრატეგიის მიღებით არ ვასრულებთ პროცესს. ეს არის პირველი პროცესი და ძალიან ბევრი სამუშაო გვექნება იმ ქმედებების განსახორციელებლად, რომლებსაც გავწერთ, ასე რომ ნუ გვექნება იმის მოლოდინი, რომ სტრატეგიის მიღებით ყველაფრის ერთად გადმოცემა მოხდება, თუმცა, მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ძალიან პოზიტიურად ვარ განწყობილი და აუცილებლად უნდა გადავდგათ წინ ნაბიჯი, არ მაქვს მოლოდინი და თქვენც ნუ გექნებათ მოლოდინი, რომ რაიმე საკითხზე უკან გადავდგამთ ნაბიჯს, ეს ასე არ იქნება.

გათანაბრებითი პოლიტიკა რამდენად უნდა ჩაიწეროს ოფიციალურად კანონში, პროცენტი, როგორც ასეთი , ეს არ ვიცი და მოდით ვიმჯელოთ ამაზე . მთლიან შიდა პროდუქტთან დაკავშირებით სტრატეგიაში 7 % იქნება , თუმცა პროცენტულობასთან დაკავშირებით, როგორც ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნა, არ არის საშუალება, რომ ზუსტად ეს პროცენტი განსაზღვროს , თუმცა პრინციპი, როგორც ასეთი, სტრატეგიაში ჩაწერილია .

გიორგი კაპანაძე მცხეთის მერი - დამეთანხმება ყველა, რომ უფრო გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტების მდგომარეობა მათივე ტერიტორიებზე განხოცხორციელებული ინფრასტრუქტურული ღონიძიებებით და ბიზნესით . ქალბატონო მზია, ჩვენ მცხეთაში გვაქვს შენობა, რომელიც გადის უსახურ შენობებში. რამდენჯერმე უკვე მივწერეთ ეკონომიკის სამინისტროს მისი გადმოცემის შესახებ . გვინდა ამ შენობის დემონტაჟი და გვყავს კიდეც ინვესტორი, რომელიც დემონტაჟსაც გააკეთებს და მშენებლობასაც დაიწყებს. ეს ტერიტორია თავის დროზე ეკუთვნოდა დაახლოებით 5-6 მოსახლეს , რომლებსაც დაპირდნენ, რომ შენობა აშენდებოდა და იმ შენობაში მათ მიეცემოდათ ფართები, მაგრამ ეს შენობა დღესდღეობით არის ამორტიზირებული, ეკუთვნის ეკონომიკის სამინისტროს და დღეს ვერანაირ პასუხს ვერ ვცემთ ჩვენ ამ მოსახლეებს ამ შენობასთან დაკავშირებით.

ბატონი ნუგზარი საუბრობდა და სრულიად ვეთანხმები იმ ფაქტს, რომ დღესდღეობით ნამდვილად ბუნდოვანია რაღაც საკითხები დევნილებთან მიმართებაში. კიბატონო ჩვენ შეძლებისდაგვარად რაღაც ინფრასტრუქტურული პორქტების განხორციელებას ვგეგმავთ, მაგრამ ის რა უფლებამოვალეობაც ჩვენ უნდა გვქონდეს დაკისრებული, სასურველია უკეთესად იყოს განმარტებული. მაგალითად, სოფლის პროგრამაც შეიძლება ამ შემთხვევაში ვახსენოთ. იქიდან გამომდინარე, რომ დევნილთა დასახლება წეროვანში, წილკანში და სოფელ ფრეზეში სოფლის პროგრამით მიბმული იყო სოფელთან და დაფინანსება ეკუთვნოდათ, როგორც დევნილებს, ასევე სოფლის მცოვრებლებსაც . ამ დროს ერთს იღებს დევნილებიც და სოფელიც. იქიდან გამომდინარე, რომ ვარ მუნიციპალიტეტის მერი და არ მინდა სოფელსა და დევნილებს შორის დამოკიდებულება შევცვალო და რაღაც კონფლიქტური სიტუაცია წარმოვქმნა, ჩატარებულ კრებებზე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დავაფინანსო, (მნიშვნელობა არ ექნება დევნილებს დავაფინანსებ თუ სოფელს), ამ შემთხვევაში მინდა, რომ დამატებით გამოვყო მათთვის ის თანხა, რომ ვთქვათ წეროვანში სოფელმაც აიღოს 10 ათასი და დევნილთა დასახლებამაც აიღოს 10 ათასი.

თამაზ მეჯიაური თიანეთის მერი - აღარ შევეხები იმ საკითხებს, რომლებზეც უკვე ისაუბრეთ. შესაძლოა ზოგ საკითხს ვეთანხმებოდე ან არ ვეთანხმებოდე, თუმცა საშემოსავლო ნაწილს შევეხები. მოგეხსენებათ მაღალმთიანი რეგიონები საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ და რათქმაუნდა გაანგარიშებისას ესეც უნდა იქნეს გათვალისწინებული, თორემ ამან შესაძლოა მოგვცეს უკუ ეფექტი. ასევე რადგან შევეხეთ სოფლის პროგრამას, მინდა ვთქვა, რომ არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია, პირიქით მადლობა მინდა ვუთხრა რეგიონული განვითარების სამინისტროს, მაგრამ არ ჩამითვლით უმადურობაში, თუ ამ საკითხსაც შევეხებით, შეიძლება მწირია , მაგრამ მაინც. კერძოდ, გამოტოვებულია მთელი რიგი სოფლები, რატომღაც ჩვენთან არ ითანამშრომლეს. კარგი იქნებოდა ჩვენი ჩართულობა ყოფილიყო, მითუმეტეს, როგორც მითხრეს 2014 წლის მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა და მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. რა თქმაუნდა ეს საკითხი უნდა განვიხილოთ სხვადასხვა კონტექსტში, ერთი რაც ჩემმა კოლეგამ ბრძანა, დასახლებებიდან საერთოდ რომ არ მივცეთ ის თითო 10 ათას ლარიანი დახმარება, იქიდან მაინც არავინ წავა, არ დაიცლება სოფელი. მე არ ვიძახი, რომ არ უნდა მივცეთ, შეიძლება მეტიც უნდა მივცეთ, მაგრამ ჩვენს სიტუაციაში არის აბსოლურურად სხვა მდგომარეობა. არის მთელი რიგი სოფლები, რომლებიც აღრიცხულია , გვიწერია ნულები , რეალურად ცხოვრობენ 8-9 თვე, თუ ეს 8-9 თვე იქ მაცხოვრებლისთვის საკმარისია მთის სტატუსის მისაღებად, რატომ არ უნდა იყოს საკმარისი იმის დასაფიქსირებლად, რომ ის იქ მუდმივი მაცხოვრებელია, მით უფრო, რომ ზოგიერთი ჩაწერილიცაა. ზოგიერთი როგორც ამომრჩეველი არის მაგალითად არტანში ჩაწერილი, მაგრამ რეალურად ცხოვრობენ იქვე მთების დასახლებებში. ძირითად ეს ის ადამოიანები არიან, რომლებსაც საქონელი მიყავთ მთაში და კლიმატური პირობების მიხედვით რჩებიან იმდენხანს, რისი საშუალებაც აქვთ. მეორე: არის სოფლები, რომლებიც შეიქმა ჩვენს თვალწინ, დავუშვათ არის ქვიშხევი, სადაც 2 კომლი ცხოვრობს, მაგრამ იქვე 3-4 კილომეტრში უკვე 4-5-ოჯახი დასახლდა. იმათაც ქვემო ქვიშხევი დაარქვეს, გამომდინარე იქიდან, რომ აქ მაცხოვრებელი მეტია, მხარდაჭერის პროგრამის განაწილების დროს

ამ ახალი დასახლების უმრავლესობაა, მათ შუქიც აქვთ , წყალიც, გზაც შედარებით წესრიგშია, მაგრამ ამათთან შედარებით უმრავლსობაშია, მაგრამ არც შუქი აქვთ და წყალიც მცირე დოზით. დასახლების სტატუსი ერთს აქვს და მეორეს აღარ აქვს, იურიდიულად ვეძებეთ როგორ უნდა მოხდეს ამის დასახვეწა. იქნებ ეს მოვაგვაროთ.

გიორგი ბერიძე - იგივე პრობლემაა მცხეთის რაიონშიც, არის ასეთი სოფელი - რეზეთი, სადაც არის სოფელიც და არის დევნილთა დასახლებაც. გამომდინარე იქიდან, რომ დევნილთა დასახლებასაც მიენიჭა ფრეზეთის სახელწოდება, დღეს სოფელი ფრეზეთი უკვე ვერ სარგებლობს მაღალმთიანი სტატუსით. ძალიან დიდი ხანია ეს პრობლემა დგას და თითქმის ყველა შეხვედრაზე ვაყენებთ ამ საკითხს.

ზურაბ სეხნიაშვილი დუშეთის მუნიციპალიტეტეის მერი - როგორც მოგეხსენებათ დუშეთის საძოვარი 120 ათასი ჰა გავქვს. 3 წელია ვიძახი ერთიდაიგივეს, პარლამენტშიც დავაყენეთ ეს საკითხი . მომეცით, გადმომეცით აღნიშნული სათიბ-საძოვრები. შემუშავებული გვაქვს გეგმა და პირობითად ვამბობ, 10 ლარად რომ გაგვექირავებინა, 1 მლნ 200 ათასი ლარი შემოვიდოდა ბიუჯეტში. რასაც მოვახმარდით სოფლის მეურნეობის განვითარებას. 289 სოფელია დუშეთის მუნიციპალიტეტეში. სამივე მუნიციპალიტეტს, მცხეთას, თიანეთს და ყაზბეგს ერთად აქვს 140 სოფელი, თავიანთი ბიუჯეტებით შემოგვიერთდნენ და იყოს ერთიანი ბიუჯეტი.

ირაკლი მელაშვილი- ის რომ დასახლებების რაოდენობა აისახოს დღგ-ს განაწილების პრინციპში ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონებისათვის, რადგან იქ არის ბევრი დასახლება მცირე მოსახლეობით. ეს არის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რადგან თითოეული დასახლება ცალკე მოითხოვს გზის გაყვანას, წყლისა და ა.შ. მიწოდებას. ანუ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ მუნიციპალიტეტების დაფინანსებაზე და თუ რაში უნდა დაიხარჯოს ეს ფინანსები, დასახლებების რაოდენობა - ეს სერიოზული კრიტერიუმია, და არანაკლები მნიშვნელობის, ვიდრე 6-დან 18 წლამდე ბავშვები. ძლიან სერიოზულად დასაფიქრებელია ამ თემაზე, რადგან ძალიან არათანაბარია პირობები, როდესაც ერთი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტი გაქვს და გყავს 150-200, ის, რომ ეს კრიტერიუმებში არანაირად არ განსხვავდება არის შეცდომა. იქნებ თქვენც დაელაპარაკოთ ფინანსთა სამინისტროს. ამაზე ჩვენ გვქონდა საუბარი თავის დროზე, თითქოს დაგვეთანხმა თავიდან, მაგრამ მერე მაინც არ იქნა ასახული.

კოკა კიღურაძე -ეს საკითხი წინა შეხვედრაზეც დავსვი, მაგრამ კონკრეტული პასუხი ვერ მივიღე და მაინტერესებს - კონცეფციაში არის ჩანაწერი, რომელიც გულისხმობს კოლეგიური ორგანოს შექმნას მერებისთვის. ერთმმართველობის პრობლემაზეა ხაზი გასმული, რომ თითქოს მერები არიან ერთმმართველები მუნიციპალიტეტებში და მათ სჭირდებათ დამატებით კოლეგიური ორგანოს შექმნა. მახსოვს, რომ ეს კანონპროექტი შემოტანილი იყო პარლამენტში და მერე გაწვეული იყო უკან. სამუშაო ჯგუფში არც განხილულა ეს საკითხი და კითხვა მაქვს, რატომ მოხდა ეს კონცეფციაში და რას აპირებს ამ მიმართულებით ხელისუფლება. მართლა ფიქრობს თუ არა რომ მერები ერთმმართველები არიან და დამატებით სჭირდებათ კოლეგიური ორგანოს შექმნა.

ნიკოლოზ როსებაშვილი - მართალია სამუშაო ჯგუფებში ამაზე არ გვისაუბრია, შესაბამისად გიდასტურებთ, რომ სტრატეგიის ეს დოკუმენტი, დეცენტრალიზაციის ინსტიტუციური მოწყობის საკითხებს ეს ვერსია არ ეხება და დიდი ალბათობით არც შეეხება, შესაბამისად არც მიზნებში და ამოცანებში არ წერია, ალბათ გულისხმობთ ჩანაწერს პრინციპებში, პრობლემების და არსებული ვითარების მდგომარეობის ანალიზში , შესაბამისად, დადასტურებულად გეუბნებით რომ სტარტეგიულ მიზნებში და ამოცანებში მსგავსი რამ არ წერია, შესაბამისად ეს სტარტეგიის დოკუმენტი არ ეხება მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური მოწყობის საკითხებს.

ჩაერთო დავით მელუა - მუნიციპალიტეტებში რაც გაიგზავნა, იმ ვარიანტში არ წერია.

მზია გიორგობიანი - 2 მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც მინდოდა სოფლის პროგრამასთან დაკავშირებით მეთქვა. ნამდვილად გეთანხმებით, რომ ეს თანხა მიზერია იმ სოფლებთან მიმართებაში, რომლებშიც დიდი დასახლებებია და მოსახლეობის დიდი რაოდენობაა, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ რეალურად ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ ძალიან მცირე, პირველადი საჭიროებების მხარდაჭერასთან მიმართებაში. ხოლო დანარჩენი საჭიროებები, რომლებზეც გვაქვს დიდი მშენებლობები - ეს იქნება სკოლები, საბავშვო ბაღები, დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები. ასევე წყლის უფლებამოსილების გადაცემასთან დაკავშირებით იყო საუბარი.. მოგეხსენებათ საკმაოდ ძვირადღირებულია ეს და დამოუკიდებლად მუნიციპალიტეტს გაუჭირდება ამის გაკეთება, ამიტომ სანამ არ მოწესრიგდება და არ ექნება მოსახლეს სუფთა , ჯანსაღი წყალი , რთული იქნება მუნიციპალიტეტებისთვის ამის გადაცემა. კიდევ განვმეორდები და ვიტყვი, რომ მუნიციპალიტეტებს არ უნდა გადავცეთ ის უფლებამოსილება, რომლითაც მას გაუჭიდება სამუშაოების განხორციელება. როდესაც უფლებამოსილება გადაცემული იქნება, გარდა ახალი უფლებამოსილებებისა, არსებული უფლებამოსილბების განხორციელებაშიც უნდა დავეხმაროთ ინსტიტუციურ დონეზე , ეს იქნება გადამზადების ნაწილი, ეს იქნება ფინანსური რესურსი თუ ინფრასტრუქტურის შექმნა, ამის გარეშე რთულია რომ მუნიციპალიტეტებს რაიმე დამატებითი უფლებამოსილებები გადავცეთ. ეს სოფლის დახმარების პროგრამა იყო. ასე ვთქვათ, თუნდაც პატარა სკვერის ან გარე განათების მოწყობით. რაც შეეხება დიდ საჭიროებებს, რომელიც მოსახლეობას სჭიდება გაგვიზიარეთ ეს მოსაზრებები, გავაკეთოთ პრიორიტეტიზაცია თუ რა უნდა ხალს, რა უნდა სოფლად მაცხოვრებელ ადამიანს. ეს ინფორმაცია უნდა წამოიღონ ამ სოფლის პროგრამის ფარგლებში. ასევე დავამატებ რომ, შესაძლოა გამორჩენილია სოფლები მაგრამ, იქ სადაც კი იყო დასახლება, როგორც ასეთი სტატუსი ჰქონდა მინიჭებული და აღწერისას ფიქსირებულია ერთი ადამიანიც კი, იმ აღწერის მონაცემებია აღებული, როგორც წყარო. მე ვეყრდნობი საქსტატს და სხვადასხვა წყაროს ვერ გამოვიყენებდი. რაც შეეხება კითხვას უსახურ შენობასთან დაკავშირებით, თუ შეიძლება მოგვაწოდეთ ეს საკითხი, რომ ჩვენ გავიზიაროთ და შემდეგ პასუხი მივიღოთ შესაბამისი სამინისტროსგან.

შეჯამება

დავით მელუა - ქალბატონმა მზიამ ფაქტიურად შეაჯამა ჩვენი მუშაობა, მაგრამ მინდა გითხრათ, ჩვენ რას ვაპირებთ. ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით გვექნება საშუალება, რომ თებერვილის დასაწყისში თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო გაიმართოს, მასზე განვიხილოთ ჩვენი რეკომენდაციები, რომლებიც რათქმაუნდა დამყარებული იქნება ამ მოსაზრებებზე, მანამდე ჩვენ გვაქვს ეს პრივილეგია და ასე ვთქვათ სიამოვნება, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან გვქონდეს მუშა რეჟიმი. რათქმაიუნდა ჩვენ ჩვენს მოსაზრებებს ვაწვდით მათ. ამის შემდეგ უკვე ოფიციალურად იქნება წარდგენილი ათეა-ს მოსაზრებები, შესაბამისად ძალიან ბევრი რეკომენდაცია, რომელიც გამოითქვა იქნება ასახული, თუმცა ეს არ გამორიცხავს და უფრო მეტად ვიტყვი , საჭიროებს კიდეც რომ მუნიციპალიტეტებიდანაც იყოს წარმოდგენილი რეკომენდაციები. ჩვენ გამოგიგზავნეთ სტარტეგიის პროექტის ბოლო ვარიანტი და კარგი იქნება თუ თითოეული მუნიციპალიტეტი წერილობით სახით წარმოადგენს თავის მოსაზრებებს , გნებავთ პირდაპირ სამინისტროს მიაწოდოთ, გნებავთ ჩვენ და შემდეგ აუცილებლად გადავუგზავნით სამინისტროს. განვმემორდები და ძალიან დიდ წარმატებად მიმაჩნია ის, რომ პროცესი არ იხურება, ეს პროცესი არის ინკლუზიური და ყველა მხარე მონაწილეობს ამ დისკუსიებში და მომავალშიც გაგრძელდება. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა სამინისტროს არასამთავრობოებსა და ექსპერტებს, გაეროს განბვითარების პროგრამას და რათქმაუნდა თქვენ რომ არასამუსაო სათებში მოგაცდინეთ და მოგიყვანეთ.

ქვემო ქართლის მხარის მუნიცპალიტეტებთან

20 იანვარი 2019

ქ. რუსთავი

საკონსულტაციო შეხვედრას ესწრებოდნენ ქვემო ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავჯდომარეები, საკრებულოს წევრები, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, მისი მოადგილე, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მინისტრის მოადგილე - მზია გიორგობიანი, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი - ნიკოლოზ როსებაშვილი. ქვემო ქართლის გუბერნატორი შოთა რეხვიაშვილი. ამავდროულად, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა საჯარო ფორმატში და მას ესწრებოდა ირაკლი მელაშვილი და კოკა კიღურაძე არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციიდან. (მონაწილეთა სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის). შეხვედრა ღია იყო ადგილობრივი და ცენტრალური მედიისთვის.

მზია გიორგობიანი მიესალმა მონაწილეებს და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა ეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით და გაეროს

განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით. შეკრებილ საზოგადოებას ასევე მიესალმა რუსთავის მუნიციპალტეტის მერი.

შოთა რეხვიაშვილი მიესალმა მონაწილეებს, მან ისაუბრა დეცენტრალზიაცაციის პროცესის მნიშვნელობაზე და მუნიციპალიტეტების გაძლიერების აუცილებლობაზე. მან გამოთვა იმედი რომ მუნიციპალიტეტების ჩართულობა დეცენტრალიზაციის პროცესში კვლავაც გაგრძელდება.

მისალმების შემდეგ სიტყვა გადაეცა **ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს**. მან გააკეთა პრზენტაცია დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესზე, ამ სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებზე, განხორცილების გზებზე, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებზე. მან მონაწილეებს მოუწოდა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, ასევე წერილობით მოსაზრებები ეროვნული ასოციაიციის მეშეევეობით ან პირდაპირ წარედგინათ მისი სამინისტროსთვის.

ნიკოლოზ როსებაშვილის პრეზენტაციის შემდეგ დავით მელუამ გახსნილად გამოაცხადა სხდომის ინტერაქტიული ნაწილი. მან მონაწილეებს აცნობა, რომ იწარმოება ამ შეხვედრის ოქმი, რომელიც წარედგინება საქართველოს ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს და მასში მოცემული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდება ასოციაციის მოსაზრება დეცენტრაილიზაციის სტრატეგიასთან მიმართებით. ოქმის წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით ჯერ გამოცხადდა კითხვების მიღება უშუალოდ პრეზენტაციასთან დაკავშირებით და შემდეგ უკვე ღია დისკუსია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის თაობაზე.

კითხვა პასუხის ნაწილი (ფასილიტატორი დავით მელუა)

კახა გურგენიძემ დასვა კითხვა, თავდაპირველად, მან აღნიშნა, რომ რთულია მუნიციპალიტეტთა შორის მიმოსვლა საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მას აინტერესებდა გათვალისწინებულია თუ არა მუნიციპალური ტრანსპორტის ჯარიმების საკითხი, აგრეთვე მას აინტერესებდა არის თუ არა გათვალისწინებული ახალი ელექტრონული სერვისის დანერგვა, ასევე თუ არის გათვალისწინებული ე.წ. ბილინგის სისტემა?

კითხვაზე პასუხი გასცა **ნიკოლოზ როსებაშვილმა,** მისი თქმით, მუნიციპალიური ტრანსპორტი და მუნიციპალიტეტებს შორის გადაადგილება ორივე პრობლემას წარმოადგენს, ამ პრობლემების მოსაგვარებლად ეკონომიკის სამინისტროში მომზადდა ცვლილებების პროექტი, პროექტში მოხსნილია მუნიციპალური და მუნიციპალიტეტებს შორის ტრანპორტის პრობლემა. რაც შეეხება ჯარიმებს, ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა, რომ წესების დარღვევის შემთხვევაში დაჯარიმების საკითხები მოწესრიგდება და სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია ჰარმონიზაციის პაკეტის გადამუშავება, აღნიშნული საკითხისამაოქმედო გეგმაში ღონისძიებად განისაზღვრება. მისი თქმით, მიმდინარე წელს ეს საკითხები აუცილებლად მოგვარდება.

კოკა კიღურაძემ დასვა კიტხვა ელექტრონულ სერვისებთან დაკავშირებით, რა იგეგმება ამ საკითხთან დაკავშირებით, მისი აზრით, საჭიროა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია, რადგან მუნიციპალიტეტებში აღინიშნება პრობლემები, მაგალითად: ენის ბარიერი, ინტერნეტი.

აღნიშნულ შეკითხვას უპასუხა **ნიკოლოზ როსებაშვილმა.** მან აღნიშნა, რომ ეს პროგრამა არის შექმნილი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე. ერთიანი ელექტრონული სისტემა იქნება მორგებული მუნიციპალიტეტების საჭიროებაზე და დაფარავს აბსოლუტურად ყველა მუნიციპალურ სერვისს. აღნიშნული სისტემა უკვე ფუნქციონირებს თბილისსა და ქუთაისში. აგრეთვე, მას აქვს ცალკე არქიტექტურის ნაწილი და საშუალებას იძლევა სახლიდანვე შემოწმდეს გეოსაინფორმაციო ბაზა მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

ღია დისკუსია (მოდერატორი დავით მელუა)

დავით მელუამ გახსნა დისკუსია და მონაწილეებს მოუწოდა დაიცვან 3 წუთიანი რეგლამენტი. მან ასევე აღნიშნა რომ 5 გამოსვლისის შემდეგ ის საშუალებას მისცემს რეგიონული განვითრების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გააკეთოს რეაგირება გამოთქმულ მოსაზრებებზე. გაიმართა დაისკუსია და გამოთქვა შემდეგი მოსაზრებები:

ირაკლი მელაშვილი - მან აღნიშნა რომ რუსთავის გარდა, ქვემო ქართლის დანარჩენი მუნიციპალიტეტების ძირითადი შემოსავლის წყარო არის მიწა, აუცილებელია სტრატეგიაში ერთმნიშვნელოვნად აისახოს რომ უნდა მოხდეს კოდექსში არსებული ჩანაწერის განხორციელება ანუ მუნიციპალიტეებს უნდა გადაეცეთ სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები, რათა მათ შეძლონ ამ მიწებით ოპერირება. მისი თქმით, სწორედ მიწის საკითხი განასხვავებს ამ რეგიონს დანარჩენებისგან, ამიტომაც, ეს სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მიწა. ირაკლი მელაშვილის აზრით, კანონმდებლობაში უნდა შეიცვალოს პრეზუმფცია, დაურეგისტრირებელი მიწა უნდა გამოცხადდეს მუნიციპალიტეტის საკუთრებად და თვითმმართველობის ორგანოებს უნდა მიეცეთ ამ მიწის რეგისტრაციის საშუალება. მეორე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი ამ რეგიონისთვის არის ტყე. ბევრ მუნიციპალიტეტს აქვს ეს პრობლემა. ფაქტობრივად, მოსახლეობა ტყეში ვერ შედის. ტყეში რომ შევიდეს კანონის საფუძველზე, სოფლის გლეხმა უნდა მიიღოს ცენტრალური ხელსუფლებისგან, სამინისტროსგან ნებართვა, მისი აზრით, ეს არასწორია.

გიორგი ტატუაშვილი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები არის უძრავი ქონების გაქირავებიდან მიღებული საიჯარო თანხები და ასევე მიწაზე ქონების გადასახადი. ვინაიდან, დმანისის მუნიციპალიტეტს აქვს ძალიან ბევრი საძოვარი, მისი თქმით მათ ხელი ეშლებათ საკუთარი მიწების რაციონალურად გამოყენებაში რადგან, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მის საკუთრებაში არსებული მიწების რაციონალურ განკარგვას, მისი თქმით, საზოგადოების ნაწილი ბოროტად სარგებლობს ქონების გადასახადით, ბევრი პირი თავს არიდებს მიწაზე ქონების გადასახადის გადახდას, რაც საბოლოოდ ცუდად

აისახება მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლის გაზრდაზე. იმავრდოულად, რადგანც მუნიცპალიტეტს მოწესრიგებული აქვს სასოფლო სამეურნეო მიწებზე საიჯარო მოსაკრებლის აკრეფის სისტემა, ფერმერები ამჯობინებენ იქირაონ სახელმწფოს სარგებლობაში არსებული მიწა რადგან იქ აღრიცვიანობა მოუწერიგებელია და საერთოდ გაიგებარია ვის უხდიან ისინი საიჯარო გადასახადს და რამდენს. ეს კი აზარალებს მუნიცპალიტეტების ბიუჯეტს. შესაბამისად, თუ უნდა სახელმწიფო საკუთრებაში ნუ გადმოსცემს ამ მიწებს მუნიცპალტეტეს გადმოცეს მარტვაში რათა ორივე მიწაზე ერთნაირი რეჟიმი იყოს და მუნიცპალიტეტემა არ იზარალოს. რაც შეეხება ქონების გადასახადს მერმა აღნიშნა რომ ის იჯარის ხელშეკრულების დადების დროს ფირმებს სთხოვს დეკლარიება მოახდინონ თუ რა ქონებას ფრობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და შესაბამისად მას აქვს იმფორმაცია ქონების გადასახადით დასაბეგრი ამ კონტიგენტის შესახებ

ნიკოლოზ როსებაშვილი - მისი თქმით, ქონების საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანია, რასაც ამ ეტაპზე სამუშაო ჯგუფები აქტიურად განიხილავენ, განხილვებში ჩაერთო ეკონომიკის სამინისტრო და ქონების მართვის სააგენტო, ქონებაზე სამსჯელოდ ცალკე შეხვედრები დაინიშნება და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებსაც ეცნობებათ ამ შეხვედრების შესახებ. ნიკოლოზ როსებაშვილის თქმით, მთავარია ის, რომ სამოქმედო გეგმა მიღებულია.

ირაკლი ტაბაღუამ ისაუბრა ქალაქ რუსთავის გამოცდილებაზე ადგილობრივ დონეზე სტატისტიკის წარმოებისა და მოაცემტა შეგროვების სფეროში. მან აღნიშნა რომ ქალაქის მუნიცპალიტეტების დონეზე მოწესრიგდა სოციალურ დაუცველთა და მუნიციპალური მომსახურების მოსარგბლეთა შესახებ ინფორმაცია და მათი აღრიცხვიანობა. ასევე აღინიშნა რუსთავის გამოცდილება მუნიცპალიტეტბის საინფორმაცო ბაზების ხელმისწოვდომობასთან დაგკავაშირებით და გამომსვლელმა აღნიშნა რომ ქონების რეგისტრაციის პროცესი რუთავში შედარებით იოლად მიდის იმიტომ რომ ქალაქის ხელისუფლებას ასეთი მონახემთა ბაზები გააჩნია.

გარდა ამისა, **ნიკოლოზ როსებაშვილმა** სტატისტიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები თუ რა არის პირველ ეტაპზე ის მინიმალური სტატისტიკა, რაც ადგილობრივ დონეზე შეიძლება იწარმოებოდეს. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტის დონეზე არანაირი სტატისტიკა არ მოგვეპოვება სტატისტიკის სამსახურიდან, ამიტომაც, სტატისტიკის სამსახურთან ერთად ექნებათ დამატებითი კონსულტაციები და ჩამოყალიბდებიან თუ რა არის სტატისტიკის სახეები, რაც შეიძლება დღეს მუნიციპალიტეტმა აწარმოოს. მისი აზრით, ეს პირველ რიგში ისეთი ტიპის სტატისტიკაა, რაც მუნიციპალური სერვისებისთვისაა არსებითად მნიშვნელოვანი. გასული სამი თვის განმავლობაში ყავდათ დაქირავებული საერთაშორისო ექსპერტები USAID-ის დახმარებით, შესწავლილი იქნა საერთაშორისო პრაქტიკა, თუ რა ტიპის სტატისტიკას აწარმოებენ მუნიციპალიტეტები, აგრეთვე შეისწავლეს მუნიციპალიტეტების მდგომარეობა სტატისტიკასთან მიმართებაში. გამოიკვეთა გარკვეული რეკომენდაციები და პრობლემები. ზემოხსენებულ დოკუმენტში მოხსენიებულია ეს საკითხი, შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში

კონკრეტული ღონისძიებები გატარდება სტატისტიკის სამსახურთან კონსულტაციების ხელმეორედ გავლის შემდგომ.

ირაკლი მელაშვილი - შეეხო წყალმომარაგების საკტხს, მან აღნშნა რომ ეს ფუქცია მუნიციპალტეტბს აქვთ მიკუთვნებული მაგრამ ვერაფერს ვერ აკეთებენ იმის გამო რომ არა აქვს ქონება და ასევე არა აქვთ უფლებამოსილებანი წყლის მიწოდების დარგში. მეორე თემა არის შესყიდვების თემა. რაც ასევე არის მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილება მაგრამ დღეს ხდება კონსოლიდირებული ტენდერებიტ შესყიდვა. შესაბამისად, ეჭვის ქვეშ დგება იმ მუნიციპალიტეტების დამოუიდებლობა. მან ასევე ისაუბრო ადგილობრივი ბიუჯეტების შემსავლებზე და აღნიშნა, რომ დ.ღ.გ-ს სისტემა არის უკეთესი, მაგრამ ჩვენ რეალურად გვჭირდება ისეთი სისტემა რომელიც აამუშავებს მუნიციპალიტეტს. ასეთი კი არის საშემოსავლო გადასახადის გაყოფა ცენტრსა და მუნიციპალიტეტს შორის. სტრატეგიაში კოკნრეტულად უნდა ეწეროს თუ როგორ მოდხება საშემოსავლოს გაყოფა და ზოგადი ჩანაწერი არ გვაკმაყოფილებს. იგივე ეხება სტრატეგიის ინდიკატორებს, ერთ-ერთი იდიკატორი არის თვითმმართველობის შემოსავლების ზრდა ჩვენი აზრით უფრო მართებული იდიკატორი იქნება - ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობების ზრდა. სტრატეგიაში არ უნდა იყოს ისეთი ინტიკატორი რომელსაც ზევიდან კიდევ ინდიკატორი სჭირდება.

მზია გიორგობიანი - სტატისტიკასტან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ მათ გამოითხოვეს ყველა სახელმწიფო სტრუქტურისგან და მუნიციპალიტეტისგან ინფორმაცია თუ რას აწარმოებენ და რისი წარმოების სურვილი აქვთ და რა საჭიროებებს ხედავენ ამ საკითხთან დაკავშირებით, დაამუშავეს ეს ინფორმაცია და გაუზიარეს სტატისტიკის სამსახურს. მზია გიორგობიანის თქმით, ძირითად პრობლემად მუნიციპალიტეტებში სახელდება ფინანსური და ადამიანური რესურსი.

კოკა კიღურაძე - როდესაც საუბრობთ, რომ მუნიციპალიტეტები არ არიან მზად ან შესაძლოა მათ არ აქვთ რესურსი ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად. მაგალითად, სუბსიდირობის პრინციპის მიხედვით რაღაც უფლებამოსილება აუცილებლად ადგილზე უნდა ხორციელდებოდეს, მაგრამ დღეს მუნიციპალიტეტმა რომ გითხრათ, მე არ ვარ მზად იმისთვის რომ მოსწავლეების ტრანსპორტირება მოვახდინო, იმ მიზეზით რომ შესაბამისი ტრანსპორტი არ გამაჩნია, - განა ეს საკმარისი არგუმენტი იქნება იმისთვის, რომ ეს უფლებამოსილება არ ჩავიტანოთ ადგილზე?

ნიკოლოზ როსებაშვილი - უპასუხა დასმულ კითხვას და აღნიშნა რომ არ მოხდება პრობლემების მუნიციპალიტეტებზე გადაკისრება და ყველა უფლებამოსილების გადაცემა მოხდება ეტაპობრივად, კარგად გაანალიზების რა ყველა რისკის დაზღვევის შემდეგ. სწორედ იმიტომ რომ სირთულეები იქნას აცილებული პირველ ეტაპზე მოხდება უფლებამოსილებათა დელეგირება და საკუთარ კომპეტენციაში ეს უფლებამოსილებანი გადავა მხოლოდ მას შემდეგ რაც დადსტურდება რომ მუნიციპალიტეტებს აქვთ მისი აღსრულების ადმინისტრაციული, ქონებრივი და ფინანსური შესაძლებლობანი.

შეჯამება

მზია გიორგობიანი - ვფიქრობ რომ მნიშვნელოვანი რეფორმაა და მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღება იგეგმება. სტრატეგიის მიღებით პროცესი არ სრულდება და რეალური პროცესი მხოლოდ ამის შემდგომ იწყება, ჩემი აზრით, საჭიროა, ყველას უშუალო ჩართულობა, რათა სწორი და თანმიმდევრული ნაბიჯები გადავდგათ. მინდა აღვნიშნო, რომ არ იგეგმება მუნიციპალიტეტებზე ისეთი უფლებამოსილებების გადაცემა, რომელიც მათ დამატებით ტვირთად დააწვებათ. ასევე მზად ვართ დაგეხმაროთ უფრო ეფექტიანად განახორციელოთ ის ძირითადი უფლებამოსილებები რომელიც უკვე გაგაჩნიათ, თუ საქმე გვაქვს რაიმე სამართლებრივ ნიუანსებთან, რომლებიც ხელს გიშლით თქვენი უფლებამოსილების განხორციელებაში, ისინი აღმოიფხვრება. ის უფლებამოსილებები რომლებიც მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ სწორად უნდა დაიგეგმოს. დიდი მადლობა მობრძანებისთვის და გისურვებთ წარმატებას, ველი თქვენს უშუალო მონაწილეობას ამ პროცესში.

დავით მელუა - მინდა გითხრათ რომ ამ შეხვედრებისგან მიღებული მოსაზრებებზე დაყრდნობით ასოციაცია მოამზადებს თავის მოსაზრებას და რეკომენდაცოებს სტრატეგიის დოკუმენტზე. მნიშვნელოვანია რომ გავმიჯნოთ საკითხები - რაზეც ყველა შეთანხმებული ვართ რომ მოსაგვარებელია ეს უნდა გაიწეროს თუ როდის მოგვარდება. მაგრამ არის საკითხები რომელზედაც ჯერ კიდევ არ არის თანხმობა და სტრატეგიამ ეს საკიტხები უნდა აღიარეს როგორც მსჯელობის საგანი და დათქვას ვადა თუ როდის ქნება მონახული მისი გადაჭრის გზა. ჩვენ ვიცით რომ სტრატეგია არის პოლიტიკის საგანი, პოლიტიკა კიდევ შესაძლებლის ხელოვნებაა, ამიტომ ჩვენ არ უნდა ველოდეთ იდიალური დიკუმენტის შექმნას, ამით დროს დავკარგავთ და ვერასდროს დავამტკიცებთ ამ დოკუმენტს, ჩვენ უნდა მივიღოთ დოკუმენტი რომელიც მაქსიმალურად შესაძლებელ გაუმჯობესებას მოგცემს და მორგებული სქნება რეალურ საჭიროებებს. შესაბამისად, ასოციაცია გაგრძელებს სანინისტროსთან თანამშრომლობას სტრატეგიის ბოლო ვარიანტზე და ჩვენ მომავალშიც გავმართავთ კონსულტეციებს სტრაგეიის საბოლოო ვარიანტზე.

კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებთან

21 იანვარი 2019

ქ. თელავი

საკონსულტაციო შეხვედრას, რომელიც თელავში გაიმართა, ესწრებოდნენ კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოების თავმჯდომარეები, საკრებულოების წევრები, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი-დავით მელუა, მისი მოადგილე-ნათია ღვინაშვილი, ამავე ორგანიზაციის ექსპერტი-კახა გურგენიძე, ასევე საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი - ნიკოლოზ როსებაშვილი. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა საჯარო ფორმატში და მას ესწრებოდნენ,

კოკა კიღურაძე და კოტე კანდელაკი არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციიდან, და მოქალაქეები (მონაწილეთა სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის). შეხვედრა იყო ღია, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური მედიისთვის. შეხვედრა **დავით მელუამ** გახსნა, დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა და განაცხადა, რომ აღნიშნული შეხვედრა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო, მანვე, დამსწრე საზოგადოებას დეცენტრალიზაციის მნიშვნელობასა და მუნიციპალიტეტების ჩართულობის აუცილებლობაზე მიაწოდა ინფორმაცია.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ, **ნიკოლოზ როსებაშვილმა** დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესზე, ამ სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებზე, ასევე მისი განხორციელების გზებზე და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებზე პრეზენტაცია წარმოადგინა. სამინისტროს წარმომადგენელმა, მონაწილეებს მოუწოდა, აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, როგორც შეხვედრის მსვლელობისას, ისე წერილობით, რასაც ისინი ეროვნული ასოციაციის დახმარებით ან პირდაპირ სამინისტროში წარდგენის გზით შეძლებენ. პრეზენტაციის შემდეგ, **დავით მელუამ** ინტერაქტიული ნაწილი გახსნილად გამოაცხადა და სხდომის მონაწილეებს შეხვედრის ოქმის წარმოების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. „ თითოეული შეხვედრის შედეგად, ასოციაცია აწარმოებს ოქმს, სადაც შეხვედრის მონაწილეების მხრიდან გამოთქმული ყველა მოსაზრება იქნება დაფიქსირებული. შემდგომ ოქმს თან ვურთავთ მუნიციპალიტეტებიდან წერილობით მიღებულ გამოხმაურებას. ყველა რეგიონის ოქმის საფუძველზე დგება რეგიონული შეხვედრების ერთიანი ოქმი და წარედგინება აღმასრულებელ საბჭოს, რომელიც აღნიშნულ სტრატეგიაზე გამართავს მსჯელობას ა.წ. 2 თებერვლის სხდომაზე. ხოლო შემდგომ, როდესაც დისკუსიის შედეგად ჩამოყალიბდება ათეა-ს აღმასრულებელი საბჭოს პოზიცია, ასოციაციის რეკომენდაციები და მოსაზრება, ოქმთან ერთად გადაეგზავნება სამინისტროს“, - აღნიშნა დავით მელუამ.

კითხვა პასუხის ნაწილი (ფასილიტატორი დავით მელუა)

გიორგი ბოტკოველი -, განაცხადა, რომ სტრატეგიის პროექტის განხილვა საკრებულოს ფორმატში უნდა განხორციელდეს, რომელსაც არა მხოლოდ მერები და საკრებულოების თავმჯდომარეები, არამედ საკრებულოს წევრებიც დაესწრებიან. მისივე თქმით, საინტერესოა რამდენად ექნებათ მუნიციპალიტეტებს გადაწყვეტილების მიღების უფლება, რადგან ბოტკოველის განცხადებით, თუ არ არსებობს პოლიტიკური ნება, ვერ განხორციელდება უფლებამოსილების აღსრულება.

გიორგი წაქაძე თვითმმართველობის ექსპერტი - განცხადებით, პრეზენტაციის სახით წარმოდგენილი სტრატეგიის პროექტით, მან ქონების საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ ზოგადი და მცირე ინფორმაცია მიიღო და დაინტერესდა თუ როგორ აისახება აღნიშნული საკითხი დეცენტრალიზაციის პროექტში. ექსპერტი ასევე დაინტერესდა, სამომავლოდ, რა როლი ექნება მუნიციპალიტეტს განათლების სისტემის კუთხით.

კითხვებზე პასუხების გაცემამდე, **დავით მელუამ** გიორგი ბოტკოველს და დამსწრე საზოგადოებას, შეხვედრის ფორმატის შესახებ კიდევ ერთხელ მიაწოდა ინფორმაცია. ,,აღნიშნული შეხვედრების მიზანია, დეცენტრალიზაციის საკითხების კონსულტაცია ადგილობრივ თვითმართველობასთან. ასოციაცია თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ამ ფორმატით, მათთან ერთად განვიხილავთ დოკუმენტს. შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებები და წინადადებები კი, ასოციაციის მიერ რეკომენდაციის სახით გადაიგზავნება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში. ვიმეორებ, აღნიშნული დოკუმენტი ასოციაციამ ყველა მუნიციპალიტეტს, მათ შორის ყველა საკრებულოს გადაუგზავნა და დეპუტატებს შესაძლებლობა აქვთ საკუთარი შენიშვნები წერილობითი სახით წარმოადგინონ, როგორც ასოციაციაში, ასევე სამინისტროში. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ კონსულტაციები ამ შეხვედრით არ მთავრდება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის - მზია გიორგობიანის განცხადებით, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს ექნებათ შესაძლებლობა, თბილისში ჩაუსვლელად, ე.წ. სკაიპით ჩაერთონ განხილვაში და სტარტეგიასთან დაკავშირებით იმსჯელონ.

არჩილ მჭედილშვილი მოქალაქე - დაინტერესდა იგეგმება თუ არა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, კერძოდ, ამ სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლების ზედამხედველობის უფლებამისლების დამატება მუნიციპალიტეტებისთვის.

ნიკოლოზ როსებაშვილმა საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას უპასუხა და განმარტა, რომ სამუშაო ჯგუფებში, მუნიციპალიტეტების დაფინანსებასთან მიმართებაში წარმოდგენილი იყო ალტერნატიული მეთოდები, რომელიც საშემოსავლო განაწილების საკითხს ეხებოდა. გიდასტურებთ, რომ სტრატეგია აუცილებლად განიხილავს საშემოსავლო გადასახადის მუნიციპალიტეტებზე გაყოფის საკითხს და ასევე გიდასტურებთ, რომ დღეს არსებულ რედაქციებში გვაქვს ჩანაწერი, რომ განიხილება საშემოსავლო გადასახადის ზიარ გადასახადად ქცევის საკითხი“, - განაცხადა ნიკოლოზ როსებაშვილმა. სამინისტროს წარმომადგენელმა დამსწრე საზოგადოებას, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი არგუმენტებიც გააცნო და განმარტა თუ რატომ ვერ მოხერხდებოდა 2019 წლიდან საშემოსავლო გადასახადის განაწილება მუნიციპალიტეტებზე.,,დღეს საშემოსავლო გადასახადი იკრიბება ცენტრალიზებულად, რაშიც იგულისხმება, რომ არ ხდება შემოსავლების სამსახურის მიერ იდენტიფიცირება საშემოსავლო გადასახადის გადამხდელების რეგისტრაციის მიხედვით. საშემოსავლო გადამხდელები არიან იურიდიული პირები, შესაბამისად, ეს გადასახადი, ერთი ცენტრალური პრინციპით, თავს იყრის თბილისში. ეს სისტემა აწყობილია, როგორც ტექნიკურად, ისე სამართლებრივად. დღეს ამის გაკეთება შეუძლებელი იყო და მოითხოვდა მთელი სისტემის გადაწყობას და საერთოდ გადაკეთბასაც კი. ჩვენ რომ 2019 წელს, პირდაპირ საშემოსავლო გადასახადის განაწილებაზე გადავსულიყავით, მივიღებდით შედეგს, რომ თბილისის პროცენტი კიდევ უფრო მეტად გაიზრდებოდა “,- აღნიშნა ნიკოლოზ როსებაშვილმა.

სამინისტროს წარმომადგენელი ქონების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ეკონომიკის სამინისტროსა და ქონების მართვის სააგენტოს მხრიდან არის

მზაობა, მოხდეს საკითხების შეჯერება და მათი დეტალური განხილვა. მისივე თქმით, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ აღნიშნულ პროცესში და სურვილისამებრ მიიღონ მონაწილეობა სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში.

ღია დისკუსია (მოდერატორი დავით მელუა)

მაია ბერიშვილი გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - განცხადებით, როდესაც საუბარია დეცენტრალიზაციაზე, თვითმმართველობას უფლებამოსილებასთან და პასუხისმგებლობასთან ერთად უნდა ჰქონდეს ფინანსური რესურსი, რომელსაც საკუთარი ნება-სურვილით განსაზღვრავს. მისივე თქმით, იმის მიუხედავად, რომ კანონით მუნიციპალიტეტებს მათ ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის უფლება გააჩნით, პრაქტიკაში ამ უფლებამოსილებას ვერ ახორციელებენ. “,ძალიან მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში მკაფიოდ ჩაიწეროს, რომ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელიც ადგილობრივი თვითმართველობის საკუთრებაა, ნამდვილად მისი საკუთრება იყოს და გამიჯნული იყოს უფლებამოსილება ქონების კუთხით“,- აღნიშნა დეპუტატმა.

კოტე კანდელაკი არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წარმომადგენელი - სამწუხაროდ არცერთ სტრატეგიას დამტკიცების შემდეგ შედეგი აღარ უნახავს, პრაქტიკაში არ გატარებულა, თორემ იმ თემებს აღარ გავივილიდით, რაზეც 20 წლის წინ ვსაუბრობდით. ეს ეხება იმ საკითხებს, რაც აქ წამოჭერით, ეს არის ფინანსური საკითხი, ეს არის ქონებრივი საკითხი და ეს არის საშემოსავლო გადასახადის ზიარ გადასახადად ქცევა, რომელიც 2013-2014 წელს მიღებულ სტრატეგიაში იყო ჩადებული. დარწმუნებული ვარ, რომ 2021 წელს ფინანსთა სამინისტრო კვლავ გამოაცხადებს, რომ მზად არ არის და ისევ უშედეგოდ გაგრძელდება ეს თემა. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ დღგ-სთან დაკავშირებით მიღებული ცვლილება მცირედით აუმჯობესებს წინა ვარიანტს, მაგრამ, როგორც ვხედავთ ეს არ არის საკმარისი და აუცილებელია დოკუმენტში უფრო მკაფიოდ ჩაიწეროს, რომ აღნიშნული ცვლილება სტრატეგიის მთავარი ამოცანაა და 2020 თუ 2021 წელს ეს საკითხი კანონშიც აისახოს“,- აგანაცხადა ექსპერტმა. სამწუხაროდ სტრატეგია უფრო ზოგადი დოკუმენტია და მასში ნაკლები კონკრეტიკაა. კიდევ ვიმეორებ 2013-2014 წლის სტრატეგიებში ყველა ის საკითხი იყო ჩადებული, რაზეც დღეს ვმსჯელობთ. მაშინაც საუბარი იყო ქონებაზე, ბუნებრივ რესურსებზე, ასევე სასოფლო სამეურნეო მიწებზე, ბოლო ვადა კი ჯერ 2017 წლის 1 იანვარი, შემდეგ კი 2018 წელი იყო. ანუ ყველა ვადა გასულია და იმ უწყებებს, რომლებსაც ეს ვადები უნდა დაეცვათ, არანაირი ღონისძიება არ გაუტარებიათ. ამიტომ როდესაც კიდევ ვსაუბრობთ, რომ 2-3 წლის შემდეგ შეიძლება რაღაც გაკეთდეს, არ მჯერა და ამ შემთხვევაში სკეპტიკურად ვარ განწყობილი, რადგან არ არსებობს სამოქმედო გეგმა, სადაც ყველა საკითხი მკაფიოდ იქნება გაწერილი. კანონი უფრო მაღლა დგას და მოდით ჯერ დავიწყოთ იმის შესრულებით, რაც კანონში წერია. დავიწყოთ მისი აღსრულება და პრაქტიკაში გატარება, რის შემდეგაც თამამად ვიტყვით, რომ სტრატეგია, რომელშიც ბევრი კარგი რამ წერია 1 თვის ვადაში შეიძლება

გაუმჯობესდეს კიდეც. გასაგებია, რომ ეს არის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. როდესაც სკოლაში ფანჯარა ჩაიმტვრევა, განათლების სამინისტროს სსიპ-ი აგვიანებს და პრობლემა სწრაფად ვერ გვარდება. მაინტერესებს, სკოლამ, რომელიც არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თავისი დამოუკიდებელი საბანკო ანგარიშით და ფინანსური რესუსრსებით, რატომ უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტს რომ ფანჯარა ჩაუსვას? მიმაჩნია, რომ სკოლა უნდა იყოს დამოუკიდებელი და ასეთ საკითხებზე პასუხისმგებლობა სკოლის დირექციამ უნდა აიღოს, რადგან თავად უფრო სწრაფად მოაგვარებს ამ პრობლემას.
ასევე მინდა აღვნიშნო, რომ დღევანდელი სიტუაცია 10 წლის წინანდელს არ ჰგავს და აუცილებელია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თვითმმართველობებს მეტი დამოუკიდებლობა მივცეთ. თუმცა მგონია, რომ ჩვენ რამდენიც არ უნდა ვწეროთ, 2-3 წლის შემდეგაც იგივე თემებს განვიხილავთ, რადგან ამ დარბაზში ბევრი ადამიანია, რომელიც 20 წლის წინაც იგივე საკითცხებზე საუბრობდა

არჩილ მჭედლიშვილმა - ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ ამ საკითხს, მაგალითად, ნიკოლოზ როსებაშვილი იყენებს სიტყვებს - დავიწყებთ, დავნერგავთ ახალ სისტემებს, გავაკეთებთ, საიდანაც იგრძნობა, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტრო ფუნქციებს კი არ სთავაზობს მუნიციპალიტეტებს, არამედ ავალებს, რაც ძალიან არ მომწონს.
არჩილ თხლაშიძე თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **-** სასმელი წყლის, საკანალიზაციო და სარწყავი სისტემების დაზიანების შემთხვევაში, პრობლემების დროულად მოგვარების მიზნით, აუცილებელია, თვითმმართველობას ქალაქისა და სოფლების წყლის კომპეტენცია სრულად გადაეცეს. მანვე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის აღდგენა დადებითად შეაფასა, თუმცა დასძინა, რომ სასურველი იქნება, თუ აღნიშნული პროგრამის დაფინანსება კიდევ გაიზრდება.
საკრებულოს თავმჯდომარე სხვადასხვა მსხვილ პროექტებში მოქალაქეთა ჩართულობის ინიციატივითაც გამოვიდა და აღნიშნა, რომ სასურველია მუნიციპალიტეტებს მოეხსნათ შეზღუდვები, რომლებიც თანადაფინანსების კუთხით ხორციელდება.
,, როდესაც მოქალაქე ითხოვს გარკვეული პრობლემის მოგვარებას და ის თანხა, რომელიც სოფელზეა გამოყოფილი, მას არ ჰყოფნის, აღნიშნული პრობლემა ვერ გვარდება. ამიტომ სასურველია მოიხსნას შეზღუდვები, ასევე კარგი იქნება თუ მოხდება სოფლის პრაქტიკის მხარდაჭერის გაზიარება, ანუ მიმაჩნია, რომ კონკრეტული პროექტების ფარგლებში კომიტეტების შექმნა და მოქალაქეების ჩართულობა უკეთეს შედეგს მოგვიტანს, მესმის რომ რთულია, მაგრამ შესაძლებელია თანხობრივ ზღვარზე ფიქრიც “,- აღნიშნა არჩილ თხლაშაძემ.

კოტე კანდელაკი - ყველამ კარგად ვიცით, რომ მუნიციპალიტეტების თანამონაწილეობა დღგ-ს ზრდაში ძალიან მცირეა, რადგან მის 65%-ს ქმნის თბილისი. კიბატონო შემოსავალი გაიზარდება ანაკლიაში, იმიტომ რომ პორტი აშენდება, უზარმაზარი ინვესტიცია ჩაიდება და ა.შ. მაგრამ რა ქნას მაგალითად ახმეტამ, სადაც მნიშვნელოვანი ინვესტიცია არ იდება? ამიტომ როდესაც ვსაუბრობთ ამ გადასახადზე, ჩემი აზრით თავშივე გვაქვს არასამართლიანი პრინციპი, ვსვამ კითხვას, რატომ მიანდამაინც 19% და არა

25%?
ასევე, ვიცით, რომ 2014 წელს, როდესაც მოხდა რეფორმა და კიდევ 7 ქალაქს მიენიჭა თვითმმართველის სტატუსი, იყო საუბარი, რომ რეფორმა გაგრძელდებოდა, მუნიციპალიტეტები ჩაიშლებოდა და მცირე მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა მოხდებოდა. თუ რა მივიღეთ ამაზე აღარ ვისაუბრებ. თვითმმართველობის გარეშე ქვეყნის განვითარება წარმოუდგენელია და როცა გვაქვს ამხელა მუნიციპალიტეტები - ქუთაისი, თელავი და სხვა, როგორ ვაკეთებთ დეცენტრალიზაციას? ხომ მაინც მივდივართ იქამდე, რომ კიდევ უფრო ცენტრალიზებული გახდეს და ეს სისტემაც ინფრასტრუქტურის სამინისტროზე იყოს დამოკიდებული? თვითვითმართველობას ფინანსები არ აქვს და რაღაზე ვსაუბრობთ?"- აღნიშნა კოტე კანდელაკმა. მისივე თქმით, აუცილებლად მოსაგვარებელია პროგრამული ბიუჯეტირების თემაც. ექსპერტის განცხადებით, როდესაც საუბარია მოქალაქეების ჩართულობაზე ბიუჯეტი სწორად უნდა იყოს დაგეგმილი.
,, იქნებ როგორმე შემუშავდეს ფორმა, თუნდაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხრიდან და ეს სავალდებულო გახდეს"- აღნიშნა კანდელაკმა.

შეჯამება

ნიკოლოზ როსებაშვილმა შეხვედრის შეჯამებისას აღნიშნა, დოკუმენტის საბოლოო დამტკიცებამდე საკონსულტაციო შეხვედრები კვლავ გაგრძელდება, სადაც სტარეტგიის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, სამოქმედო გეგმის განხილვაც იგეგმება.

შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტებთან
22 იანვარი 2019
ქ. გორი

საკონსულტაციო შეხვედრას, რომელიც გორის მუნიციპალიტეტში გაიმართა, ესწრებოდნენ შიდა ქართლის მხარის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოების თავმჯდომარეები, საკრებულოების წევრები, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი-დავით მელუა, მისი მოადგილე-ნათია ღვინაშვილი, ამავე ორგანიზაციის ექსპერტი-კახა გურგენიძე, ასევე საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე - მზია გიორგობიანი და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი - ნიკოლოზ როსებაშვილი. ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა საჯარო ფორმატში და მას ესწრებოდნენ კოკა კიღურაძე, კოტე კანდელაკი და ირაკლი მელაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციიდან, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციიდან კი, მიხეილ ჩიტაძე -(გორის საინფორმაციო ცენტრი) და დავით კობიაშვილი-(დამოუკიდებელ ექსპერტთა კავშირი). (მონაწილეთა

სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის). შეხვედრა იყო ღია, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური მედიისთვის. **შეხვედრა მზია გიორგობიანმა გახსნა,** მიესალმა მონაწილეებს და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მისი განცხადებით, აღნიშნული შეხვედრა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო. მინისტრის მოადგილემ სიტყვა **დავით მელუას** გადასცა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას დეცენტრალიზაციის მნიშვნელობასა და მუნიციპალიტეტების ჩართულობის აუცილებლობაზე მიაწოდა ინფორმაცია.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ, **ნიკოლოზ როსებაშვილმა** დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესზე, ამ სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებზე, ასევე მისი განხორციელების გზებზე და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებზე პრეზენტაცია წარმოადგინა. მანვე, მონაწილეებს მოუწოდა, აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები, როგორც შეხვედრის მსვლელობისას, ისე წერილობით, რასაც ისინი ეროვნული ასოციაციის დახმარებით ან პირდაპირ სამინისტროში წარდგენის გზით შეძლებდნენ.

პრეზენტაციის შემდეგ, დავით მელუამ გახსნილად გამოაცხადა სხდომის ინტერაქტიული ნაწილი და მონაწილეებს შეხვედრის ოქმის წარმოების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს უნდა წარედგინოს და მასში მოცემული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, დეცენტრალიზაციის სტრატეგიასთან მიმართებაში, შემუშავდეს ასოციაციის მოსაზრება. ოქმის წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეხვედრის ფორმატი განისაზღვრა შემდეგნაირად: უშუალოდ პრეზენტაციასთან დაკავშირებით კითხვა-პასუხის რეჟიმი და ღია დისკუსია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის თაობაზე.

კითხვა პასუხის ნაწილი (ფასილიტატორი დავით მელუა)

შეკითხვა იმის თაობაზე, თუ ვინ არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ არ შესრულდა თვითმმართველობის კოდექსი, სადაც გარდამავალ დებულებებში ყველაფერი დეტალურად არის გაწერილი, დასვა **კოტე კანდელაკმა.** „დღეს ჩვენ არ უნდა გვჭირდებოდეს ამაზე მსჯელობა. ჩვენ მივიღეთ ორგანული კანონი, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვალეს სხვა სტრატეგიებმა. შესაბამისად, როდესაც მივიღებთ ამ სტრატეგიას, ვინ იქნება მასზე პასუხისმგებელი? ამიტომ ძალიან კარგი იქნება, თუ მკაცრად გაიწერება დელეგირების შემთხვევაში ფინანსების განაწილების ფორმულირება და წესი“- განაცხადა მან.

დავით კობიაშვილმა (დამოუკიდებელ ექსპერტთა კავშირი გორი) აღნიშნა, რომ დიდი ხანია მიდის ამ საკითხებზე მსჯელობა და კარგი იქნება თუ საბოლოოდ მიღებული იქნება გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტისთვის ქონების გადაცემის შესახებ და რაც მთავარია, ეს გადაწყვეტილება აღსრულდება. მანვე იმ ფინანსურ ვალდებულებებზეც ისაუბრა, რომელთა აღებაც მოუწევთ მუნიციპალიტეტებს. „როდესაც მუნიციპალიტეტს დაემატება ფინანსური ვალდებულება, რაც მეტ ხარჯს გულისხმობს, მაგალითად

სკოლების რემონტის ხარჯი, ეს მუნიციპალიტეტის მხრიდან გასავალსაც გაზრდის. რეალურად გაიზრდება თუ არა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი? ის ხარჯები, რომელიც დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით შემოვა დაფარავს თუ არა იმ ხარჯებს, რომელიც მუნიციპალიტეტებმა უნდა აიღონ დამატებითი ვალდებულებებით? არის თუ არა ეს გათვლილი კონკრეტულად თითოეულ მუნიციპალიტეტზე და არის თუ არა ეს მომგებიანი? შეძლებენ თუ არა მუნიციპალიტეტები განავითარონ ინფრასტრუქტურა, შექმნან სამუშაო ადგილები და ჰქონდეთ მეტი წინსვლა? რეალურად ეს ცვლილება მისცემს თუ არა მუნიციპალიტეტს დამატებითი შემოსავლების და ბიუჯეტში უფრო მეტი თანხების მობილიზაციის საშუალებას“-აღნიშნა კობიაშვილმა.

შეხვედრაზე დასმულ შეკითხვებს **მზია გიორგობიანმა უპასუხა** და განაცხადა, რომ დეცენტრალიზაციის პროცესი იმ ეტაპზეა, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია. მისი განცხადებით, აღნიშნული პროცესი არა მხოლოდ ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების გადმოცემას გულისხმობს, არამედ მუნიციპალიტეტების შესაბამისი ფინანსური რესურსით აღჭურვასაც. „არა ერთხელ აღინიშნა სკოლებისა და ტრანსპორტირების საკითხის ტვირთად დაწოლა მუნიციპალიტეტზე. ასაშენებელ სკოლაზე არც ერთი ვალდებულება არ გადმოცემულა მუნიციპალიტეტისათვის, არც ერთი დიდი სარეაბილიტაციო გასამაგრებელი სამუშაოები არ გადასულა მუნიციპალიტეტის ვალდებულებაში. ასეთები კი, დამეთანხმებით, საქართველოს მასშტაბით არც თუ ისე ცოტაა. პირველი ეტაპისთვის, მანამ, სანამ მუნიციპალიტეტი გაძლიერდება და შესაძლებლობა ექნება ქონდეს საკუთარი რესურსი გენერირებისთვის, თვითონ განსაზღვროს რა გააკეთოს და რა საჭიროება დადგეს, ასეთი სახის სამუშაოებს სახელმწიფო ცენტრალური დონიდან დააფინანსებს. ამ ეტაპისთვის სკოლებთან მიმართებაში, მხოლოდ მცირე ზომის პირველადი დანიშნულების ინფრასტრუქტურული საჭიროების დელეგირება განხორციელდა. პირველად მოხდა ამის განფასება, შესაბამისი ფორმულით მოხდა მუნიციპალიტეტებისათვის თანხების დაანგარიშება და გაწერა, თუ რამდენი უნდა მისცემოდა მუნიციპალიტეტს. სახელმწიფო ბიუჯეტის თანხა ვერ ფარავს ყველა საჭიროებას. უნდა მოხდეს დაგეგმვა და თანმიმდევრული განხორციელება იმ საჭიროებებისა, რომელიც გვაქვს. არც ერთი ვალდებულება არ იქნება გადაცემული მუნიციპალიტეტისათვის, რომლის შესრულებასაც ის ვერ შეძლებს. აღსანიშნავია, რომ დ.ღ.გ-ს განაწილების პრინციპია ის, რომ ვერავინ გადაწყვეტს რომელ მუნიციპალიტეტს რა ოდენობის თანხა ექნება. ეს იქნება კანონით განსაზღვრული პროპორცია და კანონით დადგენილი კრიტერიუმები, რომლებიც მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს დაახლოებით დაგეგმოს შემდეგი პერიოდისათვის ის, რისი საშუალებაც ექნება მას. ასევე, მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია მზარდი ფონდი, რომლის განაწილებაც ხდება მუნიციპალიტეტებს შორის და პირდაპირ მიბმულია ქვეყნის განვითარების პროცესზე. ახალი რეფორმის მიხედვით, მუნიციპალიტეტს არ დაეკარგება მოტივაცია, რომ შექმნას დამატებითი შემოსავალი და დამატებითი სამუშაო ადგილები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის პროცესის მიხედვით, კი არ სრულდება, პირიქით, სწორედ აქედან იწყება ეს პროცესი, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს თანმიმდევრული გაწერა პროცესებისა და დარეგულირებული უნდა იყოს ქონების საკითხი. ამ საკითხის დარეგულირება კი, ნიშნავს იმას, რომ

დამატებითი შემოსავალი და განვითარების საშუალება ჰქონდეს მუნიციპალიტეტს. რაც შეეხება მოსაკრებლების საკითხს, ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ცენტრიდან არაფერი არ უნდა იმართებოდეს და გადაწყვეტილების მიღება უნდა შეეძლოს მუნიციპალიტეტს, ხოლო თუ არსებობს ისეთი საკითხი, რომელსაც მხოლოდ მუნიციპალიტეტი ვერ გადაწყვეტს, ამ შემთხვევაში უნდა ჩაერთოს ცენტრალური ხელისუფლება-უნდა შეეძლოს მოსაკრებლის დაწესება ან სხვა ღონისძიებების გატარება.

ღია დისკუსია (მოდერატორი დავით მელუა)

კითხვა-პასუხის შემდეგ, დავით მელუამ დისკუსიის ნაწილი ღიად გამოაცხადა და მონაწილეებს 3 წუთიანი რეგლამენტის დაცვისკენ მოუწოდა. მანვე დამსწრე საზოგადოებას დისკუსიის ფორმატი გააცნო და აღნიშნა, რომ ყოველი ხუთი გამომსვლელის შემდეგ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს, საშუალება მიეცემოდა გამოთქმულ მოსაზრებებსა თუ შენიშვნებზე კომენტარი გაეკეთებინა.

ირაკლი მელაშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ დეცენტრალიზაციის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის ფინანსების და ქონების გადაცემა მოხდება. „სტრატეგიის შემუშავებისას მნიშვნელოვანია განსაზღვრული იყოს თუ სად ვართ ახლა და სად ვიქნებით მაშინ, როდესაც დასრულდება სტრატეგიაზე მუშაობა. ფინანსებთან მიმართებაში შემოთავაზებულია დ.ღ.გ-ს 19 %-ის დატოვება, ვინაიდან თბილისის წილი არის არაპროპორციულად დიდი და უნდა მოხდეს მისი გათანაბრება. ამ სისტემის მიხედვით, თბილისმა არ უნდა მიიღოს კუთვნილი შემოსავალი და ამ გზით უნდა წავიდეთ გამოთანაბრებით ტრანსფერზე. ისიც აღსანიშნავია, რომ ის სისტემა, რომელსაც ახლა ფინანსთა სამინისტრო გვთავაზობს და რომელიც წელს შევიდა ძალაში, ნამდვილად სჯობს წინა სისტემას. ამ დროისთვის ამოცანა გვაქვს, რომ მუნიციპალიტეტებს ნელ-ნელა მიეცეთ იმის საშუალება, რაც შეიძლება მეტი გამოიმუშაონ თავად და ჩამოეხსნან ცენტრალურ ბიუჯეტს“- განაცხადა მან. მისივე თქმით, დ.ღ.გ -ს სისტემა არ გამოიყენება არც ერთ ქვეყანაში როგორც ზიარი გადასახადი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ჩეხეთი და იქაც, გადანაწილება რეგიონებზე ხორციელდება და არა მუნიციპალიტეტებზე. „ყველაზე აპრობირებული მოდელი, რომელზეც მიდის საუბარი, ეს არის საშემოსავლო გადასახადის ზიარ გადასახადად ქცევა და გათანაბრებითი ტრანსფერის ფონდის აღდგენა. ამ შემთხვევაშიც უნდა განისაზღვროს გათანაბრებითი ტრანსფერის ფონდის პროცენტი, რათა ფინანსთა სამინისტრომ პროცენტის გაზრდა ვერ მოახერხოს. მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიის არსებული ვერსია ვერ აგვარებს ქონების გადაცემის საკითხსაც. საგადასახადო სისტემა ვერ შეძლებს დამატებითი ღირებულების გამომუშავებას, თუ მუნიციპალიტეტს არ გადაეცა ქონება, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს ამ ქონებით სარგებლობა. კერძოდ კი, გაყიდვა, საწარმოო საქმიანობა თუ სხვა. მიწის საკითხთან დაკავშირებითაც აღსანიშნავია, რომ, როდესაც მოსახლეობას სურს, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია, თავს იჩენს ხოლმე არა ერთი პრობლემა. ასევე პრობლემურია შენობა-ნაგებობების საკითხიც, რომლებიც ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის და მუნიციპალიტეტი ამის რეაბილიტაციას და დანიშნულებისამებრ მოხმარებას

ვერ ახერხებს. თვითმმართველობის კოდექსმა ეს ქონება უნდა მიაკუთვნოს ადგილობრივ თვითმმართველობას. ის, რაც თვითმმართველობის კოდექსის 167-ე და 168-ე მუხლის მიხედვით მიკუთვნებული აქვს თვითმმართველობას, უნდა გადაეცეს მას და უნდა გაიწეროს 1 ან 2 წლიანი სამუშაო გრაფიკი". ირაკლი მელაშვილმა ასევე, უფლებამოსილებების სწორ გადაცემაზე ისაუბრა. მისი განმარტებით, სტრატეგიაში სწორად უნდა იყოს განსაზღვრული ის უფლებამოსილებები, რომლებიც გადაეცემათ მუნიციპალიტეტებს. იგი ასევე, სკოლების რეაბილიტაციის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ დადგენილი უნდა იყოს სტანდარტი, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი შეასრულებს სამუშაოს. „თუ თვითმმართველობას უნდა გადაეცეს რაიმე კომპეტენცია, აუცილებლად უნდა განისაზღვროს სტანდარტი, ამ სტანდარტის შესაბამისად უნდა განისაზღვროს ხარჯები და უნდა მოხდეს თანხის განაწილების სქემის შედგენა. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ დაინტერესების შემთხვევაში მოხდება სტანდარტის წარდგენა, თუ რატომ არ მოხდა კონკრეტული საქმიანობის შესრულება", განაცხადა ექსპერტმა. მისივე თქმით, მთავარი და ძირითადი საკითხი, რაც აღნიშნულმა დოკუმენტმა უნდა უზრუნველყოს არის ის, რომ, შეიქმნას ფინანსური სისტემა.

მელაშვილის შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას **მიხეილ ჩიტაძემ** მიმართა და აღნიშნა, რომ თვითმმართველობის განვითარება ვერ მოხდება, თუ არ მოხდება პოლიტიკური ზეგავლენების შემცირება. აღნიშნულს კი, მისი განცხადებით, ინსტიტუციური ცვლილება, კერძოდ კი, საკრებულოებისა და თვითმმართველობების ფორმულირების წესის ცვლილება ესაჭიროება. ჩიტაძემ ტერიტორიული მოწყობის მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ როდესაც საუბარია საზოგადოების ჩართულობაზე, ამ დროს კი მთავრობა ცვლის ამ მოწყობას, ეს დაუშვებელია. „არ შეიძლება იყოს 138 დასახლება და აქედან უმეტესობა იყოს ნასახლარი. არ შეიძლება ყველა დასახლებას მივუდგეთ ერთნაირად. იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა იყო წინააღმდეგი, მთავრობამ არ გაითვალისწინა მოსახლეობის აზრი. პირველი, რაც უნდა მოხდეს, ეს არის ის, რომ უნდა შემცირდეს პოლიტიკური გავლენები თვითმმართველობებზე, ასევე ტერიტორიული დაყოფა"-განაცხადა მომხსენებელმა და აღნიშნა, რომ მთავრობამ არც ერთი დებულება არ შეასრულა, რითიც დეცენტრალიზაციის ნაცვლად, უფრო მეტი ცენტრალიზება მიმდინარეობს.

ნიკოლზ როსებაშვილმა შეხვედრაზე გაჟღერებულ მოსაზრებებზე კომენტარი გააკეთა და საშემოსავლოს გადასახადის განაწილებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ახლანდელი მოდელი ძველ მოდელთან შედარებით ბევრად უკეთესია. მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ჯგუფებში მუშაობის დროს იყვნენ მომხრეებიც, ცხადია არ იყო აბსოლუტური თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს იყო მუნიციპალიტეტების დაფინანსების იდეალური მოდელი. მისივე თქმით, ასევე იყო წარმოდგენილი ალტერნატიული შემოთავაზება საშემოსავლო გადასახადის განაწილებასთან და საშემოსავლო გადასახადის ზიარ გადასახადად გადაქცევასთან დაკავშირებით. თუმცა აღნიშნულთან მიმართებაში, კერძოდ კი მასზედ, თუ რატომ ვერ მოხერხდებოდა 2019 წლიდან საშემოსავლო გადასახადის განაწილება მუნიციპალიტეტებზე არსებობს ერთი ძლიერი არგუმენტი. მისი განმარტებით, საშემოსავლო

გადასახადის აკრეფა დღეს ერთიანი სისტემის საშუალებით ხორციელდება, რაც გულისხმობს იმას, რომ იურიდიული პირები იხდიან საშემოსავლო გადასახადს. ამიტომ, ვერ მოხდებოდა მუნიციპალიტეტების საზღვრების მიხედვით საშემოსავლო გადასახადის გადახდა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, გაანგარიშება იმ სისტემის მიხედვით, რაც დღესდღეობით არსებობს. „სამუშაო ჯგუფებში საუბარი იყო სისტემის ალტერნატიული მოდელის შემუშავებაზე, ამ ეტაპზე შემოთავაზებულია ასეთი ვარიანტი, რომ განხილული იქნება საშემოსავლო გადასახადის ზიარ გადასახადად ქცევის საკითხი. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს საუბრები საშემოსავლო გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციის მიხედვით აკრეფაზე. ეს ფორმულირება არ არის საბოლოო და ამაზე მუშაობა გაგრძელდება. ასევე კეთდებოდა აქცენტები ქონების გადაცემასთან დაკავშირებით. მინდა აღვნიშნო, რომ ქონების გადაცემის გარეშეც ვერ განხორციელდება დეცენტრალიზაციის სტრატეგია. ქონების მართვის სააგენტოსთან და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, ცალკე გაიმართება შეხვედრა მას შემდეგ, როდესაც დასრულდება მუნიციპალიტეტებთან კონსულტაციები. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, კერძოდ იმ კომპეტენტურ პირებს, რომლებსაც ეხებათ ეს პრობლემა, საშუალება ექნებათ გაიარონ კონსულტაციები. თითოეული მუნიციპალიტეტის მაგალითზე წარმოდგენილი უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. მიგვაჩნია, რომ სამუშაო ფორმატში მნიშვნელოვანი იქნება მუნიციპალიტეტის მმართველი პირების ჩართვა. რაც შეეხება სტანდარტების საკითხს, დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მესამე მიზანში ნახსენებია მუნიციპალურ მომსახურებასა და სერვისებზე სტანდარტის დადგენის საკითხი, რაც თავისი არსით ძალიან სათუთი საკითხია. ამ ეტაპზე საუბარია, რომ დადგინდეს მინიმალური სტანდარტები, ანუ ჩვენი მიზანია დადგინდეს ისეთი სტანდარტები, რომლებიც აუცილებლად იქნება მიღწეული“-აღნიშნა მან.

როგორც **დავით ხოსრუაშვილმა აღნიშნა,** დეცენტრალიზაციის პროცესის აჩქარება არამართებულია. „დღეს ბევრი დავაა იმის თაობაზე, დ.ღ.გ. უნდა დარჩეს თუ არა, საჭიროა თუ არა და ა.შ. ამისთვის ექსპერტებმა ერთობლივად უნდა მოამზადონ დასკვნა. აპრიორი ჯერ ვერ ვიტყვით, უნდა დარჩეს თუ არა დ.ღ.გ. ხოლო, ექსპერტების მომზადებული დასკვნის მიხედვით, მთავარია გამოჩნდეს და მოტივაცია მიეცეს მერს, რომ გაზარდოს ადგილობრივი ეკონომიკა. ჩემი აზრით, მხოლოდ აღნიშნულ დასკვნაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება“-განაცხადა ხოსრუაშვილმა.

დავით მელუას მოსაზრების თანახმად, რომელიც ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქვა, გულისხმობდა იმას, რომ, როდესაც საუბარია დღგს სისტემაზე, საჭირო არ იყო მას დარქმეოდა განაწილებითი გადასასახადი. მანვე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ მსგავს განხილვებს თბილისის წარმომადგენელიც დაესწრებოდა. „ჩვენ იმდენად არ გვაქვს საქმე ზიარ გადასახადთან, რამდენადაც საქმე გვაქვს განაწილებით ფონდთან, 19 %-იანი დღგ კარგად ასახავს ეკონომიკის მდგომარეობას. დღგ-დან შემოსული თანხით ხორციელდება თვითმმართველობების დაფინანსება, იმიტომ რომ მუნიციპალიტეტებს არ აქვთ საშუალება საკუთარი უფლებამოსილებები განახორციელონ და რომ არა ეს დაფინანსებები, თვითმმართველობის

ბიუჯეტი იქნებოდა დეფიციტური. როდესაც საუბარია ქალაქ თბილისზე, რომ ის ყველაზე მდიდარი მუნიციპალიტეტია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის ყველაზე მრავალრიცხოვანი მუნიციპალიტეტია. როდესაც საუბარია საშემოსავლო გადასახადზე თბილისთან მიმართებაში, გადასახადის გადახდა რომ დავიწყოთ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მოწესრიგდება სარეგისტრაციო მეურნეობა. ამ საკითხების მოგვარება არც თუ ისე მარტივია- ამ საკითხებზე მსჯელობაა საჭირო. ამიტომ, აუცილებელია, რომ მოხდეს სწორი მიზნების დასახვა. თბილისს აქვს მეტი დაფინანსება, ვიდრე სხვა მუნიციპალიტეტს, ვინაიდან ის უფრო მეტ მომსახურებას უწევს მოსახლეობას, ვიდრე მუნიციპალიტეტშია რეგისტრირებული"-განმარტა დავით მელუამ.

ირაკლი მელაშვილის თქმით, მთავრობა მუნიციპალიტეტებს სთავაზობს სისტემას, რომლის მიხედვითაც, თბილისს უნდა მოეჭრას თანხები და გადაეცეს სხვას. „ჩვენ ამით მივიღებთ სიტუაციას, სადაც მუნიციპალიტეტი იქნება თვითკმარი. ვერცერთ ევროპულ მუნიციპალიტეტის მაგალითს ვერ მოვიყვანთ, სადაც მუნიციპალიტეტები არიან დოტაციურები. ფიზიკური პირების მიხედვით, მოქალაქე უნდა იხდიდეს იქ, სადაც არის რეგისტრირებული. გადასახადები უნდა იყოს მოწესრიგებული. ლოგიკურია, რომ სადაც ადამიანი მუშაობს, ცხოვრობს და საქმიანობს, სწორედ იქ იხდიდეს გადასახადებს"- აღნიშნა მან.

კონსტანტინე კანდელაკის თქმით კი, დოტაციური იქნება ყველა მუნიციპალიტეტი, თუ არ იარსებებს ზიარი გადასახადი. მისივე განცხადებით, ეს არა დოტაცია, არამედ იმის კომპენსაციაა, რომ თავის დროზე, ყველა გადასახადი წავიდა ცენტრალურ ბიუჯეტში და სწორედ ესაა, რასაც საკუთარი შემოსულობები ჰქვია.

შეხვედრაზე გამოთქმული კომენტარების პასუხად, **მზია გიორგობიანმა** აღნიშნა, რომ უნდა გაძლიერდეს თითოეული მუნიციპალიტეტი ისე, რომ ავტომატურად მოხდეს იმ წილობრივ მონაწილეობაში თბილისის პროცენტის შემცირება სხვა მუნიციპალიტეტების ხარჯზე. მისი განცხადებით, უნდა შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც იძლევა ამის საშუალებას. „ფუჭია დავა წარსულზე, საჭიროა წინსვლა. ძლიერი მუნიციპალიტეტი და ძლიერი რეგიონი რომ გვქონდეს, საჭიროა მიზნობრივად იქნეს გაწერილი სწორი მიმართულებები და იყოს უმეტეს წილად თანხვედრა. შესაბამისად, არსებობდეს სწორი და არგუმენტირებული მოსაზრებები. მუნიციპალიტეტის შემოსავალი არავისზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, მან უნდა დასახოს მნიშვნელოვანი გეგმები საკუთარი განვითარებისათვის"-განაცხადა მან.

შეჯამება

დავით მელუა - მინდა მოგახსენოთ, რომ ამ შეხვედრებისგან მიღებულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, ასოციაცია მოამზადებს თავის მოსაზრებას და რეკომენდაციებს სტრატეგიის დოკუმენტზე. მნიშვნელოვანია რომ გავმიჯნოთ საკითხები - რაზეც ყველა შეთანხმებული ვართ რომ მოსაგვარებელია და უნდა გაიწეროს თუ როდის მოგვარდება ეს. მაგრამ არის საკითხები, რომელზეც ჯერ კიდევ არ არის თანხმობა და სტრატეგიამ ეს საკითხები უნდა აღიაროს როგორც მსჯელობის საგანი. უნდა დაითქვას ვადა თუ როდის

მოიძებნება მისი გადაჭრის გზა. ჩვენ ვიცით, რომ სტრატეგია არის პოლიტიკის საგანი, პოლიტიკა კი შესაძლებლის ხელოვნებაა, ამიტომ ჩვენ არ უნდა ველოდეთ იდეალური დოკუმენტის შექმნას, ამით დროს დავკარგავთ და ვერასდროს დავამტკიცებთ ამ დოკუმენტს. ჩვენ უნდა მივიღოთ დოკუმენტი, რომელიც მაქსიმალურად შესაძლებელ გაუმჯობესებას მოგცემს და მორგებული იქნება რეალურ საჭიროებებზე. შესაბამისად, ასოციაცია გააგრძელებს სამინისტროსთან თანამშრომლობას სტრატეგიის ბოლო ვარიანტზე და ჩვენ მომავალშიც გავმართავთ კონსულტაციებს სტრაგეიის საბოლოო ვარიანტზე.

ნიკოლოზ როსებაშვილი - ჩვენ ამ შეხვედრებით დავიწყეთ დეცენტრალიზაციის სტრატეგიის შექმნის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც არის მუნიციპალიტეტთან კოსნულტაცია. ეს არ იქნება ბოლო შეხვედრა და ეს კონსულტაცია მომავალშიც გაგრძელდება. ასევე ველით წერილობით შენიშვნებს და მონაწილეობას თემატური ჯგუფების ფორმატში. მადლობა მინდა გადავუხადო ასოციაციას და გაეროს განვითარების პროგრამას ამ შეხვედრების ორგანიზებისთვის. მადლობა თქვენ მობრძანებისთვის და გემშვიდობებით აქტიური თანამშრომლობის იმედით.

სამცხე-ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტებთან

23 იანვარი 2019

ქ. ახალციხე

საკონსულტაციო შეხვედრას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის მხარის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავჯდომარეები, საკრებულოს წევრები, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, მისი მოადგილე, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი, სამცხე-ჯავახეთის მხარის გუბერნატორი ბესიკ ამირანაშვილი, ასევე გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის მენეჯერი მარიკა შიოშვილი და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელი სოფიო სვანაძე. იმავდროულად, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა საჯარო ფორმატში და მას ესწრებოდნენ კოკა კიღურაძე, კოტე კანდელაკი და ირაკლი მელაშვილი ასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციიდან, ადგილობრივი არსამთავრობო ორგანიზაცოებინდან კი დემოკრატ მესხთა კავშირის და ორგანიზაცია "ტოლერანტის" და "შშმ პირთა მშობლების კავშირი"-ს წარმოამდგენლები (მონაწილეთა სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის). შეხვედრა ღია იყო ადგილობრივი და ცენტრალური მედიისთვის.

დავით მელუა მიესალმა მონაწელეებს და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა ეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით. მან სიტყვა გადასცა რეგიონის გუბერნატორს, რომელმაც ისაუბრა დეცენტრალიზაციის

მნიშვნელობასა და მუნიციპალიტეტების ჩართულობის აუცილებლობაზე. გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელი მარიკა შიორშვილი მიესალმა მონაწილეებს და ისაუბრა დეცენტრალიზაციის სტრატეგიის პროცესში გაეროს განვითრების პროგრამი მონაწილეობის შესახებ. შეკრებილ საზოგადოებას ასევე მიესალმა ახალციხის მუნიციპალტეტის მერი.

სიტყვა გადაეცა **ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს**. მან გააკეთა პრზენტაცია დეცენტრალიზაციის ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესზე, ამ სტრატეგიის მიზნებსა და ამოცანებზე, განხორცილების გზებზე, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებზე. მან მონაწილეებს მოუწოდა გამოთქვათ საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით, ასევე წერილობით მოსაზრებები ეროვნული ასოციაიციის მეშეევეობით ან პირდაპირ წარედგინათ მისი სამინისტროსთვის. ნიკოლოზ როსებაშვილის პრეზენტაციის შემდეგ დავით მელუამ გახსნილად გამოაცხადა სხდომის ინტერაქტიული ნაწილი. მან მონაწილეებს აცნობა, რომ იწარმოება ამ შეხვედრის ოქმი, როემლიც წარედგინება საქართველოს ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს და რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდება ასოციაციის მოსაზრება დეცენტრაილიზაციის სტრატეგიასთან მიმართებით

კითხვა პასუხის ნაწილი (ფასილიტატორი დავით მელუა)

კითხვა დასვა **კონსტრანტინე კანდელაკმა** რომელიც შეეხო ადგილობრივ თვითმმართველობაში დასანერგ მონაცემთა ბაზებს, კერძოდ, მან აღნიშნა, რომ საუბარი იყო თბილისში არსებულ მონაცემთა ბაზის დანერგვაზე ყველა მუნიციპალიტეტეში და იკითხა თუ რამდენად იყო შესწავლილი ამ მონაცემთა ბაზის ეფექტიანობა. კითხვა დააკონკრეტა **ირაკლი მელაშვილმა** რომელმაც აღნიშნა, რომ თბილისის ბაზაში კარგია ქონების ინვენტარიზაციის და გეოსაინფორმაციო ნაწილი, ხოლო მუნიციპალური მომსახურების ნაწილი პრობლემურია და რთულია მაზსზე მომხმარებლის წვდომა, შესაბამისად, ხომ არ მოხდება ამ პრობლემების ყველა მუნიციპალიტეტში ავტომატური გადატანა? აღნიშნულ შეკითხვას ნიკოლოზ როსებაშვილმა უპასუხა, რომ ეს პროგრამა საკმაოდ ეფეტიანად მუშაობს თბილისში, მაგრამ თუ მას აქვს რაიმე ხარვეზი ეს აუცილებლად გამოსწორდება. ამისთვის არის შექმნილი სპეციალური ჯგუფი რომელიც შეიწავლის ამ პროგრამას და გამოსწეროებს ყველა ხარვეზს. ასევე მოახდენს პროგრამის ადაპტირებს მუნიციპალიეტეტების საჭირებებზე და დახმარებას გაუწევს მუნიციპალიტეტებს ამ პროგრამის მართვაში.
მაია გაჩეჩილაძემ ასოციაცია "ტოლერანტის" წარმომადგენლემა დასვა შეკითხვა დეცენტრალიზაციისთან დაკავშირებული რისკების გაანლიზების შესახებ, თუ რამდენადაა შეფასებული ის რისკები რაც ახლავს კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობას მუნიციპალიტეტებში.

ნიკოლზ როსებაშვილმა უპასაუხა რომ ყოველ რეფორმას ახლავს რისკები და დეცენტრალიზაციის ყოველ რეფორმას თან ახლდა საუბარი შიშებსა და რისკებზე, თუმცა ამ შემთხვევაში სახეზეა მაღალი პოლიტიკრი ნება დეცენტრალზიციის მიმართლებით და კონკრეტულად გაწერილია ის ნაბიჭები რაც აუცილებელია რისკების დაზღვევისთვის. ქვეყნის განვითარება, ახალი კონსიტუცია და საპარლამენტო რესპუბლიკა, ითხოვენ ბევრი სახელმწიფო მმართველობითი ფუქციის ადგილეზე გადატანას. თუმცა ხელისუფლებას

ესმის, რომ ეს პროცესი კარგად უნდა იყოს მართული, და ამ ფუქციაბის გადაცემა უნა მოხდეს ეტაპობრივად შესაბამისი საკადრო, ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფის პირობებში.

ღია დისკუსია (მოდერატორი დავით მელუა)

დავით მელუამ გახსნა დისკუსია და მონაწილეებს მოუწოდა დაიცვან 3 წუთიანი რეგლამენტი. მან ასევე აღნიშნა რომ 5 გამოსვლისის შემდეგ ის საშუალებას მისცემს რეგიონული განვითრების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გააკეთოს რეაგირება გამოთქმულ მოსაზრებებზე. გაიმართა დაისკუსია და გამოთქვა შემდეგი მოსაზრებები:

ირაკლი მელაშვილი - მან ანიშნა რომ საკითხავია თუ რამდენად სწორეად არის ფორმულირებული სტრატეგიის მიზნები და ამოცანები და რამდენად შეესაბამება ისინი მუნიციპალიტეტების წინაშე მდგარ პრობლემებს. უწინარესად, სტრატეგიამ უნდა გასცეს პასუხი კითხვას აქვს თუ არა დღეს მუნიციპალიეტეტს საშუალება განახორციელეოს ის უფლებამოსილებანი რაც სწერია ორგანულ კანონში. ეს უფლემასილებანი ან კანონიდან უნდა ამოვიღოთ ან სტრატეგიამ უნდა შექმნას გარემო სადაც მერებს შეეძლებათ კანონში მოცემულ ექსკლუზიური უფლებამოსილებებს აღსრულება. ასეთი საკითხია წყალმომარაგება, რაც მუნიციპალტეტს აქვთ მიკუთვნებული მაგრამ ვერაფერს ვერ აკეთებენ იმის გამო რომ შექმნილია ს.ს.ი,პ "საქართველოს წყლის გაერთიანებული კომპანია" რომელიც არის ცენტრალურ დაქვემდებარებაში და მუნიციპალიტეტებს არა აქვთ მასზე ძალაუფლება. მეორე თემა არის შესყიდვების თემა. მთავრობის 64-ე დადგენილებით მუნიციპალიტეტებს ფაქტიურად მოსპოთ საშუალება დამოუდებლად შეისყიდონ და განხორციელონ პროექტები [*lacuna*], რაც ასევე არის მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილება. შესაბამისად, ეჭვის ქვეშ დგება იმ დადგენილების კანონიერება და კონსტიტუციურობა. შედეგები კი სავალალო გვაქვს, ყველამ კარგად ვიცით რა მდგომარეობა იყო ინფრასტრქუტურის პროექტების შესრულებაში ბოლო მომენტამდე. 700 პროექტის შეთანხმება 10 კაციან დეპარტამენტამენტთან არის თითქმის შეუძლებელი. შესაბამისად, გაგვიჩერდა ძალიან ბევრი რაღაცა. აბსოლიტურად გეთანხმებით რომ დ.ღ.გ-ს სისტემა არის უკეთესი, 2013 იდან 2018მდე ჩვენ ვიარეთ სისტემით რომელიც ამუხრუჭებდა თვითმმართველობის განვითარებას. ეხლა საჭიროა განვიხილოთ შემდეგი საკითხი, ფინანსთა სამინისტრომ თქვა რომ 2022 მდე ვერ გადავა საშემოსავლო გადასახადის განაწილების სისეტმაზე და საჭიროა მოსამზადებელი პერიოდი და ჩვენ ყველანი ამას დავათანხმეთ, რომ 2022 დავიწყოთ ამაზე საუბარი, რადგან დ.ღ.გ-ს სისტემა არ არის დემოტივატორი, მაგრამ ჩვენ რეალურად გვჭირდება ისეთი სისტემა რომელიც აამუშავებს მუნიციპალიტეტს. ასეთი კი არის საშემოსავლო გადასახადის გაყოფა ცენტრსა და მუნიციპალიტეტს შორის. ჩვენ გვინდა სტრატეგიაში კოკნრეტულად ეწეროს თუ როგორ მოდხება საშემოსავლოს გაყოფა და ზოგადი ჩანაწერი რომ დაიწყება საშემოსვლოს განაწილებაზე საუბარი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. იგივე ეხება სტრატეგიის ინდიკატორებს, ერთ-ერთი იდიკატორი არის თვითმმართველობის შემოსავლების ზრდა ჩვენი აზრით უფრო მართებული იდიკატორი იქნება - ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობების ზრდა. სტრატეგიაში არ უნდა იყოს ისეთი ინტიკატორი რომელსაც ზევიდან

კიდევ ინდიკატორი სჭირდება. არსებული ჩანაწერით, 2025 წელს 0.1% რომ გაიზარდოს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები, ჩაითვლება რომ გეგმა შესრულდა. ამიტომ საჭიროა უფრო მკაფიო ჩანაწერი და საერთოდ, ამ სტრატეგიის ინდიკატორებს არცერთი რაოდენობრივი მონცემი არა აქვს, ერთადრთი რაოდენობრივი მონაცემი არის 7% ზრდა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტები მშპ-ს 7%-ის ფარგლებში იყოს. პირველ ვარინატში უკუთესი ფორმულირება იყო ეწერა 7% ეხლა ვიყენებთ ტერმინს ფარგლებში რაც ნიშნავს, რომ ეს მონაცემი 7%-ზე დაბალი შეიძლება იყოს.

კოკა კიღურეაძე - დეცენტრალიზაციის სტრატეგიაში აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ის საკითხები რაზედაც ყველაზე მეტად მიმართვენ მოქალაქეები ადგილობრივ ხელისუფლებას, აუცილებელია შესწავლი იქნას ეს სტატისტიკა რადგანაც ადგილობრივი მოხელეები არიან, ასე ვთქვათ, საჯარო ადმინისტრაციის ფრონტზე, სამინისტროები კი უფრო "ბექ ოფისი"-ა. ამის ერთერთი კარგი საზომი არის მერის წარმომადგენლის მიერ გასაცემი ცნობების საკითხი. მუნიციპალიტეტს არა აქვს კონკრეტული კომპეტენცია მაგრამ მოსახლეობა მიმართავს რაღაცა ცნობის (ადგილწარმოშობის, გარდაცვალების და აშ) მისაღებად. ამის კვლევა გაკთდა და 14-მდე სხვადასხვა სახის ცნობა გაიცემა და ამ ცნობებს სამაღლებრივი საფუძველი დღეს არ გაჩნია ამგრამ მათ ირებენ როგორც სამთავრობო დაწესებულებიბი და საჯარო რეესტრი, ასევე უცხო ქვეყნის მესაზღვრეებიც კი. ეს პრობლემა უნდა იყოს რაღაცნაირად დანახული. იმ ცნობის საჭიროება რასაც მოქალაქე მერის წარმომადგენელს სთხოვს რეალურად არსებობს და ამის კომკრეტულია მაგალიტები სახეზეა, იგივე ნაკვეთების მხლობელობის ლეგალიზაციის პროცესში. აუცილებელია სტრატეგია შეეხოს ამ თემას და ყველა ასეთი ცნობების გაცემის დელეგირების საკიხი დაისვას.

კახა გუგენიძე ასოციაციის ექსპერტი - დეცენტრალიზაცია არის რისკების შემცირების მექანიზმი, მაგრამ ასევე უნდა ითქვას რომ ამ ცნობების გაცემა ასევე შეიცავს რისკებს რადგან, ვიცით, რომ რამდენიმე რწმუნებული სამართალში იქნა მიცემული ასეთი ცნობების გაცემისთვის. აქვე მინდა ავღნიშნო ტრანსპორტის და სამგზავრო გადაზიდვების საკითხი, აუცილებელია კანონმდებლობაში მკაფიოდ განიზღვროს მუნიციპალიტეტის კომეპტენცია ამ სფეროს რეგულირების, ნებართვის გაცემისა და მოსაკრებლის აღების სფეროში.

კონსტანტინე კანდელაკი - ფინანსებს რაც შეეხება მინდა ვთქვა, რომ დ.ღ.გ-ს რეფორმამ დაასწრო ამ სტრატეგის და შევიდა უკვე კანონმდებლობაში, თუმცა ბევრი ისეთი ცვლილებაც შედაც რაც დეცენტრალიზაციის კი არა ცენტრალიზაციისკენაა მიმართული და მიკვირს კიდეც, ერთის მხრივ დეცენტრალზიაციის სტარტეგიაზე ვსაუბრობთ და მეორეს მხრივ ასეთი ცვლილებებს ვანხორცილებთ კანონდებლობაში. იმედია ამ სტრატეგიის მიღებით მაინც დასრულდება ასეთი ცვლილებების კასკადი. ასევე მინდა ვთქვა, რომ თბილისის მერიის ინციატივით (ირიბად, რადგან მათ პირდაპირ ინიციატივის უფლება არა აქვთ) შევიდა კანონში ცვლილებები მაგრამ სხვა მუნიციპალიეტეტები ამ მხრივ პასიურობენ და მინდა მოგწიდოთ მოსთხოვეთ აქტიურობა თქვენს მაჟორიტარებს. მე მინდოდა სტარტეგიაში ყოფილოყო ჩანაწერი რომ პირდაპირი გადასახადები რჩება ადგილობრივ ბიუჯეტში (როგორც ეს ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაშია), კარგი იქნება თუ გაჩნდება ეს თამამი ჩანაწერი რომ 2025 წლისთვის ყველა პირდაპირი გადასახადი შევა ადგილობრივ ბიუჯეტში და თუ ასე მოხდება მაშინ

გამოჩნდება რომელი მუნიციპალიტეტია დოტაციური და რომელი არა, დღეს ყველა დოტაციურია რადგან ყველა გადასახადი ცენტრში მოდის. და აქვე მინდა ვთქვა რომ შიშები დეცენტრალზიაციისტან დაკავშირებით უნდა დაიძლიოს ყველა მექანიზმის გამოყენებით.

ზაზა მელიქიძე - ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი - ერთერთი მნიშვნელოვანი რაც დეცენტრალიზაციის სტრატეგიის პრეზენტაციისას გაიჟღერა არის მუნიციპალიტეტების ჩართულობა სოციალური გასაცემების მართვაში. ეს არის მნიშვნელოვანი რადგან, დღესაც კი, როცა ეს სამინისტროს საქმეა მოსახლეობა მაინც მერებს გვთხოვს პასუხს და შესაბამისად ჩვენ როცა გადმოგვეცემა უფრო შევძლებთ ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებას. რაც შეეხება რისკებს ამ უფლებამისლებების გადმოცემისას, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ამისთვის ვემზადებით და თუ ეტაპბრივად მოხდება უფლებამოსლებათა გადმოცემა რისკები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. აქ საუბარი იყო სასმელი წყლის მიწოდებაზე, იმ დასახლებულ პუქტებში, სადაც გაერთიანი წყალმომარეგების კომპანია არ არის შესული, მუნიციპალიპალტეტი ასწვდის ამ მომსახურებას, და არა მარტო წყალმომარაგება ასევე მისი ხარისხსი კონტროლიც და ამ სფეროში შესაბამის სამსახურებთან (ვგულისხმობ სურსათის უვნებლობას) კოროდინაცია ჩვენი საქმეა. დიდი პასუსხისმგობლება მოდის მუნიციპალილიტეტზე თუ რატომ არ არის ესათუ ის საკითხი [lacuna]. ჩვენ არავითარი ბერკეტი არა გვაქვს მოსაკრებლის და მთლიანად მუნიციპალიტეტის ზურგზე გადადის ამ პრობლემების დაძლევა და იქნებ როგორმე შევძლოთ ლიცენციების აღება, ჩვენ შევეცედად ამის გაკეთება მაგრამ ძალზე რთული პროცედურებია, ვერ ვაწესებთ ტარიფებს და მოსაკრებელიც არ გვაქვს. თუმცა მარტივად შეიძლება, თუნდაც იმ კომერციულ ობიექტებზე, იმ მეწარმეებზე რომლებიც განთავსებული არიან დასახლების ტერტრიაზე და იქ არ არის გაერთიანებული წყალი, იქ მაინც გაიცეს (თუნდაც ტექნიკური) წყლის მიწოდების ლიცენზია და დაწესდეს მოსაკრებელი. და ამ სახით ისეთი შემოსავალი მაინც მივიღოთ რომ დასახლებულ პუქტში ერთი ადამიანი მაინც გავაჩინოთ წყლის სისტემის მოვლა-პატრონობისთვის. ჩვეთან არის ორგანიზაცია რომელიც აწოდებს ტექნიკურ წყალს მაგრამ ვერ ახდენს მოსაკრებლის ამღებას და დამატებით კიდევ გარემის დაცვის სამინისტრო (?) ხან ერთ აქტს უდგენს ხან მეორეს (კანონის დაცვით რათქმაუნდა). იქნება ყველამ ერთად ვიფიქროთ ამ საკითხის მოგვარებაზე. სასმელ წყალზე ეს ძალზე რთულია რადგან ძვირ ინფრასტრუქტურას საჭიროებს მაგრამ იქნებ ტენიკურ წყალზე ვიფიქროთ პრიველ ეტაპზე მაინც. აქვე, ფიზიკურ პირთა შემოსავლთან დაკავშირებით, მე მისელმები დღგ-სთან დაკავშირებულ ცვლილებას მაგრამ გადასაწყვეტია ქონების გაქირავებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის საკითხი, მართალია ახლა ეს გადასახადი ცენტრალურ ბიუჯეტში მიდის მაგრამ, მაინც ვიტყვი, რომ საჭიროა ადმინისტრრების გამკაცრება რადგან არ ხდება ამ გადასახადის ჯეროვანი ამოღება. და ძალზე ბევრი გაქირავებული კომერციული ფართი აღურიცხავია, მხოლოდ 12 კალედარული თვის განმავლობაშია გაქირავების შემთხვევაშია სავალდებული რეგისტრაცია, ამით სარგებლობენ და 9 თვის განავლობაში აქრავებენ ერთ იურდიულ პირზე და შემდეგ ახალ იურიდიულ პირს ქმნიან. ასევეა ფიზიკური პირის შემთხვევაში, უმეტესად ქონების შეფასება არ ხდება სწორად ან ძალზე დაბალია. რაც შეეხება შესყიდვებს შეთანხებას და ტენდერებს აქ არანაირი პრობლემა არ ყოფილა. ჩვენ მაქსიმუმ 2 დღის განმავლობაში ვიღებთ თანხმობას და პირიქით, ეს კარგიცაა

იმიტომ რომ ჩვენი დაცვის მექანიზმია, რაიმე არ გაგვეპაროს და მინდა სამინისტროს მადლობა ვუთხრა ოპერატიული მუშაობისთვის. რაც შეეხება ქონების გადასახადის დასაბეგრ იბიექტთა ბაზებთან წვდომას (ირაკლი მელაშვილის რეპლიკა) გეტყვით, რომ ჩვენმა მუნიციპალიტეტემა ეს შედეგნაირად დაარეგულირა. ჩვენ არა გვაქვს წვდომა ასეთ ბაზასთან მაგრამ ჩვენ სრული აღწერა გავაკეთეთ (ეს დიდ ქალაქებში რთულია მაგრამ მუნიციპალიტეტში არა) შენობის, მიწის და უძრავი ქონების, ვისი იყო, რომელი ორგანზიაციის და სრული ბაზა შევქმენით. შესაბამისაც ჩვენ ვაკონტროლებთ რომელმა ორგანზიაციამ გადაიხადა. იყო შემთხვევები როცა ჩვენ ტერიტროიაზე არსებული ფირმები სხვაგან იხდიდნენ და ჩვენ გავასწორებინეთ. ეგ რთული იყო რადგან მოგვიწია თითოეულ მეწარმესთან მოსვლა და სწორი კოდების მიწოდება რათა ჩვენ მუნიციპალიტეტეში მოსულიყო ეს გადასახადი.

ზაქარია ენდელაძე - ადიგენის მუნიციპალიტეტის მერი - წყალმომარაგებასთან საკავშირებით მინდა ვთქვა, რომ მილიონებს ვხარჯავთ და მომსახურებას ჯეროვნად მაინც ვერ ვაწოდებთ. ჩვენს მოწყობილ წყლის სისტემებზე მაკონტროლებელი შემოდის, სურსათის უვნებლობა შემოდის [საჯარიმო სანქციით] და ჩვენ ერთმანეთის შიშით ვერაფერს ვერ ვაკეთებთ. ჩემი აზრით, უნდა გაკეთდეს პროექტები წყლის მიწოდების თავისი "საქლორატორებით" მაგრამ დროა დადგეს საკითხი სურსათის უვნებლობის მხრიდან დამოკიდებულბის შესახებ, თბილისი რომ აწოდებს წყალს ხომ არ შეუწყვეტია ეს მომსახურება სურსათის უვნებლობის სააგენტოს შიშით, ასევე უნდა იყოს სხვა მუნიციპალიტეტებშიც. ადიგენში არის 57 დასახელებული პუნქტი, აქედან 55 არ არის გადახდის უნარიანი და მარტო იხდის დაბა აბასთუმანი და ადგიენი სადაც შემოსულია გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. დანარჩენ დასახლებებში ვხარჯავთ მილიონებს და ერთი თეთრი არ შემოდის რომ სერვისი განვავითაროთ. ამიტომ, აუცილებელია, ჩვენს მიერ მოწდებული წყალი სამართლებრივად ჩაჯდეს ჩარჩოში და შემდეგ ვიზრუნოთ ხარისხის გაუმჯობესებაზე. ჩვენ ადიგენში ეს სისტემები დავარეგისტრირეთ, ქონება ჩვენ საკითრებაში ავიღეთ მაგრამ ვერ მოვიპოვეთ ლიცენზია და ეს არის პრობლემა იმიტომ რომ მოსაკრებელს ვერ ვაწესებთ.

გიორგი ანდღულაძე - დემოკრატ მესხთა კავშირი - თქვენ საუბრობდით ქონების გადაცემაზე და ძირთადად წყლის სისტემებზე [ამახვილებთ ყურადრებას], მაგრამ სამწუხაროდ არ გისაუბრიათ სხვა ქონებაზე. ელემენტრაულად მიწები რომ ავიღოთ, აუმრავი მიწის ნაკვეთია (5-დან 5 ათას კვ/მ-დე) რომელიც ჰაერშია დაკიდებული. რომელიც შესაძლებელია მუნცპალიტეტებს აღწერილიც კი ჰქონდეთ მაგრამ ეკონომიკის სამინისროს მფლობელობაშია. ეს ქონება თუ არ მიეცა მუნიციპალიტეტს, მისი უქონლობა ფულის და უფლებების არქონასთან ერთად თვითმამრთველობის განვითრების ერთერთი შეფერხებელი ფაქტორია. თუ მუნიციპალიტეტმა ამ ქონებით ოპერირება ვერ მოახერხა ისე ადგილორბივი განვითრება ვერ მიიღწევა და ხომ არ ჩაიწეროს მკაფიოდ სტრატეგიაში რომ ეს ქონება გადაეცემა მუნიციპალიტეტს, ან პირდაპირ ხომ არ გადავცეთ კანონოთ. მითუმეტეს, რომ სახელმწიფო ასეთი ქონების აღწერის დამასრულებელ ფაზაშია და ის წონება რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას არ სჭირდება პირდაპირ ადგილობრივ ხელისუფლებაზე დარეგისტრიროს.

ნიკოლოზ როსებაშვილი გამოხმაურა გამოთმულ მოსაზრებებს. მან აღნიშნა, რომ სტრატეგიის პირველი მიზნის ერთერთი ამოცანაა მუნიციპალიტეტებს ექსკლუქიური უფლებამოსილების შესრულებაში არსებული გამოწვევების აღმოფხვრა. ეს შეიძლება იყოს სამართლებრივი ბაზის გასწორება თუ ფინანსური უზრუნველყობა. რაც შეეხება სამართლებრივ ბაზას აქ საკითხები ორად უნდა გაიყოს - ერთია ის რაც ცნობილია (მაგ. სამგზავრო გადაყვანები) ამის მოგვარება დაწყებულია და გაგრძელედება. შარშან მოვაგვარეთ პარკირების საკითხი ამ წლის სამოქმედო გეგმით მოგვარდება ტრანსპორტის და გარე ვაჭრობის საკითხები. თბილისს აქვს დაჯარიმების უფლება და იგივე უფლებები მიეცემა სხვებსაც, ზოგადად ყველა მუნიციპალიტეტი მიიღებს იმ უფლებას რაც დედაქალაქის თვითმმართველობას აქვს. ტრანსპორტის კანონი მზადდება და ჩვენმა სამინისტრომ გაიარა ეს კანონი და იქ ჩაიწერება მუნიციპალიტეტეი (ეხლა წერია მარტო თბილისი და რუსთავი) რაც ყველა მუნცპალიტეტს მისცემს კომპეტენციას ტრანსპროტის სფეროში. რაც შეხევა 64-ე დადგენილებას იგი შემოღებული იყო რათა მიღწეულიყო სტანდარტის დაცვა, და ამ დადგენილების შემზღუდავი მუხლები უკვე გაუქმებულია, ხოლო ახლო მომავალში დაგეგმილია ამ დადგენილების მოქმედების დასრულება. რაც შეეხება დელეგირების საკითხს, ჩვენ სწორედ ამას ვაპირებთ, რომ მოსახლეობასთან ახლოს მივიტანოთ მომსახურება და მე მიგიყვანეთ შემდეგი სფეროები: განათლება (სკოლების მიმდინარე რემონტი) სოციალური სფერო, კულტურის ბიექტები რომელთა დელეგირების აუცილებლობა ზედაპირზე დევს რაც შეხება დანარჩენს, მოხდება მათი იდენტიფიცირება და აქ თქვენგან ველით წინანდანდებებს. რაც შეხება მერის წარმომადგენლის საკითხს გეთანხმებით და ეს საკიტხი ამ სტრატეგიის ფარგლებში უნდა მოგვარდეს. ქონება ეს არის ის საკიხი რაც აუცილებლად იქნება ამ სტრატეგიაში მოცემული. ასევე, ჩვენ სამუშაო ჯგუფში ჩავრთეთ ქონების სააგენტო და ეხლა ერთვება ეკონომიკის სამინისტროს მოადგილე. იქნება შეხვედრები სამუშაო ჯგფებში და მერებს გთავაზობთ დაესწროთ ამ სამუშაო ჯგუფებს იმიტომ, რომ ერთია რას ვეუბნებით ჩვენ (სამინისრო, ექსპერტები და არასამთავრობო ორგანოები) და მეორეა როცა მერები სვამენ ამ საკითხს. ქონება არის ყველაზე ბოლოს მოტოვებული საკითხი თავისი სირთულისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე. ზაზა მელიქიძის კითხვაზე თუ შეიძლება სკოლოს მოსწავლების ტრასპორტირებასთან ერთად გამოცხადდეს ტენდერი საბავშვო ბაღის კონტიგენტის გადაყვანისთვის? ნიკოლოზ როსებაშვილმა უპასუხა, რომ შესაძლებელია ტენდერის პიროებებში ასევე ჩაიდოს საბავშო ბაღის კონტიგენტის მომსახურების საკითხი, თუმცა გასატვალისხინებელია რომ უნდა მოხდეს თითოეული კონტიგენტის განცალკევებით გადაყვანა.

როსტომ მარაქველიძე - ასპინძის მუნიციპალიტეტეტის მერი - მიესალმა განათლების სფეროში სკოლების მიმდინარე რემონტის გადმოცემაა იმტომ რომ როცა რაიმე ფუჭდება და მცირედ რემოტს საჭიროებს მშობლები მაინც მათ სთხოვენ. იგივეა სოციუალური გასაცემლის სფეროში ასე რომ დელეგირებს ამ პროცესს მივესალმება თუმცა ეთანხმება აზრს, რომ ეს გადმოცემა უნდა მოხდეს ეტაპობრივად. რაც შეეხება საძოვრების საკიტხს, ასპინძა არის მუნიციპალიტეტი სადაც მოსახლეობის 95% მისდევს სოფლის მეურნეობას და მათ [მსხვილეფახა საქონელს] სჭირდება სათიბი და საძოვარი. მოსაზრებაა, რომ იყოს მკაცრი კონტროლი, იყოს ცენტრალური

ხელისუფლების მფლობელობაში (კარგია თუ გადმოგცემენ) და ჩვენ მოგვეცეს განკარგვის უფლება რაგინდარა მკაცრი კონტროლის ქვეშ. რეგიონში ყველაზე მეტი საძოვარი და სათიბი აქვს აქპინძას 800 ათას ჰექტარზე მეტი და აქედან არეფერი შემოდის ადგილობრივ ბიუჯეტში და ამ ფულს ცენტრალური მთავრობაც კარგავს. გლეხი მზადაა დადგენილი რეაციონალური და შეწონილი გადასახადი გადაიხადოს და დღეის მდგომარეობით ძალიან დიდ შემოსავალს ჰკარგავს სახელმწიფო. ასევეა ტურიზმიდან შემოსული სახსრები რომელიც არ რჩება ადგილობრივ ბიუჯეტში. ასევე ტრასნპორტის საკიტხი, ხვალ თუ ზეგ ჩვენ დღეს მიღებული რეგულაციებით ტექდათვალირება გავლილი პარკისთვის უნდა გამოვაცხადოთ ტენდერი და დიდია შანსი იმისა, რომ ასეთი პარკი ადგილზე არ იყოს, ანუ მას ტექნიკური დათვალიერება არ ჰქონდეს გავლილი (25 წლის წინადელია ეს პარკი). ჩემი თხოვნაა ადრე დავიწყოთ ფიქრი. ხომ არ სჯობია, იყოს ერთ კონკრეტულ ორგანზიაციაში მოქცეული ეს სფერო, იქნება სტაბილური ფასი და მომსახურება და არ მოხდება საფასურის უკონტროლო ზრდა კონკრეტულ მარშროტებზე რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს.

ზაქარია ენდელაძე - საძოვრებთან დაკავშირებით მინდა ვქვა, რომ ადგინეში ადგილობრივი მოსახლეობა ვერ გადაიხდის მოსაკრებელს მაგრამ ჩვენთან არის შემოსული ფერმები რომლების იყენებენ ამ საძოვრებს, ისინი რეალურად იხდიან ფულს მაგრამ საკითხავია ვის უხდიან. ამიტომ ეს ფული რომ ადგილობრივ ბიუჯეტში მივმართოთ აერეიოზული შემოსავალია ადგენის მუნიცალიტეტეისთვის.

შეჯამება

დავით მელუა - მინდა მითხრათ რომ ამ შეხვედრებისგან მიღებული მოსაზრებებზე დაყრდნობით ასოციაცია მოამზადებს თავის მოსაზრებას და რეკომენდაცოებს სტრატეგიის დოკუმენტზე. მნიშვნელოვანია რომ გავმიჯნოთ საკითხები - რაზეც ყველა შეთანხმებული ვართ რომ მოსაგვარებელია ეს უნდა გაიწეროს თუ როდის მოგვარდება. მაგრამ არის საკითხები რომელზედაც ჯერ კიდევ არ არის თანხმობა და სტრატეგიამ ეს საკითხები არის მსჯელობის საგანი და უნდა დაითქვას ვადა თუ როდის ქნება მონახული მისი გადაჭრის გზა. ჩვენ არ უნდა ველოდეთ იდიალური დიკუმენტის შექმნას, ამით დროს დავკარგავთ და ვერასდროს დავამტკიცებთ ამ დოკუმენტს, ჩვენ უნდა მივიღოთ დოკუმენტი რომელიც მაქსიმალურად შესაძლებელ გაუმჯობესებას მოგცემს და მორგებული სქნება რეალურ საჭიროებებს. შესაბამისად, ასოციაცია გაგრძელებს სანინისტროსთან თანამშრომლობას სტრატეგიის ბოლო ვარიანტზე და ჩვენ მომავალშიც გავმართავთ კონსულტეციებს სტრაგეიის საბოლოო ვარიანტზე.

ნიკოლოზ როსებაშვილი - ჩვენ ამ შეხვედრებით დავიწყეთ დეცენტრალზიაციის სტარტეგის შექმნის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც არის მუნიცპალიტეტთან კოსნულტაცია. ეს არ იქნება ბოლო შეხვედრა და ეს კონსულტაცია მომავალშიც გაგრძელდება. ასვე ველით წერილობით შენიშვნებს და მოწაწიელეობას თემატური ჯგფების ფორმატში. მადლობა მინდა გადაუხადო ასოციაციას და გაეროს განვითრების პროგრამას ამ შეხვედრების ორგანიზებისთვის. მადლობა თქვენ მობრძანებისთვის და გემშვიდობებით აქტიური თანამშრომლობის იმედით.